

178
1995

ISSN 0868-7053



20

სამართალი

კრაქტიკა • მეცნიერება • ვუბლიცისტიკა

IUS
TBILISI GEORGIA

1-2
1995

სამართალი



სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 1-2
1995

გამომცემის 1995 წლიდან

იანვარი - თებერვალი

პრაქტიკა • მეცნიერება • კულტივისტიკა

მთავარი რედაქტორი
ზურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

ჯანლეთ ბაბილაშვილი
გელა ბერკენიშვილი
(მთ. რედაქტორის მოადგილე)
ვლადიმერ ბარათაშვილი
ოთარ გამყრელიძე
ჯემალ ბახოძიძე
გივი ინჟიკიშვილი
მზია ლეკვიშვილი
თანგილ ლილუაშვილი
ჯემალ შიქაშაძე
ზალვა ნათელაშვილი
თევდორე ნინიძე
ნოდარ ნეზიერიძე
იური ტაბუცაძე
გიორგი ტყეშელაძე
იაკობ ფუტყარაძე
მინდია უგრახელიძე
ჯონი ჯალაღანი

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებ-
ლები არიან: ჟურნალ „სამართ-
ლის“ რედაქცია, საქართველოს
რესპუბლიკის იურისტთა კავშირი,
საქართველოს რესპუბლიკის უზენა-
ესი სასამართლო, საქართვე-
ლოს რესპუბლიკის იუსტიციის
სამინისტრო, საქართველოს რეს-
პუბლიკის პროკურატურა, საქარ-
თველოს რესპუბლიკის უზენაესი
საარბიტრაჟო სასამართლო.

გაითხვალთა საუბრადღებოდ:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა
არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომე-
ლთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12
გვერდს, მოგვაწოდეთ მისამართით: 880046, თბი-
ლისი, გრიბოედოვის 19.

ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს
რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგის-
ტრაციის ნომერია: 0880. ინდექსი 76185.

ფასი 7 000 რუბლი.



საკიეხელი

პარლამენტარის ტრიბუნა

ოთარ მეღაძე — სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციის პრობლემები საქართველოში 3

კონტაქტები უცხოეთთან

რალფ დრაიერი — სამართლის ცნება 12

დოკუმენტები

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიარატის მეორე სასწავლო სემინარის მასალები 21

უზენაესი სასამართლო

✓ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება განზრახ მკვლევლობის საქმეებზე 33

✓ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება მემკვიდრეობის საქმეებზე 46

✓ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება სამოქალაქო საქმეთა აცილების თაობაზე 49

საბაზრო ეკონომიკა და სამართალი

✓ ჭონი ხეცურაიანი — იურიდიული პირის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირების სრულყოფის ამოცანები საბაზრო ეკონომიკის პირობებში 51

უმღარბიერი სამართალმცოდნეობა

✓ ლადო ჭანტურია — აბსტრაქციის პრინციპი გერმანულ სამართალში 58

პირველი ნაბიჯები მცენიერებაში

გიორგი გოგიაშვილი — სახელმწიფოს ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის პრობლემა 64

✓ მზია ფალავანდიშვილი — სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება უცხოურ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 71

სასამართლო მარბაზიდან

გელა ბერძენიშვილი — „ქვანა მართლისა სამართლისა...“ 76

ინფორმაცია

იურისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული სხდომა 78

პოეზია

აზბერტ აბეხაძე — ლექსები 72

რედაქციის მისამართი: 880046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80
ტელ. 99 02 45, 93 41 50, 99 51 01

გადეცა წარმოებას 8.11.94 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.6.95 წ.
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 1180. ტირაჟი 1000.

საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „სამშობლო“,
თბილისი, 880086, მერაბ კოსტავას 14.

ოთარ ველჯაძე

სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციის პროგნოზი საქართველოში

2017

სამართლებრივი სახელმწიფო მშენებლობა სახელმწიფოს მმართველობის სისტემაში კონტროლის ადგილისა და კომპეტენციის ახლებურ გააზრებას საჭიროებს. ახლა, როცა ქვეყნის ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობისაკენ პირველი მოკრძალებული ნაბიჯების გადადგმას იწყებს, ძირეულად უნდა შეიცვალოს ეკონომიკის მართვის პრინციპები. ამ დროს, არც თუ იშვიათად, გაისმის მცდარი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კონტროლმა თითქოსდა დაკარგა თავისი დანიშნულება. საფიქრებელია, რომ ასეთი მსჯელობის არგუმენტი იმ შელახულ ავტორიტეტს ეფუძნება, რომელიც სამეურნეო კონტროლმა ათწლეულების მანძილზე „მოიხვეჭა“. როგორც ჩანს, მსგავსი წინადადების ავტორთ ელემენტარული წარმოდგენა არა აქვთ მართვის მეცნიერულ პრინციპებზე, სადაც, მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკური მოწყობისა, კონტროლს მართვის ფუნქციათა სისტემაში კომპლექსური, შემკვრელი როლი განეკუთვნება.

ამდენად, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კონტროლის კომპეტენცია და სტრუქტურა სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მმართველობაში მიმდინარე გარდასახვის ადეკვატურ, პარალელურ და თანადროულ განვითარებას ექვემდებარებოდეს. ეს პირველი და უმთავრესი აქცენტი, რომელიც კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს. სწორედ ამ თვალთახედვით საქართველოში სახელმწიფო კონტროლის ახალი სისტემის მშენებლობის პირველი ნაბიჯები კრიტიკულ გაანალიზებას ითხოვს, სისტემა მთლიანობაშია გასააზრებელი და არა „სუბიექტური ავტორიტეტისა“ და „ობიექტური სიმპატიების“ დონეზე.

1. სახელმწიფო კონტროლის სისტემურობის შესახებ

სახელმწიფო კონტროლის სისტემურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მისი სტრუქტურა, რომლის ქვეშ იფუნქციონირებს ქვესისტემების ერთობლიობა, რომლებიც მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილების სპეციფიკის გათვალისწინებით განთავსდებიან ქვესაკონტროლო სტრატეგიული პუნქტების მიხედვით. იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მხოლოდ ქვესისტემების ქმედუნარიანობით, არამედ საერთო ინტერესების სფეროში მათი შეთანხმებული მოქმედებით.

ამ დროს კონტროლის თანამედროვე მდგომარეობა ერთიანი პროცედურების, მათი განხორციელების ტექნოლოგიის სისტემაწარმოქმნელი მექანიზმის დაუმუშავებლობით ხასიათდება. სახელმწიფო კონტროლის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების უმთავრესი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ იგი აერთიანებს

განსხვავებული ჯგუფური ინტერესების საკონტროლო სუბიექტებს, რომლებიც საერთო სისტემური ინტერესებისადმი სხვადასხვა ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. ამ ნიშნით შეიძლება სამი ტიპის ჯგუფები გამოვყოთ:

პირველი ტიპი — ეს კონტროლის ის ორგანოებია, რომელთა ქვესაკონტროლო საქმიანობით განსაზღვრული ინტერესები მთლიანად ან თითქმის მთლიანად თანხვედნილია საკონტროლო სისტემის საერთო ინტერესებთან. ასეთთა რიგს განეკუთვნებიან კონტროლის პალატა, საფინანსო ორგანოები, საგადასახლო ინსპექცია.

მეორე ტიპი — ეს საკონტროლო უფლებით აღჭურვილი ის ორგანოებია, რომელთა ინტერესი თანხვედნილია მხოლოდ ცალკეული ქვესაკონტროლო თემატიკური მიმართულებების ქვესაკონტროლო ობიექტების მიხედვით. მათ რიცხვს განეკუთვნებიან დამოუკიდებელი თუ უწყებრივი დაქვემდებარების სახელმწიფო ინსპექციები. საერთო სისტემური ინტერესებისადმი კოორდინირებული დამოკიდებულების პირობებში უწყებრივი დაქვემდებარება ხელს არ უშლის მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საერთო სისტემური მიზნების განხორციელებაში.

მესამე ტიპი — ეს შეზღუდული მაკონტროლებელი ფუნქციების საუწყებო თუ საუწყებათაშორისო ორგანოებია, რომელთაც არ განეკუთვნებათ მნიშვნელოვანი პოზიცია საერთო მიზნების განხორციელებასთან მიმართებაში.

თუ მეორე ტიპის ჯგუფში გაერთიანებულ ორგანოებს შესწევთ უნარი საკუთარი მიზნობრივი ფუნქციის რეალიზაციის მაქსიმალიზაციის გზით, პირველი ტიპის ჯგუფში გაერთიანებულ ორგანოებთან თანამშრომლობის პირობებში ორგანულად ჩაეწერონ სისტემაში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჯგუფური ინტერესების დაკმაყოფილების საქმეში, მესამე ჯგუფში გაერთიანებული ორგანოები გატაცებული არიან საკუთარი გვემების შესრულებით და ამდენად ნაკლებად არიან დაკავშირებული სისტემური ინტერესების უზრუნველყოფასთან.

პრაქტიკამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფო ორგანოების კლასიფიკაციაში. ჯერ ერთი, გაიმიჯნა ორი კატეგორია ასეთი ორგანოებისა. ეს არის მაკონტროლებელი ორგანოები, რომელთაც სხვა მმართველ ფუნქციებთან ერთად კონტროლის ფუნქციაც აკისრიათ, და საკონტროლო ორგანოები, რომელთა საქმიანობა მხოლოდ ამ ფუნქციით შემოიფარგლება. ამ ორის ერთობლიობა კონტროლის ორგანოებად იწოდება, მაგრამ არა ისე უკიდევანოდ, როგორც ეს ტერმინი ლიტერატურაში გამოიყენება.

და მეორე, საკონტროლო ფუნქციის გავრცელების არეალის თვალსაზრისით ორგანოების ორ ძირითად ჯგუფს — უწყებრივსა და საუწყებათაშორისას გამოეყო ზეუწყებრივი საკონტროლო ორგანოები. ეს ის ორგანოებია, რომელთა ქვესაკონტროლო ობიექტების წრე, მათი კომპეტენციის ფარგლებში, თავად მთავრობისა და საუწყებათაშორისო საკონტროლო ორგანოების საქმიანობასაც რომ მოიცავს. მათ რიცხვს განეკუთვნება საკონტროლო პალატა, საკონსტიტუციო ზედამხედველობის და საარბიტრაჟო ორგანოები.

გამომდინარე თქმულიდან, ნათლად მოსჩანს სახელმწიფო კონტროლის სისტემის გამთლიანების აუცილებლობაცა და შესაძლო გზებიც. სახელმწიფო კონტროლის სისტემის სახეცვლილება ორ მომენტს უნდა ითვალისწინებდეს: პირველი — ეს ერთგვაროვანი კომპეტენციისა და მიზნების ორგანოების შერწყმა-გაერთიანებას გულისხმობს — სტრუქტურირებისა თუ კოორდინირების მეშ-

ვეობით; მეორე — საბაზრო ურთიერთობათა დაფუძნებასთან დაკავშირებით გამოხშირული უფლებამოსილების კონტროლის ორგანოების ლიკვიდაცია, მეტა ნაწილი ინერციით კვლავაც „საქმიანობს“ და ცდილობს როგორმე ადასტუროს საკუთარი არსებობის „აუცალებლობა“.

2. სახელმწიფო კონტროლის ორიენტაციის შესახებ

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მრავალ სახელმწიფოში იქმნება საკონსტიტუციო სასამართლოები თუ საბჭოები, საანგარიშო თუ საკონტროლო პალატები, მთავარი კონტროლიორისა თუ ომბუდსმენების ინსტიტუტი, სხვადასხვა სახელმწიფო ინსპექციები. საზღვარგარეთის ქვეყნებში სახელმწიფო კონტროლის ორგანოების განვითარების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას კომპლექსური ხასიათი გააჩნია და ხორციელდება საერთო მიზნებით ვართიანებული ერთპროფილიანი ორგანოების კომპლექსით, განსხვავებით ე. წ. სოციალისტური კონტროლისაგან, რომლის სისტემაში წამყვანი როლი მრავალპროფილიან სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემას განეკუთვნებოდა. დღეს კონტროლის ორგანოების ერთპროფილიანობას მათივე მიზნობრივი ორიენტაცია განსაზღვრავს და ამდენად საკონტროლო ორგანოების კლასიფიკაცია სხვადასხვა საფუძვლებითა და კრიტერიუმებით ხორციელდება. მთავარი, სახელმწიფო კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, მაინც თავად კონტროლის საგანია და აქედან მოდის მისი სახეების ისეთი სიმრავლე, როგორცაა საკონსტიტუციო, საბიუჯეტო-საფინანსო, საგადასახადო, სამეურნეო, ტექნიკური, სანიტარული თუ სხვა სახის სახელმწიფო კონტროლი.

სახელმწიფო კონტროლის ასეთი მიზნობრივი დაქუცმაცებულობის პირობებში შემთხვევითი არ არის, რომ იწყება მსჯელობა საკონტროლო ხელისუფლების შესახებ (ვ. ჩირკინი, საკონტროლო ხელისუფლება, ჟურ. „გოსუ-დარსტვო ი პრაგო“, 1993, № 4). თუმცა, ჩვენი აზრით ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ხელისუფლების ახალი შტოს გამოყოფასთან გვეკონდეს საქმე. უბრალოდ, ჩვენი გაგებით, ამ ტერმინოლოგიური აქცენტის უკან პირველ რიგში არსობრივი და მეთოდოლოგიური ასპექტები უნდა ამოვიკითხოთ. პირველ შემთხვევაში საკითხი შეეხება იმას, რომ ხელისუფლების ყველა ორგანოს — საკანონმდებლო იქნება იგი, აღმასრულებელი თუ სასამართლო — მათი კომპეტენციის განსხვავებულობის პირობებში ერთი საერთო (თუმცა სხვადასხვა ფარგლების) კონტროლის ფუნქცია გააჩნიათ. მეორე შემთხვევაში კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეს ფუნქცია სწორედ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავების გზით უნდა გამოთიანდეს, როგორც ხელისუფლების სახელმწიფო კონტროლის სისტემა, რომელიც საკონტროლო, მაკონტროლებელ და საზედამხედველო ორგანოებს კუთვნილ ადგილს მიუჩენს სტრატეგიული კონტროლის კონცეფციის სარეალიზაციოდ. ეს მნიშვნელოვანი მომენტია საერთოდ და დღევანდელი საქართველოს ვითარებაშიც, რამდენადაც ყოველივე თქმული საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკიდან საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენში სახელმწიფო კონტროლის სისტემის მშენებლობას.

სახელმწიფო კონტროლი ორგანულად უნდა ჩაეწეროს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, რათა ამჯერადაც არ მიეცეს სახელმწიფოში შექმნილი მდგომარეობისადმი უპასუხისმგებლო ხელოვნური ზედნაშენური ზედამხედველის სახე.

აქვე ზოგიერთი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ გვესახება სახელმწიფო კონტროლის საფუძვლები მისაღები საკანონმდებლო დოკუმენტების პაკეტში.

თავად კონსტიტუციაში საგანგებო თავი უნდა მიეძღვნას სახელმწიფოს კონტროლს, როგორც ეს 1921 წლის კონსტიტუციაში იყო ჩამოყალიბებული. ამასთან, კონსტიტუციაში ასახვა უნდა პოვოს სახელმწიფო კონტროლის მიუღმა მრავალფეროვნებამ მისი ისეთი კონსტიტუციონალური პლასტებით როგორცაა კონსტიტუციური სასამართლო, საკონტროლო პალატა, თავად პარლამენტის საკონტროლო ფუნქციის ამსახველი საშუალებების მრავალსახეობა. აქვე მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს საკონტროლო კომპეტენცია სუბიექტების მიხედვით (სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტი, მისი მუდმივი და საგამოძიებო კომისიები). მნიშვნელოვან მომენტად გვესახება მუხლი პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილების შესახებ მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაზე და ბლანკეტური ნორმა აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში სახელმწიფო კონტროლის მარეგულირებელი კანონის შესახებ.

8. კონტროლის სისტემის ორგანიზაციის ტენდენციები საქართველოში

დავიწყოთ უმთავრესი ტენდენციით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მნიშვნელოვნად იცვლის სახეს ე. წ. საკავშირო კონტროლის ორგანოების კალკი, შემცირდა მისი დარგობრივ-ტერიტორიული წამონაზრდები, მაგრამ, ჯერაც შენარჩუნებულია ერთგვაროვანი, თუ მონათესავე პრობლემატიკითა და სფეროებით დაინტერესებული ორგანოები. ამიტომ, იმ პირობებშიც, როცა ყველა მისი ელემენტი ცალკე, თუ, უკეთეს შემთხვევაში, პარტნიორებთან თვითინიციატივური კონტაქტებით ახორციელებენ დაკისრებულ მოვალეობას, მნელია სისტემის მაღალ ეფექტიანობაზე საუბარი, რამდენადაც მნიშვნელოვნად იზარჯება იან პარალელურ თუ დუბლირებულ შემოწმებებზე. ეს საყოველთაო პრობლემა კონტროლის მრავალელემენტოვანი სისტემის პირობებში. ჩვენში კი ამას საკუთარი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ხარვეზები ემატება.

სახელმწიფო მმართველობის რეორგანიზაციას უდავოდ უნდა მოჰყვეს სახელმწიფო კონტროლის პრინციპული და სტრუქტურული რეორგანიზაცია სათანადო საკანონმდებლო-მეთოდური ბაზის შექმნით. მაგრამ, ვიდრე თავად სახელმწიფო მმართველობის კონცეფცია არ არის დამუშავებული, არ არის სრულყოფილი მართვის ტექნოლოგია, ეკონომიკაში უკონტროლობის დამკვიდრების რეფორმიზმის მცდელობად გასაღება რა შედეგების მომტანია, ჩვენ ეს უკვე ვიგეგმეთ. ამიტომ რეალობა არა თუ კონტროლის შესუსტების, არამედ სისტემური გარდაქმნის ხარჯზე მისი გაძლიერების ამოცანას აყენებს.

მაგალითისათვის ისიც საკმარისი უნდა იყოს, რომ ხარისხის ინსპექცია სოციალისტური კონტროლის ნანგრევებს მივყავით, ჩვენი დღევანდელი ვითარებისთვის თეორიული არგუმენტის საფუძველზე — პროდუქციის ზარისხი საბაზრო ურთიერთობის რეაგირების საგანიაო. ასეც რომ იყოს, იგი იმ ვითარების არგუმენტია, როცა ბაზარი საქონლითაა გაჯერებული და ჯანსაღი კონკურენციის პირობებით იმართება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ყველა სახის პროდუქციას როდი შეეხება. მაგალითად, ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის კლასიკურ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში საკვები პროდუქტები, წამლები და სხვა სამედიცინო პრეპარატები, კოსმეტიკური საშუალებები, თუ რადიაციული აპარატურა, რომელიც შიგა ბაზარზე ადგილობრივი თუ უცხოეთის

წყარობიდან შემოდის სანიტარული ზედამხედველობის ფედერალური სამმართველოს კონტროლს ექვემდებარება და იგი ამერიკელი მომხმარებლის მრეწველობის ხარჯების 25 პროცენტთან მასას მოიცავს.

უდავოა, რომ საკუთრების სტრუქტურის ცვლილებების პროცესში სახელმწიფო კონტროლის ყურადღება კონცენტრირებული უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრების დაცვაზე. მაგრამ მცდარია აზრი, თითქოს ეს მაკონტროლებელი სტრუქტურების გამრავლების გზით უნდა იქნეს მიღწეული.

ჯერ იყო და შინაგან საქმეთა სამინისტროში ეკონომიკურ დანაშაულობათა წინააღმდეგ მებრძოლი — სახელწოდება შეცვლილი — ორგანო აღვადგინეთ, ახლა კი „უშიშროების სამსახურს დაევალა შექმნას დამოუკიდებელი ეკონომიკური სამსახური, რომელიც შესძლებს გააკონტროლოს და შეისწავლოს დარღვევები ეკონომიკისა და საკრედიტო სისტემაში“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 24.03.94 წ.).

არ ვიცი „გაკონტროლება და შესწავლა“ რა შედეგს გამოიღებს, ის კი ცხადია, რომ ამდენი უწყებრივად დაქვემდებარებული ე. წ. „დამოუკიდებელი ეკონომიკური სამსახურები“ საკონტროლო სისტემაში მხოლოდ ქაოსს იწვევენ. საჭიროა სისტემური გააზრება და არა ცალკეული სისტემური წამონაზრდები. უკონტროლობის აღკვეთა დაქსაქსული და „კერძო“ ამოცანებს დაქვემდებარებული აპარატების ხარჯზე, წარმოუდგენლად მიგვაჩნია. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ რესპუბლიკაში არ არსებობს ორგანო, რომელიც ასეთი თვითშემოქმედების მიზანშეწონილობას სახელმწიფო კონტროლის სრული სტრუქტურული სქემის პირობებში შეაფასებდა. სხვათა შორის ეს შენიშვნა მინისტრთა კაბინეტსაც თანაბარწილად შეეხება.

სახელმწიფო მმართველობის სისტემაში საკონტროლო უფლებამოსილებების ჩვენს მიერ ჩატარებული პასპორტიზაციის შედეგად დადგინდა, რომ 51 ორგანოდან 29 საუწყებო კონტროლის ფუნქციას ახორციელებს, ხოლო 17-ს თავად ან მათ ქვემდებარე სტრუქტურულ ფორმირებებს საუწყებათაშორისო საკონტროლო ფუნქცია აკისრია. მაგრამ არსებული მდგომარეობის ძირითადი სირთულე არა მხოლოდ კონტროლის ორგანოების სიმრავლეშია, არამედ მათ თემატიურ ერთგვაროვნებაში და შეუთანხმებელ საქმიანობაში. მავალითად, გარემოს დაცვისადმი სახელმწიფო საუწყებათაშორისო კონტროლის ფუნქცია გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად ექვს ორგანოს — დეპარტამენტსა და სახელმწიფო ინსპექციას აკისრია თუმცა ჩვენი გარემოს შემხედვარე ვერ იტყვი, რომ კონტროლის ორგანოების სიმრავლე მასზე დადებით ზეგავლენას ახდენდეს.

ანალოგიური ვითარებაა ქვეყნის საფინანსო მდგომარეობის კონტროლის საქმეში, რომელსაც სტრუქტურულად დახუნძლული და მრავალრიცხოვანი ისეთი ორგანოები ახორციელებენ, როგორცაა საკონტროლო პალატა, სავადასახადო ინსპექცია და ფინანსთა სამინისტრო — ფასების სახელმწიფო ინსპექციით.

4. როგორ ვითარდება საქართველოში საკონტროლო კანონმდებლობა

თავი და თავი ასეთი ვითარებისა იმაში მდგომარეობს, რომ არ არის დამუშავებული სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციის კონცეპტუალური საფუძვლები და იგი არასისტემატიზირებული, დეფორმირებული გზით ვითარდება.

სამაგალითოდ განვიხილოთ კანონი „საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ“. ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი ამ კანონის მდგომარეობს, რომ იგი თავისი ფორმითა და არსით დებულების სახისა ვიდეთ.


ეს არის დოკუმენტი მეტადრე უფლებების შესახებ და მცირე, გაბნეული აქცენტებით მოვალეობებზე. ამასთან, კანონში საერთოდ არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ კონტროლის რა პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს თავის საქმიანობაში კონტროლის პალატის სისტემა.

მეორე ხარვეზი, ჩვენი გაგებით იმაში მდგომარეობს, რომ არ არის რეგულირებული კონტროლის პალატის სისტემის სხვადასხვა დონის რგოლების ურთიერთქმედების, ე. წ. სუბორდინაციის პრინცი და იგი კიდევ მეტად გამოკვეთავს უფრო მაღალი კატეგორიის ხარვეზს, რაც კოორდინაციის ფუნქციის დეკლარატიულობაში გამოიხატება. ამის გამო, კოორდინაციამ, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება ფორმალური ხასიათი მიიღოს. და რამდენადაც პარადოქსალურად უნდა ჟღერდეს, ეს „უკეთესობა“ კოორდინაციის სუბიექტის პასიურ პოზიციასთან იქნება დაკავშირებული, თორემ ნორმატიულ საზღვრებს დაუქვემდებარებელმა „აქტივობამ“, ელემენტარულად, შეიძლება კოორდინაციის სუბიექტსა და ობიექტების გარკვეულ წრეს შორის კომპეტენციის აღრევა გამოიწვიოს.

გასათვალისწინებელი იყო ამ დონის საკონტროლო ორგანოს ამოცანებში ერთად განხილულიყო გარე და შინაგანი კონტროლი, როგორც ერთდროულად უფლებაცა და მოვალეობაც და კოორდინაციის მექანიზმის ბერკეტებიც. ამიტომ იგი გარკვეულ კონკრეტიზაციას საჭიროებს, ვინაიდან სახელმწიფო კონტროლის სისტემის ამ გამაერთიანებელი ფუნქციის მოცულობაში ვერტიკალური ურთიერთქმედება — სუბორდინაცია იგულისხმება და კოორდინაცია, მაგრამ არა მხოლოდ ჰორიზონტალურ ჭრილში. სხვადასხვა ობიექტებთან კოორდინაციას ასპექტი კოორდინაციის სუბიექტის არსენალში უნდა ამკვიდრებდეს საკოორდინაციო სისტემის სხვადასხვა დონის ორგანოებთან ურთიერთქმედებას, ანუ ე. წ. დიაგონალურ კოორდინაციასაც უნდა გულისხმობდეს.

აქვე ორ მომენტზე უნდა გავამახვილო ყურადღება, რომლებიც იმაზეა დამოკიდებული, რომ საგადასახადო ინსპექციების ქვესაკონტროლო პრობლემატიკა მნიშვნელოვნად ემთხვევა საკონტროლო პალატის საქმიანობის მიმართულებებს, თუმცა პირველი — საუწყებათაშორისო, ხოლო მეორე ზეუწყებრივი საკონტროლო ორგანოა. ამდენად, პირველი საყურადღებო მომენტი ის არის, რომ მათი ზედღებული ფუნქციების ნაწილში მიზანშეწონილია საკონტროლო საქმიანობის კოორდინაცია და ამ შემთხვევაში არსებული კანონმდებლობით კოორდინაციის სუბიექტის როლი საკონტროლო პალატას განეკუთვნება. ხოლო მეორე მომენტი სტრატეგიული კონცეფციის იდეის რეალიზაციასთან არის დაკავშირებული. საკონტროლო პალატას სწორედ მისი ზეუწყებრივი კატეგორია აძლევს იმის უფლებას, რომ შემოწმების ობიექტად შეარჩიოს ცალკეული საგადასახადო ინსპექციები, როგორც სტრატეგიული კონტროლის კრიტიკული წერტილი და მისი საქმიანობის ანალიზის საფუძველზე მიიღოს საორიენტაციო ინფორმაცია შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის შემოწმების არეში მოხვედრილი ობიექტების შესახებ მათი შემდგომი გადამოწმების მიზნით.

კონტროლის პალატა საპარლამენტო ორგანოა და ვფიქრობთ, საჭირო იქნებოდა ცალკე თავისა თუ მუხლის სახით განსაზღვრულიყო მისი ურთიერთობა პარლამენტთან. აქ, თავად პალატის წლიური ანგარიშების გარდა, საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების ფინანსური მდგო-



მარეობის ანალიზი და რეკომენდაციებიც უნდა განიხილებოდეს, ცალკეული განსაკუთრებული მნიშვნელობის შემოწმებების შედეგებზეც მოხსენებებიც სათვალისწინებელია, მხოლოდ იმ დონეზე, რომ პალატისათვის საკანონმდებლო ინიციატივის მოთხოვნაც პარლამენტის სხდომაზე სადავო არ უნდა გამზადდარიყო. და კიდევ ერთი სურვილი ცუდი არ იქნება, თუ პარლამენტის სხდომებზე ბიუჯეტის საკითხების განხილვისას კონტროლის პალატას დაეკისრება თანამოხსენება — ბიუჯეტის და მისი შესრულების შესახებ კანონპროექტების ექსპერტიზის დონეზე. უკეთესი ოპონენტი პარლამენტს არც ეყოლება. ჩვენი აზრით, პალატამ და მისმა ორგანოებმა კონტროლი უნდა დააწესონ არა მხოლოდ ბიუჯეტის შედგენაზე და შესრულებაზე, არამედ საბიუჯეტო პროცესზე საერთოდ. თუ ამას, კანონში აღიარებულ ნორმას „ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობა“ გულისხმობს, იგი დეკლარატიულია და კონკრეტულობას მოკლებული — სათანადო მექანიზმის გაუაზრებლობის მოტივით. მაშასადამე, პრინციპებში აღიარებული უნდა იქნეს არა მხოლოდ შემდგომი, უფრო მეტად პრევენტიული კონტროლი.

ნამდვილად აჯობებდა, რომ ამ თვალსაზრისით გააზრებული ყოფილიყო: სისტემის შიგნით საბიუჯეტო პროცესის იერარქიული კონტროლის სამართლებრივი მექანიზმი; კონტროლის პალატის ზეუწყებრივი ფუნქცია საუწყებათაშორისო ფუნქციის — საგადასახადო ინსპექციასთან მიმართებაში, რომელთანაც მას ზედღებული უფლებამოსილებაც გააჩნია; ადმინისტრაციული (უწყებრივი) კონტროლის ორგანოების საქმიანობის კონტროლის პალატის აქტიური ზედამხედველობის არეში მოქცევა, როგორც კონტროლის სტრატეგიული კონცეფციის საკოორდინაციო არსის მნიშვნელოვანი ფაქტორი, კრიტიკულ ქვესაკონტროლო წერტილში კონტროლის — კონტროლის ფუნქციის ამოქმედებისა.

ამ დროს პარლამენტში წარმოდგენილი საკონტროლო პალატის ანგარიში ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ იგი პარლამენტთან არსებული საგადასახადო ინსპექციის სახეს ღებულობს, აქტიურად არ მონაწილეობს საპარლამენტო საქმიანობაში.

პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დამახასიათებელია კანონი „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“. გრძელტანინი დოკუმენტების თხზვით გატაცებამ იქამდე „დაგვიყვანა“, რომ ამჯერად კანონი ინსტრუქციული ნორმებით გადაიტვირთა.

კონტროლთან დაკავშირებული კანონების პაკეტმა, ჩვენი აზრით, ორი არასასურველი ტენდენცია დაამკვიდრა. პირველი — ეს არის კონტროლის ორგანოების ზედმიწევნითი ცენტრალიზაცია და იზოლაციონიზმი, ისე, რომ, ფაქტობრივად უგულბელყოფილია ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. და არა მხოლოდ მათთან კავშირუროთიერთობა. მაშინ, როცა კანონმდებელმა საკონტროლო პალატას საკოორდინაციო ფუნქცია დააკისრა, მანვე აკრძალა „სხვათა“ ჩარევა საგადასახადო სამსახურის ფუნქციებში (კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“, მუხლი 12), იქნებ იმის გამო, რომ სრულად ვერ წარმოგვიდგენია „კოორდინაციის“ უფლებრივი კონტურები?!

მეორე — ეს არის კონტროლის პროფილაქტიკური ორიენტაციის უგულბელყოფა. კანონით „სახელმწიფო კონტროლის პალატის შესახებ“ ე. წ. გამონაკლისის წესით დაშვებულ იქნა ნორმა გამოვლინებულ დარღვევებიდან ამონაგები თანხის 15 პროცენტის პალატის მუშაკთა მატერიალური წახალისებისა და ბაზის განვითარების მიზნით. შემდეგ ეს გამონაკლისი გავრცელდა ფასების სახელმწიფო ინსპექციის მიმართ, ხოლო საგადასახადო ინსპექციის

ისათვის „აქტივიზაციის“ ეს სტიმული 30 პროცენტამდე იქნა აყვანილი აღნიშნული „ნოვაცია“ სახელმწიფო კონტროლის ორგანოთა სისტემაში კონცეფტუალური დეზორიენტაციის წომასწავებელია, ვინაიდან მატერიალური და მორალური კრიტერიუმების აღრევას იწვევს და რამდენადაც ისეთი ატმოსფერო დაემკვიდრეთ, როცა კანონიერების დამცავ ორგანოს მატერიალურად აწყობს დარღვევათა სიმრავლე, არც უნდა გვაკვირვებდეს, რომ ამდგვარი მიდგომა მათ საქმიანობაში ამკვიდრებს არა დარღვევა-დანაშაულებათა თავიდან აცილების, არამედ მათი ფიქსაციის განწყობილებას.

5. კანონი სახელმწიფო კონტროლის შესახებ

კანონმდებელს რთული საქმიანობა მოეღოს. საწყის ეტაპზე გარდამავალ სისტემაზე უნდა ვიფიქროთ, რომელიც არ გამორიცხავს ისეთი ელემენტების არსებობას, რომელთა შემდგომი მიზანშეწონილობის საკითხს თავად საბაზრო ეკონომიკა გადაწყვეტს. რა თქმა უნდა, კანონმდებელმა ისიც უნდა განჭვრიტოს, რომ მათი სტატუსი თავად ამ პროცესს წინააღმდეგობრივ ფაქტორად არ აღუდგეს.

ასე რომ, საჭიროა კონტროლი არა ყოველდღიურ ცხოვრებაზე — აკრძალვების პრიმატით, არამედ ყოველდღიური ცხოვრების მოსაგვარებლად ცხოვრებისეული დინამიზმის გათვალისწინებით. სწორედ ეკონომიკის მართვის კორეგირების კორიდორის პერსპექტულ საზღვრებს უნდა ითვალისწინებდეს კანონმდებლობა. ასეთიც შესაძლებელია, მაგრამ იგიც მხოლოდ თავისებური საკანონმდებლო პროცესის შედეგი უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, მიმდინარე ეტაპზე სწორედ ამ პროცესის ფარგლებში უნდა მომზადდეს კანონპროექტი სახელმწიფო კონტროლის შესახებ, რომელიც საქართველოში სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციის კონცეფტუალურ საფუძვლებს ჩამოაყალიბებს. მიგვაჩნია, რომ მასში უნდა დაიხვეწოს სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული იურიდიული ცნებების მთელი სისტემა; სახელმწიფო კონტროლის სახეები, საკონტროლო მიმართულებანი და მათთან დაკავშირებული კონტროლის ორგანოების წრე — კოორდინაციის ბლოკური სისტემის და კოორდინაციის სუბიექტების განსაზღვრით. აქვე განხილულ უნდა იქნეს კონტროლის ძირითადი პრინციპები, სახელმწიფო ორგანოების საკონტროლო არსენალი — კონტროლის მექანიზმი — პროფილაქტიკური დანიშნულებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებებზე ორიენტირებული ფორმებითა და მეთოდებით.

მსოფლიო პრაქტიკაში სადღეისოდ დამკვიდრებული კონტროლის სისტემის ერთპროფილიანი ორიენტაცია, ჩვენში ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი სისტემის პირობებში, კონტროლის სუბიექტთა სიმრავლეს იწვევს და ვიდრე სისტემა საბოლოოდ დაიხვეწება, მათი ინტერესები, თუნდაც ნაწილობრივად თანხვედნის პირობებში, ამ კორიდორის ფარგლებში პარალელური და დუბლირებული შემოწმებების სიმრავლით ხასიათდება.

ასეც რომ არ იყოს, კონტროლის ორგანოების ერთპროფილიანი ორიენტაცია სისტემურ ბალანსში იმდგვარად არის ჩაწერილი, რომ სწორედ საერთო ინტერესების პოზიციიდან ზოგან ქვესაკონტროლო თემატიკა ურთიერთდადაჯაჭვულ კვანძს, ზოგანაც თანმიმდევრულ ლოგიკურ წირს წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში კი აუცილებელია კოორდინაცია, რათა კონტროლის სისტემის ფუნქციონირებას კომპლექსური ხასიათი მიეცეს.

არის სხვა ტრადიციული მიზეზებიც, რაც სისტემის სტრუქტურულ გადატვირთულობისა და მის ელემენტებს შორის კავშირების მოუწესრიგებლობაში ძვეს. ამიტომ კოორდინაციის პრობლემა კვლავაც აქტუალურია, სამდუნადაც ინარჩუნებს სახელმწიფო კონტროლის გამთლიანების მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას. სწორედ კოორდინაციამ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი მის წრეში გაერთიანებულ ორგანოთათვის სახელმწიფო კონტროლის საერთო სტრატეგიისა და ტაქტიკის განსახორციელებლად მათი ადგილის განსაზღვრის საქმეში.

რა თქმა უნდა, 17 საუწყებათაშორისო კონტროლის ორგანოს პირობებში ამოცანა კიდევ უფრო რთულდება. მართვის შესახებ მეცნიერება სუბიექტსა და ობიექტებს შორის მართვადობის რაციონალურ კოეფიციენტს ოთხიდან-შვიდამდე საზღვრავს. ეს ნორმა კონტროლის კოორდინაციის წრეზეც უნდა ვრცელდებოდეს უთუოდ. ჩვენი აზრით, ასეთ ვითარებაში გამართლებული უნდა იყოს ბლოკური კოორდინაციის განხორციელება. რაც იმას გულისხმობს, რომ ქამოიყოს სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პრობლემათა თემატიური ბლოკ-სისტემები კოორდინაციის სუბიექტების განსაზღვრით. ჩვენი აზრით, საჭიროა სამი ასეთი ბლოკის შექმნა — კოორდინატორის განსაზღვრით:

1. საფინანსო ბლოკი — კოორდინატორი — საკონტროლო პალატა;
2. ეკოლოგიის ბლოკი — კოორდინატორი — ბუნების დაცვის სამინისტრო;
3. ხარისხის ბლოკი — კოორდინატორი — სტანდარტების დეპარტამენტი.

მიგვაჩნია, რომ კანონში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული იმ ორგანოების სამართალუნარიანობა, რომლებიც შესაბამისი რეორგანიზაციის შემდეგ, საერთო ინტერესებით გაერთიანებული ბლოკების სახით განლაგდებიან კოორდინატორის ირგვლივ. რა თქმა უნდა, ეს საჭიროებს ისეთი სამართლებრივი ბაზის დამკვიდრებას, რომელიც განსაზღვრავს სუბიექტების უფლებამოსილებას, საერთოსისტემური ინტერესების სარეალიზაციოდ დაარეგულირებს მათ ურთიერთობას კოორდინაციის ობიექტებთან, ისე რომ, ცენტრალურმა საკონტროლო ფორმირებებმა დაძლიონ მცირე მასშტაბიანი შემოწმებებით გატაცება და ძალები კომპლექსურ გამოკვლევებზე მიმართონ, რაც მნიშვნელოვანია იერარქიულ სისტემაში კონტროლისადმი კონტროლის განხორციელების თვალსაზრისითაც.

ამასთან, კრიტიკულ შეფასებას ითხოვს შეზღუდულუფლებიანი სახელმწიფო ინსპექციების მიზანშეწონილებისა თუ უწყებრივი დაქვემდებარების საკითხიც. სახელმწიფო კონტროლის სტრუქტურული გააზრებისა და შემდგომი კანონშემოქმედებითი მუშაობის პროცესში ეს ხარვეზი გააწორებას საჭიროებს, ისევე როგორც სახელმწიფო ინსპექციების სამართლებრივი აღიარება, თორემ მათ მნიშვნელობას კანონი „მინისტრთა კაბინეტის შესახებ“, საერთოდ უგულებელყოფს. სახელმწიფო კონტროლის სისტემის ეს მნიშვნელოვანი სუბიექტი აქ ერთხელ და ისიც მინისტრთა კაბინეტის საქვეუწყებო ორგანოების ჩამონათვალში მოიხსენიება. ვფიქრობთ, სწორედ ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის, რაც ჩვენში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების საქმეს ახასიათებს.

ახლა, როცა სახელმწიფო კონტროლის სისტემა ახალ კონტურებს იძენს, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული და ბევრი სხვა პრობლემა სწორედ სახელმწიფო კონტროლის შესახებ კანონმა უნდა მოაწესრიგოს, რომელიც ახლა მუშავდება ჩვენს მიერ.

პროფესორი დოქტორი რაულ ღრაიპი (გაბინეანი, გერმანია)

სამართლის ცნება*

ცხადია, რომ ეს პრინციპები ზოგჯერ, როცა თავის მხრივ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, საჭიროებენ ინტერპრეტაციასა და შეჯერებას. ისინი მოითხოვენ, განსაკუთრებით, რთული კაზუსების დროს, ურთიერთშესაბამისობის პრინციპზე დამყარებულ სამართლებრივ სიკეთეთა აწონ-დაწონას. მაგრამ ამასთან დაკავშირებული პრობლემები — ეს არის არგუმენტის მთავარი პუნქტი — სამართლებრივი საკითხებია და არა მხოლოდ მორალური. თუ როგორ უნდა დამუშავდნენ და გადაწყვიტონ ისინი იურიდიულად, ამის სანიმუშო წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა კონსტიტუციური სასამართლოს ღირებულებითი წესრიგის პრაქტიკა. მის საფუძვლად არსებული ღირებულებითი წესრიგის თეორია, როგორც ეს ალექსიმ აჩვენა, არის პრინციპების თეორიის ექვივალენტური²⁷. პრინციპების არგუმენტმა ამით თავის სტრუქტურულ-თეორიულ ვერსიაში, სამოსამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დადასტურება განიცადა.

ბ. გარდა ამისა, დვორკინთან გეხვდება პრინციპების არგუმენტის ნამდვილობაზე ორიენტირებული ვერსია, რომელიც ამბობს, რომ წესების სამართლებრივი ნამდვილობა „test of pedigree“-ს მიესადაგებია, შესაბამისი პრინციპები კი, პირიქით — არა²⁸. „test of pedigree“-თი დვორკინი გულისხმობს სამართლის პოზიტივისტური ცნების ნამდვილობის კრიტერიუმს, როგორც ეს კელზენის ძირითად ნორმაში ან ჰარტის rule of recognition-ში არის დეფინირებული. ორივე, როგორც აღვნიშნეთ, ემყარება არა შინაარსს, არამედ მხოლოდ კანონურობის სახეს და ანდა ნორმათა ეფექტურობას და ამ აზრით, მათ წარმოშობას ანდა მათ გენეალოგიას.

დვორკინის თანახმად, პრინციპები ამ აზრით, არ არიან ფიქსირებადი. მისთვის უცნობია ძირითადი ნორმის უნარის მქონე იდენტიფიკაციის კრიტერიუმი. თუ მე სწორად ვამჩნევ, დვორკინთან შეიძლება, ნამდვილობის მისეული დასაბუთების შესაბამისად, პრინციპების ოთხი სახის გამოყოფა: პირველი, პრინციპები, რომლებიც მკაფიოდ არიან კონსტიტუციაში, ანდა სამართლის სისტემის სხვა კანონებში ჩამოყალიბებული; მეორე, პრინციპები, რომლებიც არ არიან გამოკვეთილად ჩამოყალიბებული, მაგრამ „institutional support“-ის ძალით კანონებში, პრეიუდიცებში, სამართლებრივ ჩვეულებებსა და დოგმატურ სასწავლო შეხედულებებში, სამართლებრივი თვალსაზრისით, შეიძლება კვალიფიცირებულ იქნან ნამდვილად; მესამე, პრინციპები, რომელთაც არა აქვთ საკმარისი ინსტიტუციური მხარდაჭერა, მაგრამ მაინც შეიძლება პრეიუდიციაზე მეტი ძალა ჰქონდეთ, რადგანაც „პოლტიკური“ ანდა „community morality“-ის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ და ამდენად, მათი შინაარსის ძალით, სამარ-

²⁷ Alexy, a. a. o.

²⁸ Dworkin (Fn. 20), insb. S. 39 ff. (dt. Ausg. S. 81 ff.).

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „სამართალი“, 1994, № 5-6.

თლებრივად მოქმედებენ, და მეოთხე, პრინციპები, რომლებიც სისტემის აგებულების მეშვეობით ანდა მისი მორალურ-პოლიტიკური საბაზისო პრინციპების გამო, არ მიიჩნევიან სამოსამართლო გადაწყვეტილებების ლეგიტიმურ საფუძვლად და ამით სამართლებრივი ნამდვილობისგან გამოირიცხული არიან.

მართლაც ურთიერთგადასვლები არსებობს მე-2 და მე-3 კატეგორიების პრინციპებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა institutional support-ის გამოყენება ძირითადი ნორმის უნარიანი გამიჯვნის კრიტერიუმად, დვორკინმა ამგვარი წინადადება უარყო²⁹. დვორკინის თანახმად, ინსტიტუციონალურა მხარდაჭერის ტესტი არ იძლევა ობიექტური ფიქსირების შესაძლებლობას, რადგანაც, მისი აზრით, არ არსებობს გენერალური კრიტერიუმი იმისათვის, თუ რამდენად და რა სახის ინსტიტუციონალური მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს პრინციპს, რომ იგი მოქმედი სამართლის პრინციპად იქნეს მიჩნეული. დვორკინის თეორია ამ წერტილში, ფაქტობრივად, ამსხვრევს პოზიტივისტური სამართლის ცნებას არა მხოლოდ სტრუქტურულ-თეორიულად, არამედ ნამდვილობა-თეორიულადაც.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოზიტიური სამართლის თვალსაზრისით, არგუმენტის ეს ვერსია, ყოველ შემთხვევაში ამ პუნქტში, უსაგნო ხდება, რადგანაც ძირითადად კანონმა პრაქტიკულად მოახდინა ყველა მორალურ-პოლიტიკური საბაზისო პრინციპების ინკორპორაცია პოზიტიური სამართლის კონსტიტუციურ პრინციპებად. მე მეჩვენება, რომ ამ მოსაზრებიდან შეიძლება პრინციპების ნამდვილობა-თეორიული ვერსიის წინააღმდეგ მთავარი კონტრარგუმენტის მოხმობა, „test of institutional support“-ის, როგორც ძირითადი ნორმის უნარიანი გამიჯვნის კრიტერიუმად ჩამოყალიბების მცდელობიდან გამომდინარე. შეიძლება მისი ორ ეტაპად გამოხატვა. პირველ ეტაპზე ნაჩვენებია იქნებოდა, რომ ყველა განვითარებულ სამართლის სისტემაში შესაძლებელია ერთი ნორმის გამოყოფა ძირითად პრინციპად, რომლის მიმართაც სხვა დანარჩენი პრინციპები თანამდევნი და ანდა მისადაგების ურთიერთობაში იმყოფებიან. მეორე ეტაპზე უნდა დასაბუთდეს, რომ ეს პრინციპები მოცემულ სისტემაში კონსტიტუციურ რანგში მოქმედებენ, ე. ი. უშუალოდ ანდა შუალობით მიეკუთვნებიან სისტემის დაწერილ ან დაუწერელ კონსტიტუციას. მაშინ შესაძლებელი იქნებოდა სამართლებრივად მოქმედი პრინციპებისთვის იდენტიფიკაციის კრიტერიუმებად სისტემის კონსტიტუციის მიჩნევა, როგორც ეს კელზენის ძირითად ნორმაშია.

თუ ამ წინააღმდეგობას მივიღებთ მხედველობაში მაშინ პრინციპების არგუმენტი ანგრევს სამართლის პოზიტივისტური ცნების საზღვრებს, მაგრამ მხოლოდ მის სტრუქტურულ-თეორიულ და არა ნამდვილობა-თეორიულ ვერსიაში. ნამდვილობა-თეორიული თვალსაზრისით, ეს საზღვრები მხოლოდ მაშინ იქნებოდა გადაბიჯებული, როცა დიფერენცია მე-3 და მე-4 კატეგორიის პრინციპებს შორის, ე. ი. „community morality“-ის შიგნით და მის გარეთ მდგომ პრინციპებს შორის, გაგებული იქნებოდა არა მხოლოდ ერთი განსაზღვრული სამართლის სისტემის კონსტიტუციის საკითხი, არამედ როგორც სამართლის ცნების საკითხი. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, როცა განსაზღვრული პრინციპები, როგორცაა რასობრივი დისკრიმინაცია, გამორიცხული იქნებოდნენ სამართლის ცნებიდან არა მხოლოდ განსაზღვრული სამართლის სისტემის პოზიციიდან, არამედ სამართლის პოზიციიდან. ამ გზით, რომელსაც არ იხილავს დვორკინი, მიღის კრილე. პრინციპების არგუმენტის ნამდვილობა-თეორიული ვერსია ამ შემთხვევაში ემთხვევა უსამართლობის არგუმენტს.

²⁹ Dworkin (Fn. 20), S. 64 ff., 338 ff. (dt. Ausg. S. 119 ff., 541 ff.).

სამართლის ცნება როგორც სამართლის თეორიის, ასევე სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის სოციოლოგიის დიდი ხნის თემაა. ერთიანობა მის გამო ჯერ არ მიღწეულა და არცაა მოსალოდნელი. ამიტომ მიზანშეწონილია მისი ადეკვატურობის კრიტერიუმებზე საუბარი.

1. სამართალი რთული ფენომენია, რომელიც სხვადასხვა ასპექტით შეიძლება იქცეს მეცნიერული კვლევის ობიექტად, მაგალითად, ისტორიული, სოციოლოგიური, ეთიკური, ლოგიკური, დოგმატური, ეკონომიკური, ლინგვისტური, თეოლოგიური და ა. შ. თვალსაზრისით³⁰. ჩემი თეზაა, რომ სამართლის ცნების ადეკვატურობის კრიტერიუმები იმ დისციპლინებიდან უნდა იქნეს გამოყვანილი, რომლებიც სამართლის კვლევით არიან დაკავებული. ეს თეზა ემყარება მოსაზრებას, რომ მეცნიერული დისციპლინების მრავალმხრივობა, რომლებიც ერთი და იგივე საგნობრივ სფეროებს მოიცავენ, განისაზღვრება მისი მაკონსტრუირებელი კვლევის ასპექტების, კვლევის პერსპექტივების, უფრო ზუსტად, კვლევის ინტერესების მრავალმხრივობით, ეს ნიშნავს, რომ შეიძლება მოცემულ იქნეს სამართლის რამდენიმე ცნება, რომლებიც თანაბრად ლეგიტიმური და ადეკვატური არიან. ჩვეულებრივ, იგივე თეზა არ გამორიცხავს რომ ერთი დისციპლინის შიგნით მრავალი ასპექტი ანდა ასპექტების ინტერპრეტაცია და მათ მისადაგებული მეთოდები და მეთოდოლოგიები ერთმანეთთან კონკურენციაში იმყოფებიან. ეს ხელს უწყობს ცნებათა შორის დავების წარმოშობას, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად დაუსრულებელია.

სამართლის ცნების პრობლემებით უმთავრესად დაკავებული არიან სამართლის ფილოსოფია, სამართლის სოციოლოგია და სამართლის თეორია. მათ საფუძვლად მდებარე ასპექტების განსხვავებულობისაგან დამოუკიდებლად შეიძლება სამართლის ზოგადი, სემანტიკური ცნების ჩამოყალიბება, რომელიც საერთოდ განსაზღვრავს საგნობრივ სფეროს — სამართალი, მაგრამ ერთიმეორესთან მიმართებაში შინაარსობრივად ღარიბია და ნაკლებად მკვეთრი. თომაზიუსისა და კანტის მიერ დაფუძნებულ ტრადიციაში იგი ამბობს, რომ სამართალი არის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ადამიანთა გარეგან ურთიერთობებს არეგულირებს და პოტენციურად იძულებადია. ამ დეფინიციის ცალკეულ ნიშნებზე შეიძლება დავა. მაგრამ სამართლის ცნების საკუთრივი პრობლემები მდებარეობენ არა ამ სიბრტყეზე, არამედ სამართალფილოსოფიური, სამართალ-სოციოლოგიური და სამართალთეორიულ დეფინიციებს შორის სპეციფიკური განსხვავებების სფეროში. ეს განსხვავება გამომდინარეობს ამ დისციპლინების განსხვავებული კვლევითი ასპექტებიდან. ამასთან, სამართლის ფილოსოფიას გეგულისხმობ მისი როგორც ბუნებითი და გონითი სამართლის თეორიის ტრადიციის აზრით, სამართლებრივ ეთიკას, ე. ი. მართალი სამართლის ეთიკურად დასაბუთებულ თეორიას და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და საზოგადოების სწორი მოწყობის თეორიას. შეიძლება ითქვას, რომ სამართლის ფილოსოფია სამართალს მისი მორალური ნამდვილობის ასპექტით იკვლევს, სამართლის სოციოლოგია — სამართალს მისი სოციალური ნამდვილობის ასპექტით და სამართლის თეორია სამართალს მისი სამართლებრივი ნამდვილობის ასპექტით იკვლევს³¹. ეს ნიშნავს, რომ სპეციფიკური დიფერენცია სამართლის ფილოსოფიის, სამართლის სოციოლოგიის და სამართლის თეორიის ცნებებს

³⁰ Dreier, Recht-Moral-Ideologie, Kap. 8, insb. S. 242.

³¹ Dreier, Recht-Staat-Vernunft. Kap. 5, insb. S. 194.

შორის დევს ნამდვილობის თეორიის სფეროში. სხვა სიტყვებით: სამართლის ცნების მთავარი პრობლემები განსაზღვრული არიან სამართლის ცნების სემანტიკურ სიბრტყეზე, არამედ ნამდვილობა-თეორიულად გამოიდრებულ სამართლის ცნების სიბრტყეზე.

მე აქ შემოვიფარგლები სამართლის თეორიის სამართლის ცნებით. სამართლის თეორია მისი წარმოშობისა და მისი უდიდესი ტრადიციის შესაბამისად განსხვავებით სამართლის ფილოსოფიისაგან, როგორც ფილოსოფიური და სამართლის სოციოლოგიისაგან, როგორც სოციოლოგიური დისციპლინებისაგან — არის სპეციფიკური იურიდიული დისციპლინა, რომელსაც საფუძვლად უდევს სპეციფიკური იურიდიული კვლევის ასპექტი.³² იგი, როგორც სამართლის მეცნიერების ნაწილი დისციპლინა, ინსტიტუციურად და მისი ფუნქციების მიხედვითაც, ე. ი. ცალკეული სამართლის თეორეტიკოსების შემთხვევითი ინტერესებისაგან დამოუკიდებლად, იქითკენა მიმართული, რომ გამოიმუშაოს სამართლის ძირითადი ცნებების იურიდიული თეორია (სამართლის მეცნიერების თეორიის ჩართვით). იგი, როგორც მისი ძველი და დღესაც მოქმედი განსაზღვრება ამბობს, არის „ზოგადი სამართლის თეორია“ და მის ობიექტურ თეორიულ ნაწილში შეიძლება იგი სამართლის ზოგად დოგმატიკად განისაზღვროს. კონსტიტუციური მისთვის არის მისი დამოკიდებულება სპეციალური სამართლებრივი დოგმატიკებისადმი და მათი მეშვეობით დამოკიდებულება პრაქტიკისადმი. სამართლის თეორიისეული სამართლის ცნებისთვის ეს ნიშნავს, რომ მისი ადეკვატურობის კრიტერიუმები ნაპოვნი უნდა იქნეს მის სარგებლიანობაში სამართლის დოგმატიკისა და სამართლის პრაქტიკისათვის. აქედან გამომდინარეობს, დოგმატიკის განსხვავებული ფუნქციებისა და პრაქტიკის განსხვავებული სფეროების შესაბამისად, სპეციალიზაციები, რომლებიც აქ არ შეიძლება დეტალურად იქნან განხილული. მე გამოვიდვარ იმ თეზიდან, რომ სამართლის დოგმატიკა არის უპირატესად (ე. ყ.) მოსამართლეებზე ორიენტირებული დისციპლინა და სამართლის თეორიამ შესაბამისად ამისა, უნდა გამოიმუშაოს უპირატესად მოსამართლეებზე ორიენტირებული სამართლის ცნება. მე გამოვხატავ ამ თეზას სამ პუნქტში (და ამით, იმავდროულად, სარგებლიანობის კრიტერიუმებს).

ა. სამართალი მოსამართლისთვის არის ნორმათა ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც იგი კაზუსებს წყვეტს ეს ნიშნავს: მოსამართლის სამართლის ცნება არის არა ემპირიული, არამედ ნორმატიული ცნება. იგი განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც მოსამართლე ახდენს ნორმის, როგორც ასოციის, იდენტიფიკაციას, ნორმის, რომელიც იმ სამართლის სისტემაში, რომელსაც მოსამართლე ემორჩილება, სამართლებრივად მოქმედებს და ამგვარად, სამართლებრივად სავალდებულოა. მართალია, მოსამართლე არ იცნობს განსხვავებას სამართალს, როგორც ის არის, და სამართალს, როგორც ის უნდა იყოს, შორის. მაგრამ ეს განსხვავება მისთვის ემთხვევა განსხვავებას სამართლებრივად მოქმედ და მორალურად მოქმედ სამართალს შორის. სხვა სიტყვებით: მოსამართლისეული სამართლის ცნება არის სამართლებრივად მოქმედი სამართლის ცნება. სამართლებრივ ნამდვილობაში დევს მოსამართლეთათვის, ისევე როგორც ყველა იურისტისთვის საერთოდ, როგორც კვლხენი ამბობს, „ნორმის სპეციფიკური არსებობა“³³ „არსებული სამართალი“, „პოზიტიური სამართალი“ და „სამართლებრივად ნამდვილი სამართალი“ იურიდიული თვალსაზრისით სინონიმებია.

ბ. ყველა მოსამართლეს მეტ-ნაკლები სიცხადით აქვს სამართლის ცნება.

³² იქვე, შესავალი და თავი I.

³³ Kelsen, Reine Rechtslehre, S. 9.

სამართლის თეორიის ამოცანაა, რომ სამართლის ეს ცნება შეიმეცნოს და გამოიკვლიოს. ამასთან, იგი (სამართლის თეორია) შეიძლება აღწერილიყოს მხოლოდ მათი მატერიალური მოქმედებების მიხედვით. იგი იქცევა აღწერით, როცა იკვლევს, თუ სამართლის რომელი ცნება აქვთ მოსამართლეებს ზოგადად და რომელ სტრუქტურებს ავლენს იგი (ცნება). იგი იქცევა ნორმატიულად, როცა იკვლევს, თუ სამართლის რომელი ცნება უნდა ჰქონდეს მოსამართლეს მისი სამსახურიდან გამომდინარე. ჩემი გაგებით, სამართლის თეორია არის მრავალგანზომილებიანი დისციპლინა, რომელიც იურიდიული ასპექტით აწარმოებს როგორც ემპირიულ, ასევე ანალიტიკურ და ნორმატიულ გამოკვლევებს. მისი დოკმატური და პრაქტიკული მიმართებიდან გამომდინარე, როგორც მე ვფიქრობ, მან, როგორც მისი კვლევის შედეგი, სამართლის ისეთი ცნება უნდა ჩამოაყალიბოს, რომელიც თავისი სამსახურიდან გამომდინარე მოსამართლეს უნდა ჰქონდეს. ამ წერტილში შეხედულებები, ცხადია, სცილდება ერთმანეთს. ანალიტიკური სამართლის თეორია, როგორც იგი კელზენსა და ჰარტს ესმით, სამართლის მიმართ იქცევა, სულ ცოტა, მისი საკუთარი წინაპირობების თანახმად, მხოლოდ აღწერით.³⁴ იგი აღწერს და აანალიზებს სამართლის ცნებას, როგორც იგი მოქმედებს სამართლის დოკმატიკასა და პრაქტიკაში, დასაბუთებულად სამართლის ენაში. მაგრამ, როგორც კელზენი, ასევე ჰარტი ვარდებიან საკუთარ წინაპირობებთან წინააღმდეგობაში³⁵. ისინი წარმოადგენენ სამართალსა და მორალს შორის გახლეჩის თეზას და ამ საფუძველზე აკრიტიკებენ სამართალშემეცნების ყველა გამოხატულებას, რომლებშიც გამოთქმულია სამართალსა და მორალს შორის აუცილებელი კავშირი, მაშინაც კი, როცა ისინი სამოსამართლო მეტყველებების პრაქტიკაში დამკვიდრდნენ და ამდენად, პოზიტიური სამართლის შემადგენელი ნაწილი გახდნენ, მაშასადამე, თეორიის წინაპირობებით აღწერილი და გაანალიზებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა გაკრიტიკებული. ამას ნათლად ადასტურებს ჰარტის მიერ გერმანული სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის კრიტიკა, რომლებმაც 1945 წლის შემდეგ რადბრუხის ფორმულა მიიღეს³⁶. კელზენი და ჰარტი ნორმატიულად იყენებენ გახლეჩის თეზას. ისინი არა მხოლოდ ადგენენ, რომ გამოთქმები „სამართალი“ და „მორალი“ ზოგადად ორ სხვადასხვა ნორმათა სისტემას ახასიათებენ, რომელთა შორის განსხვავება უნდა მოხდეს ცნებითი სიზუსტის საფუძველებიდან გამომდინარე, არამედ უარყოფენ მორალსა და სამართალს შორის ცნებით ურთიერთკავშირს იქაც, სადაც იგი სამართლის დოკმატიკასა და პრაქტიკაში თვალსაჩინოა და კარგი საფუძველით მისი დაცვა შეიძლებოდა. შესაბამისად, ისინი აგრეთვე წარმოადგენენ, მათი თეორიის საწინააღმდეგოდ, სამართლის ცნებას, რომლის გამოც ისინი ფიქრობენ, რომ იგი მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ.

გ. თუ სამართლის თეორიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩამოაყალიბოს მოსამართლეზე ორიენტირებული სამართლის ცნება, მაშინ საკითხაა, თუ რომელ მოსამართლეზე ანდა, რაც იგივეა, რომელ სამართლის სისტემაზე იგი ორიენტირებული. იგი შეიძლება ორიენტირებული იყოს ერთ განსაზღვრულ სამართლის სისტემაზე, სამართლის სისტემათა ჯგუფზე ან ყველა ნამდვილ და შესაძლო სამართლის სისტემებზე. თავისი იდეის მიხედვით იგი, როგორც სამართლის ზოგადი თეორია, იქითკნაა მიმართული, რომ ჩამოაყალიბოს სამართლის ცნება, რომელსაც უნივერსალურობის პრეტენზია ექნება,

³⁴ Der Begriff des Rechts in der Rechtstheorie H. L. A. Harts, 1969, S. 76.

³⁵ Vgl. Kriele (Fn. 17), S. 116.

³⁶ Vgl. H. L. A. Hart, Der Positivismus und die Trennung von Recht und Moral, S. 43 ff.

ე. ი. პრეტენზიას განაცხადებს ყველა ნამდვილ და შესაძლო სამართლის სისტემისათვის. სამართლის ზოგი თეორეტიკოსი, როგორც წესი, იმგვარად იტყვება, რომ თავის არგუმენტებს სამართლის სისტემათა იმ ჯგუფებიდან იღებს, რომელთაც იგი, შემთხვევით, მეტ-ნაკლებად კარგად იცნობს. თუ მას სურს თავისი სამართლის ცნებისთვის იმავდროულად უნივერსალურობის პრეტენზია განაცხადოს, მაშინ ეს მან იმ თეორიის საფუძველზე უნდა გააკეთოს, რომელიც მას ამის უფლებას აძლევს.

აქ არაა იმის ადგილი, რომ ეს თეორიები ცალ-ცალკე დავახსიათო. მე შევეხები მხოლოდ შესაძლებლობას, რომ კანტის სამართლისა და ისტორიის ფილოსოფიის ანდა მისი ტრანსცენდენტური ან უნივერსალურ-პრაგმატული მიმართულებების საფუძველზე შევიშუშო თეორია, რომლის ძირითადი თეზა ამბობს, რომ დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს სამართლის ცნებას, თავისუფალი სახელმწიფოების კონფედერაციის იდეასთან მიმართებაში, აქვს უნივერსალური ნამდვილობის პრეტენზია, რადგანაც იგი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პროგრესული ისტორიის შედეგი ანდა როგორც უნივერსალურად მტკიცებადი რაციონალური სტრუქტურების ექსპლიკაცია (პირობითი აღნიშვნების განმარტებები — ლ. ჭ.), რომელთა გარეთა სამართლის სისტემები, რომლებიც ამ მოთხოვნებს არ პასუხობენ, განხილულ უნდა იქნან როგორც წინარეფორმები, უკანდახევები ან დამახინჯებები³⁷. ცხადია, აქ შეიძლება იმის კითხვა, თუ რამდენად აზრიანია სამართლის ცნების იურიდიული თეორიის დამძიმება ამგვარი მაღალი და ფილოსოფიურად კონტროვერსული მოთხოვნებით. მე, ყოველ შემთხვევაში, არ მიჭირს იმის თქმა, რომ სამართლის ცნება, რომელზეც აქ ლაპარაკია, არის დემოკრატიული (და სოციალური) სახელმწიფოს სამართლის ცნება, იმისგან დამოუკიდებლად, შეიძლება თუ არა მისთვის უნივერსალური ნამდვილობის პრეტენზიის დასაბუთება.

ეს შენიშვნები იმავდროულად პასუხობენ კითხვაზე, თუ საიდან მოაქვს სამართლის თეორიას კრიტერიუმები, რომლებიც მის სამართლის ცნებას უღვევს საფუძვლად. იგი იღებს მათ იმ სამართლის სისტემის ნორმატიული თეორიიდან, რომელზეც მისი სამართლის ცნება ვრცელდება. ამასთან, ის, რომ, თუკი მისი ცნების შექმნა სასარგებლო უნდა იყოს, იგი სამართლის ცნების საგულდაგულო ანალიზიდან უნდა გამოვიდეს, თავისთავად იგულისხმება.

2. ნათქვამის საფუძველზე მე მინდა კიდევ რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო წინა ნაწილში განხილული სამართლის პოზიტივისტური ცნების საწინააღმდეგო მოსაზრებების მიმართ. ის, რასაც უსამართლობის არგუმენტი, უწინარეს ყოვლისა, შეეხება, რასაკვირველია, ზღუდავს მის (არგუმენტის) პრაქტიკულ მნიშვნელობას. იგი შეეხება გამონაკლის სიტუაციებს, მათ, რომელთა წინაშეც გერმანული სასამართლოები 1945 წლის შემდეგ აღმოჩნდნენ და ერთეულ შემთხვევებში დღეს აღმოჩნდებიან ხოლმე³⁸. თუ რატომ ვთვლი ამ არგუმენტს დამაჯერებლად, ეს უკვე გამოვარკვეე. სამართლის ცნების თვალსაზრისით შეიძლებოდა მისთვის ანგარიშის გაწევა იმით, რომ სამართლის პოზიტივისტურ

³⁷ Zur Rechts—und Geschichtsphilosophie Kants: Dreier, Recht—Moral—Ideologie, Kap. 10; ders., in: Immenga (Hg.), Rechtswissenschaft und Rechtsentwicklung, 1980, S. 1-15, 2 ff. — Zur Transzendentalpragmatik: Apel, Transformation der Philosophie, 2 Bde., 1976, insb. Bd. I, S. 9 ff.; Bd. 2, S. 155 ff. — Zur Universalpragmatik; Habermas, in: ders., Vorstudien und Ergänzungen zur Theorie der kommunikativen Handelns, 1984, S. 353-440.

³⁸ საერთაშორისო კოლოზიათა სამართალში რადბრუხის ფორმულის ფუნქცია გადაღებულ იქნა ე. წ. „ordre public-Klausel“-ის მიერ.

ცნებას ერთეულ ნორმებთან მიმართებაში რადბრუხისეული ფორმულა და ნორმათა სისტემებთან მიმართებაში კრილეს ფორმულის შესუსტებული ვარიანტი ჩაურთონ და ამით სამართლებრივი ეთიკის თვალსაზრისით ცნების სავმარინი მოდიფიკაცია მოახდინონ.

ნაკლებადაა ცნობილი პრინციპების არგუმენტის შინაარსი და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. მისი ნამდვილობა-თეორიული ვერსია აქ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს. როგორც ითქვა, იგი ნაწილობრივ ემთხვევა უსამართლობის არგუმენტს, ნაწილობრივ კი იძლევა შესაძლებლობას, როგორც მე ვვარაუდობ, იმით შევასუსტოთ, რომ მისი ნამდვილობადასაბუთების საეჭვო პრინციპებს კონსტიტუციურ პრინციპებად ადასტურებენ. რჩება სტრუქტურულ-თეორიული ვერსია. მისგან გამომდინარე შეჯერების პრობლემატიკა სასამართლოების ყოველდღიურ პრაქტიკაში უეჭველად თამაშობს თითქმის შეუფასებელ როლს. მიუხედავად ამისა, შეიძლება კითხვა, არგუმენტის ამ ვერსიაში ხომ არ არის ლაპარაკი მხოლოდ ორ კონკურენტულ ცნებათა სტრატეგიაზე, რომლებიც ბოლოში მხოლოდ ტერმინოლოგიურ საკითხში გადადიან. პოზიტივისტური სტრატეგია ამბობს, რომ მოსამართლე პოზიტივიზმი სამართლის გაურკვეველ სიტუაციებში მორალური თვითშეფასებისთვის უფლებამოსილიაო. პრინციპულ-თეორიული სტრატეგია ამბობს, რომ ამ სფეროშიც კი, ყოველ შემთხვევაში, უფრო ფართოდ, სამართლებრივად, კერძოდ, სამართლებრივად მოქმედი პრინციპებით არისო შებოჭილი. ტერმინოლოგიური საკითხი მაშინ არსებობს, როცა საკითხავია, თუ რა უნდა ეწოდოს იმ ღირებულებებსა და მიზნებს, რომელთა მიმართაც არიან მოსამართლეები ორიენტირებული — მორალი თუ სამართალი. ამის მიმართ მინდა სამი შენიშვნა გავაკეთო.

ა. მოსამართლის სამსახურს შეადგენს, რომ კახუხები მოქმედი სამართლის მიხედვით მეთოდურად კორექტულად გადაწყვეტოს და თავისი გადაწყვეტილება ისე დაასაბუთოს, რომ მისთვის, ვისაც იგი ეხება, ასევე დაინტერესებული საზოგადოებისთვის მისაღები იყოს. მაგრამ მოსამართლის გადაწყვეტილება უფრო მისაღებია, როცა იგი არა მხოლოდ მორალურად, არამედ სამართლებრივადაც დასაბუთებულია. პრინციპების თეორია აჩვენებს, რომ და როგორ შეიძლება უმძიმეს შემთხვევებშიც კი სამართლებრივი დასაბუთება. შესაბამისად ამისა, პრინციპების სტრატეგია იმსახურებს პოზიტივისტურის საპირისპიროდ უპირატესობას, მაშინაც როცა იგი ხარვეზიანია, რათა მოსამართლის მორალური შეფასება შეავსოს.

ბ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პრინციპების არგუმენტის სტრუქტურულ-თეორიული ვერსია საგნობრივად დიდი ხანია დისკუსიის საგანია „ღირებულებითი წესრიგის თეორიის“ სახელით. მთავარი კონტრარგუმენტი, რომელიც ამ თეორიის წინააღმდეგ მოიხმობა, ამბობს, რომ ამ თეორიასთან დაკავშირებული სამართლის მოქნილობა ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გამოხატვის წინასწარგათვალისწინებლობის შესუსტებას, ასევე კანონმდებლის დამოუკიდებლობის ჩამორთმევას და სასამართლოებისთვის გადაჭარბებული უფლებამოსილებების გადაადგილებას ხელისუფლებათა დანაწილების სისტემაში. სამართლის მოქნილობა და მატერიალიზაცია უფრო ძველია, ვიდრე ღირებულებათა წესრიგისა და პრინციპების თეორია, და მათ აქვთ, ყოველ შემთხვევაში, არსებითად ექსტერნულ-თეორიული საფუძვლება. დასახელებული თეორიები კი არ იწვევენ ამას, არამედ რეაგირებენ მათზე და აქცევენ მათ იურიდიულად დამუშავებად, ყოველი პროცესის მიზეზები აშკარად მდებარეობენ სწრაფ სოციალურ ცვლილებებსა და კანონმდებლის რეაქციაში მათზე: „მიმართვა გენერალური დათქ-

მებისადმი“, ერთი მხრივ და „კანონმდებლობის მოტორიზება“, მეორე მხრივ, რომლებიც ბუნდოვან და ერთმანეთთან ნაკლებად შეთანხმებული წესების ნაკადურ წარმოებაში მანიფესტირდებიან.³⁹ მათ მოსდევს ცვლილებები სამართალში და განსაკუთრებით, მოქალაქეთა სამართლებრივ ცნობიერებაში, რომლებიც მაღალ მოთხოვნებს აყენებენ სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისადმი და მიღებისადმი. ღირებულებათა და პრინციპების თეორიები ცდილობენ როგორც გარდაუვალ, ასევე მზარდ სფეროებს სამოსამართლო თვითშეფასებისას სამართლებრივი სტრუქტურები მიუსადაგონ. შესაბამისად ამისა, უარყოფილია ადრე განხილული ე. წ. გადაფარვის წინააღმდეგობები.

გ. პოზიტივისტური სტრატეგია მოსამართლეს უთითებს მორალურ თვითშეფასებაზე. იგი შეიძლება თავისუფალი ან შებოჭილი იყოს. თუ ვარაუდობენ რომ იგი შებოჭილია, მაშინ ეს არის ღირებულებებითა და პრინციპებით ბოჭვა, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს არსებითად იგივეა, რასაც პრინციპების სტრატეგია იხილავს. თუ პირიქით ვარაუდობენ, რომ, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სამოსამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ამ ბოჭვას წცილდება, არათუ მორალურად, არამედ სამართლებრივადაც შეცდომიანია, ამ შემთხვევაშიც ეს ლაპარაკობს პრინციპების სტრატეგიის სასარგებლოდ.


ამ შენიშვნებმა ნათელი უნდა გახადონ, რომ პრინციპების არგუმენტის სტრუქტურულ-თეორიული ვერსიისას ლაპარაკია არა მხოლოდ ტერმინოლოგიის საკითხზე, არამედ სამართლის შემეცნების მეტად პრინციპულ პრობლემაზე. საბოლოო ჯამში, მე ვფიქრობ, რომ, ბოლოსდაბოლოს, არა მხოლოდ ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს განხილული პრაქტიკა იძლევა იმის კარგ საფუძველს, რომ სამართლის პოზიტივისტური ცნება ამ თვალსაზრისითაც გადასინჯულ იქნას. ეს რევიზია შეეხება სამართლის განმარტებასა და გამოყენებას და არ არის სავალდებულო, რომ სამართლის დენინციაში აისახოს იგი⁴⁰.

V. სამართლის იურიდიული ცნების დეფინიცია

სამართლის ცნების შესახებ ერთი კვლევისაგან მოსალოდნელია, რომ იგი დეფინიციით დამთავრდეს. მე შევასრულებ ამ მილოდინს, თუმცა ყველა პუნქტი არ დამიხასიათებია, რომლებიც უნდა დახასიათებულიყო. სამართლის იურიდიული ცნების დეფინიცია, როგორც მე ვფიქრობ, იურიდიული თვალსაზრისით რაციონალურად უნდა შეიცავდეს ნორმის და ნორმათა სისტემის ავტორიტარულ კანონურობას, სოციალური ეფექტურობისა და მატერიალური სისწორის ელემენტებს. ამასთან, უეჭველი უნდა იყოს, რომ სისტემაზე დამოკიდებული ნორმებისთვის სახელმწიფოებრივად ორგანიზებული სამართლის სისტემის შიგნით ავტორიტარული კანონურობის ელემენტს უპირატესობა ექნება და სოციალური ეფექტურობისა და მატერიალური სისწორის ელემენტების შემთხვევით მხოლოდ მოდიფიცირდება იგი. ჩვეულებრივ, თითოეული ამ ელემენტთან-

³⁹ Vgl. Hedemann, Die Flucht in die Generalklauseln, 1933; C. Schmitt, Die Lage der europäischen Rechtswissenschaft (1943/44), in: ders., Verfassungsrechtliche Aufsätze, 2. Aufl. (1973), S. 386-429, 404 ff. („Der motorisierte Gesetzgeber“); s. auch Dreier, JZ 1985, S. 353-359 (=oben Kap. 3).

⁴⁰ ეგზეგეტარული ფორმულირებები სამართლის ცნებითი შედეგების შესახებ, რომლებიც პრინციპების არგუმენტთან გამომდინარეობენ, ასახულია ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს პრინციპულ გადაწყვეტილებებში, რომლებიც განამტკიცებენ სამართლის სამოსამართლო განვითარების შესაძლებლობას სამართლებრივ სახელმწიფოში. BVerfGE, 34, 269 (286 ff.).



განი და მათი სხვადასხვა ურთიერთმიმართებები უფრო ზუსტად უხდა ყოფილიყო გამოკვლეული, ვიდრე ეს დროის ნაკლებობის გამო აქ შესაძლებელია არ განხილულა აგრეთვე საერთაშორისო სამართლის თავისებურებები ან შევეხეთ მათ მხოლოდ გაკვრით. ამ შეზღუდვებით მე ვთავაზობ შემდეგ დეფინიციას: სამართალი არის ერთობლიობა იმ ნორმებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ან სახელმწიფოთაშორის ნორმათა სისტემას, რამდენადაც იგი მთლიანად და სრულად სოციალურად ეფექტურია და წარმოაჩენს ეთიკური გამართლების ან გამართლებასუნარიანობის მინიმუმს, და ასევე ერთობლიობა იმ ნორმებისა, რომლებიც ამ სისტემის წყობილების შესაბამისად არიან დადგენილი, რამეთუ ისინი, თავისთავად აღებული, სოციალური ეფექტურობის მინიმუმს ანდა ეფექტურობის შანსებს და ეთიკური გამართლების ანდა გამართლებისუნარიანობის მინიმუმს წარმოაჩენენ.

დამატება

1. შედარებისთვის აღვნიშნავ ამ სტატიის კრიტიკაზე ნ. ჰოერსტერისა და ვ. კრავიტცის მიერ. კრავიტცის კრიტიკას მე სრულყოფილად ვუპასუხე. ამ პასუხში ჰოერსტერის კრიტიკასაც შევეხე. დამატებით აღვნიშნავ აქ სიამოვნებით, რომ ჩემს სტატიაში კელზენისა და ჰარტის პოზიციები გაუგებრობად წარმოვადგინე. ფაქტობრივად, სამართლისა და მორალის გახლეჩის პოზიტივისტურ თეზაში ლაპარაკია, როგორც ჰოერსტერმა შემდგომ შენიშნა, არა „ვინმეს ფაქტობრივი სიტყვაზმარების ემპირიულ დადგენაზე“, არამედ იმის ნორმატიულ დადგენაზე, რაც სამართლად უნდა იქნეს მიჩნეული. კონტროლერსულია არგუმენტები „მორალურად ნეიტრალური“ და „მორალით შეპყრობილი“ განსაზღვრების საწინააღმდეგოდ და სასარგებლოდ.

2. სამართლის პოზიტივიზმის შესახებ დისკუსია იყო საგანი სამართლისა და სოციალური ფილოსოფიის საერთაშორისო კავშირის დასაჯლეთ გერმანული სექციის კონფერენციისა 1988 წლის 12-14 ოქტომბერს გოეტინგენში. ამ კონფერენციის მოხსენებები დაბეჭდილია.

3. 1990 წლის 3 ოქტომბერს ორივე გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების შემდეგ გერმანული სამართლისმცოდნეობა კვლავ — როგორც ერთხელ უკვე 1945 წელს — დგას იურიდიული „წარსულის დაძლევის“ უმაგალითო ამოცანის წინაშე. ამასთან, უსამართლობის არგუმენტი, სხვა განსხვავებებისთვის ხელშეუხებლად, კვლავ თამაშობს მეტად მნიშვნელოვან როლს. ამ არგუმენტის სისტემური კვლევა ყოფილი გდრ-ის ბატონობის სისტემასთან მიმართებაში ჯერჯერობით არ არსებობს.

⁴¹ Zur Bedeutung des Richtigkeitselements im Common-Law-Bereich vgl. z. B. R. S. Summers, Two Types of Substantive Reasons: The Core of a Theory of Common-Law Justification, in: Cornell Law Review 63 (1978), S. 707-788. S. auch ders., Working conceptions of „the Law“, in: Lau and Philosophy (1982), S. (263-289).

**გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის
გეროკ სასწავლო სემინარის მასალები***

პაქტში დადგენილი სასამართლო წესით დაცვის მთელი რიგი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება პაქტში ჩამოყალიბებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში, უტოლდება ან აღემატება საყოველთაო დეკლარაციით ან სხვადასხვა შეთანხმებებით მიღებულ დოკუმენტებში აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ლტოლვილთა კანონისა და ჰუმანიტარული სამართლის საფუძველს. უპირველეს ყოვლისა, პაქტის მუხლი 2 (3)-ის მიხედვით პაქტის წევრი ყოველი ქვეყანა ვალდებულია „სასამართლო წესით დაიცვას ნებისმიერი ის პირი, რომლის უფლებები და თავისუფლებები დარღვეულია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უფლებების დარღვევა ოფიციალური პირია“ და „უზრუნველყოს, რათა პიროვნებას, რომელიც ასეთ დაცვას მოითხოვს, საჭიროების შემთხვევაში მიეცემა კომპეტენტური იურიდიული, ადმინისტრაციული და სამართლებრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა გადაწყვეტლებით მიღებული ასეთი დაცვის უფლება“. ამრიგად, პაქტში თუმცა ჩამოყალიბებული არ არის საშინაო დაცვის უფლება, იგი უზრუნველყოფს მის არსებობას, რაც მეტად მნიშვნელოვანია იურისტიკისათვის, რომელიც განიხილავს საშინაო საჩივრებს. მეორე, მუხლი 40-ის თანახმად პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა წარუდგინონ ანგარიში ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს იმის შესახებ თუ „რა ზომები მიიღეს პაქტით აღიარებული უფლებების განსახორციელებლად“. მესამე, იმ შემთხვევაში, როდესაც საშინაო სასამართლო წესით დაცვის ყველა საშუალება ნაცადი და ამოწურულია, საქმე, 41-ე მუხლის თანახმად, გადაეცემა ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს. ეს უკანასკნელი საკითხი შეზღუდულია თვით პაქტის მიერ, რადგანაც კომიტეტის ეს საგანგებო უფლებამოსილება აღიარეს მხოლოდ იმ წევრმა ქვეყნებმა, რომლებმაც აიღეს ინიციატივა კომიტეტის წინაშე ანგარიშების წარდგინის თაობაზე. ამის შემდეგ კომიტეტი შეისწავლის საქმეს და თუ წევრი ქვეყნები თვითონ ვერ შეთანხმდებიან გადაწყვეტილების გამოტანაზე, იგი ამისათვის ნიშნავს სპეციალურ კომისიას, რომელიც ასრულებს სახელმწიფოებს შორის შუამავლის როლს „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების“ პატივისცემის საფუძველზე, როგორც ეს აღიარებულია საერთაშორისო პაქტში. ასეთი პროცედურა აქამდე გამოყენებული არ ყოფილა. ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის თვალსაზრისით დებულებების განხორციელების ჯაჭვში ყველაზე სუსტი მომენტია, რადგანაც თუ ირღვევა მათი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები თავშესაფარ ქვეყანაში, ვერც თავშესაფარი ქვეყანა და ვერც ის ქვეყანა, რომელიც პიროვნებამ დატოვა, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს საჩივარს ვერ წარუდგენს. ამიტომ, ლტოლვილი, თავშესაფრის მაძიებელი ან გადაადგილებული პირი, რომელმაც ამოწურა მისი სასამართლო წესით დაცვის ყველა საშუალება, იძულებულია დაელოდოს საერთაშორისო პაქტის წევრი რომელიმე მესამე ქვეყნის ჩარევას, რომელიც სცნობს კომიტეტის იურისდიქციას და სურს მოცემული პიროვნება.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის 1966 წლის ფაკულტა-

* დასასრული. დასაწყისი იხ. ქურნ. „სამართალი“, 1994, № 5-6.

ტური პროტოკოლის მუხლი 2-ის თანახმად, პიროვნებას, რომლის უფლებებიც დაირღვა და რომელმაც ამოწურა საშინაო სასამართლო წესით დაცვის ყველ საშუალება, შეუძლია კომიტეტს განსახილველად წარუდგინოს საჩივარი. პრც ასეთ შემთხვევებში კომიტეტის კონტენციაში არ შედის არავითარი იურიდიული ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გამოტანა. კომიტეტი, ფაკულტატიური პროტოკოლის მუხლი 5 (6)-ის შესაბამისად დარღვევების თაობაზე თავის მოსაზრებებს მოახსენებს შესაბამის პიროვნებას, ბრალდებულ ქვეყანას და გენერალურ ასამბლევას; დაჟინებით მოითხოვს რა, რომ პაქტის პირობების დამრღვევმა ქვეყანამ უზრუნველყოს საშინაო სასამართლო წესის დაცვის ყველა საშუალება. მართლაც, ერთი კერძო შემთხვევის სათანადო ინსტანციებში განხილვის შედეგად ლტოლვილის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. უნდა აღინიშნოს, რომ 25 წლის განმელობაში გენერალური ასამბლევის მიერ მიღებული იქნა სხვადასხვა სახის პაქტები. ფაკულტატიური პაქტის წევრი გახდა მხოლოდ 54 ქვეყანა, ამით პიროვნებებს მიეცათ დახმარების მიღების კიდევ ერთი საშუალება. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის რატიფიკაცია მოახდინა მხოლოდ 96-მა ქვეყანამ, დაახლოებით 70 ქვეყანა, მათ შორის აშშ პაქტის წევრი არ გამხდარა.

ბ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სავრთაშორისო პაქტი

ეს პაქტი ყოველ ადამიანს აძლევს მთელ რიგ სხვა უფლებებს, რომლებიც შედის საყოველთაო დეკლარაციაში. ეს უფლებებია: შრომის უფლება (მუხლი 6), სამართლიანი ანაზღაურების, შრომის უსაფრთხოების, სამსახურში დაწინაურების ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობის, დასვენებისა და გართობის უფლება (მუხლი 7), პროფესიული კავშირების შექმნის უფლება (მუხლი 8), სოციალური უსაფრთხოების უფლება (მუხლი 9), ცხოვრების სათანადო დონით სარგებლობის უფლება (მუხლი 11), სამედიცინო მკურნალობის უფლება (მუხლი 12), განათლების უფლება — დაწყებითი სავალდებულო განათლების, და საშუალო და უმაღლესი განათლების თანაბრად მისაწვდომობის ჩათვლით (მუხლი 13), ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უფლება (მუხლი 15 (1) (გ)), საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება (მუხლი 15 (1) (ა)).

თუმცა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტი მიზნად ისახავს ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელ და გადაადგილებულ პირთა მრავალი იმ უფლების დაცვას, რომელიც აღიარებულია საყოველთაო დეკლარაციის მიერ, მაგრამ არ არის აღიარებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტში, პუნქტებში ამ უფლებების განხორციელების შესახებ არ არის ისე ძლიერი, როგორც ეს არის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტში და ფაკულტატიურ პროტოკოლში. ქვეყნები, რომლებიც შეუერთდნენ ეკონომიკური და სოციალური უფლებების პაქტს, ვერ უზრუნველყოფენ იმ პიროვნებების საშინაო სასამართლო წესით დაცვას, რომელთა პაქტით მინიჭებული უფლებები ირღვევა. პაქტში ჩამოყალიბებული ეკონომიკური უფლებების დაცვის გარანტია არ არის აუცილებელი იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ არ არიან მისი მოქალაქეები. სამაგიეროდ, მუხლში 2 (3) ნათქვამია, „განვითარებად ქვეყნებს, ადამიანის უფლებებისა და ეროვნული სახალხო მეურნეობის სათანადო გათვალისწინებით შეუძლიათ განსაზღვრონ რამდენად შეძლებენ ისინი ამ პაქტით აღიარებული ეკონომიკური უფლებების დაცვას იმ პირების მიმართ, რომლებიც არ არიან ამ ქვეყნების“

მოქალაქეები“. ამრიგად, ლტოლვილებს, თავშესაფარის მაძიებლებსა და გადაადგილებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ უფრო მეტი გარანტიებით, რომელიც განხორციელდება პაქტის პირობების მიხედვით. ამ პაქტის რასაწინააღმდეგობრივი ფიციკაცია მოახდინა 100-მა ქვეყანამ.

ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი

ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი, ისევე როგორც ადამიანის უფლებების დაცვის კანონი და ჰუმანიტარული სამართალი, უზრუნველყოფს ლტოლვილთა, თავშესაფარის მაძიებელ და გადაადგილებულ პირთა სამართლებრივ დაცვას. ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალს და შეთანხმების შედეგად მიღებულ სამართალს ისეთივე ძალა აქვს, როგორც საერთაშორისო სამართალს. ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი შეიქმნა ქვეყნების საერთო და შეთანხმებული პრაქტიკით, გამომდინარე სამართლებრივი ვალდებულებებიდან ასეთი კანონი სავალდებულოა იმ სახელმწიფოებისთვისაც კი, რომლებიც არ იყენებენ აღნიშნულ პრაქტიკას. საფუძვლიანად არგუმენტირებულია, რომ ფაქტობრივად საყოველთაო დეკლარაციაში მოცემული ყველა პრინციპი, თავშესაფარის უფლების ჩათვლით შეადგენს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალს. რასაკვირველია, ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი შეიცავს ხანგრძლივი უკანონო დაკავებისაგან დაცვის უფლებას. თავშესაფარის მაძიებელთათვის, ეს უფლება, სხვა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია. ფაქტობრივად რამდენიმე უფლება უაპელაციო ნორმების დონეზეა, ეს ის ნორმებია, რომლებიც კრძალავენ პიროვნების ღირსების შელახვას. იმის გამო, რომ ეს უაპელაციო ნორმები ძალიან გავრცელებულია, მათ შეუძლიათ გააუქმონ საერთაშორისო შეთანხმებები და საერთაშორისო სამართლის სხვა დებულებები, რომლებიც ამ ნორმებს ეწინააღმდეგება.

ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირების და მთავრობის უფლებები და მოვალეობები

1. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემა ერთ-ერთი ურთულესი საკითხია, რომელიც დღეს დგას მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა ორგანიზაციათა თავყრილობებზე მრავალგზის განიხილება ეს პრობლემა, რათა გამოინახოს უფრო ეფექტიანი გზები ამ განსაკუთრებულად დაზარალებულ ადამიანთა ჯგუფების მფარველობისა და დახმარებისათვის.

ლტოლვილთა უფლებები და მოვალეობები

2. ლტოლვილებს გააჩნიათ უფლებები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს თავშესაფარის ძებნამდე, ძებნის პროცესში და მის შემდგომ. ადამიანის უფლებების დაცვა უმნიშვნელოვანესი პირობაა დღეს მსოფლიოში ლტოლვილთა ნაკადების თავიდან ასაცილებლად და მათი პრობლემების გადასაჭრელად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისრის სადაკო ოგატას სიტყვებით „ლტოლვილთა საკითხებზე ზრუნვა უნდა დაეკისროს ყველა მთავრობესა და ხალხებს, რაც იქნება მათი ვალდებულებების შესრულების გამოცდა ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში“.

3. მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილი და განსაზღვრულია ლტოლვილებისადმი დამოკიდებულების ძირითადი სტანდარტები. განვიხილოთ გან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია 1951 წლის კონვენცია და 1967 წლის ოქმი ლტოლვილთა სტატუსთან დაკავშირებით.

4. კონვენცია ადგენს ლტოლვილებისადმი დამოკიდებულების მინიმალურ სტანდარტებს ადამიანის იმ ძირითადი უფლებების გათვალისწინებით, რომლებიც მათზედაც, ისევე როგორც სხვებზე ვრცელდება. ის აგრეთვე განსაზღვრავს ლტოლვილთა იურიდიულ სტატუსს და საკითხებს მათი უფლებების შესახებ.

5. რა უფლებები და მოვალობები აქვს პიროვნებას ლტოლვილად ცნობის შემდეგ?


6. კონვენციის მე-2-ე მუხლში ჩამოყალიბებულია, რომ ყოველ ლტოლვილს გააჩნია მოვალობები იმ ქვეყნის წინაშე, რომელშიც იგი აღმოჩნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ლტოლვილი ემორჩილება ამ ქვეყნის კანონებსა და წესებს და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად გატარებულ ღონისძიებებს. ამგვარად, ლტოლვილს თავშესაფარ ქვეყანაში გააჩნია იგივე მოვალობები, რაც ამ ქვეყნის მოქალაქეს ან ნებისმიერ სხვა პიროვნებას, რომელიც ამ ქვეყანაში აღმოჩნდება.

(1) თავშესაფარი ქვეყნის კანონების შესატყვისი ვალდებულება.

7. ლტოლვილის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი უფლება მოცემულია კონვენციის 33-ე მუხლში. ეს არის უფლება, რომელიც შეიცავს პრინციპს non-refoulement. მასში ნათქვამია, არცერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება გააძევოს ან დააბრუნოს ლტოლვილი იმ ტერიტორიაზე, სადაც მისი სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, სოციალური წარმომავლობის ან პოლიტიკური შეხედულების მიზეზებით. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნება არის ლტოლვილი იმის გამო, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა იგი ლტოლვილად სცნეს. პიროვნება ლტოლვილია, თუ იგი აკმაყოფილებს ტერმინ „ლტოლვილის“ განმარტებას (ლტოლვილი, განმარტების და არა მისი აღიარების გამო). ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნება, რომელიც ითხოვს ლტოლვილის სტატუსს, სარგებლობს non-refoulement-ის უფლებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაადგენენ, რომ პიროვნება არ არის ლტოლვილი, მას გააძევებენ, ან დააბრუნებენ იმ ტერიტორიაზე, საიდანაც ის მოვიდა. ამ ფორმულირებასთან დაკავშირებით საჭიროა ზოგიერთი დამატებითი განმარტება.

* იმის გამო, რომ non-refoulement-ს პრინციპი არის ქვაკუთხედი ლტოლვილის მფარველობის საქმეში და აგრეთვე იმის გამო, რომ non-refoulement-ს პრინციპის განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგები ლტოლვილისათვის, იგი არ უნდა იქნეს გაძევებული, ან დაბრუნებული იმ ტერიტორიაზე, რომელიც მან დატოვა მანამ, სანამ არ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას მის სტატუსთან დაკავშირებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ ან მეორე ეტაპზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება არ არის საკმარისი თავშესაფარის მაძიებელი პირის განდევნისათვის. სანამ თავშესაფარის მაძიებელ პირს შეუძლია მიმართოს უფრო მაღალ იურიდიულ ან პოლიტიკურ ინსტანციებს, რომლებმაც შეიძლება მიიღონ განსხვავებული გადაწყვეტილება, თავშესაფარის მაძიებელი პირი სარგებლობს იმ უფლებით რომ არ იქნეს გაძევებული.

1) non-refoulement ამომწურავი სამართლებრივი დაცვის განსახორციელებლად.



* მეორე პირობა მდგომარეობს იმაში, რომ გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ non-refoulement-ის პრინციპს ავრცელებს ყველა იმ სახელმწიფოზე, სადაც არსებობს რეალური საფუძველი იმისა, რომ პიროვნებას, განდევნის ან უკან დაბრუნების შემთხვევაში ელის წამების საფრთხე. ამრიგად, მაშინაც კი, როდესაც პიროვნება არ არის ლტოლვილი, იმ შემთხვევაში თუ მას უკან დაბრუნებისას ემუქრება წამების საფრთხე, იგი დაცული უნდა იყოს non-refoulement-ის პრინციპით. იმის დასადგენად არსებობს თუ არ ასეთი საფრთხე, ხელისუფლების კომპეტენტურმა წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა შესაბამისი გარემოება, მათ შორის, აქვს თუ არა ადგილი შესაბამის ქვეყანაში ადამიანის უფლებების უხეშ, აღმამყოფებელ და მასიურ დარღვევას.

2) non-refoulement – მაშინაც კი თუ თავშესაფარის მაძიებელი არ არის ლტოლვილი, და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მას დააბრუნებენ თავის ქვეყანაში, სადაც დარღვეულია ადამიანის უფლებები.

8. მუხლი 31.1 ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ლტოლვილი, მძიმე მდგომარეობის გამო, შესაძლოა ვერ აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც დაწესებულია ნორმალური ვითარების დროს ქვეყანაში შესასვლელად. ამიტომ, მათდამი დამოკიდებულება განსხვავებული უნდა იყოს იმ უცხოელებისადმი დამოკიდებულებისაგან, რომლებიც ნორმალურ ვითარებაში შედიან ქვეყანაში. ეს განსაზღვრულია ლტოლვილების დასაცავად დეპორტაციის ან გასახლებისაგან ოფიციალური სტატუსის მინიჭებამდე. ამასთან ლტოლვილები არ ისჯებიან ქვეყანაში უკანონოდ შესვლისათვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი შემოვიდნენ იმ ქვეყნიდან, სადაც მათ ემუქრებოდათ საფრთხე და თუ დაუყოვნებლივ თვითონვე წარსდგებიან ხელისუფლების კომპეტენტური წარმომადგენლების წინაშე.

9. კონვენციის მე-5-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს შეუძლია ლტოლვილს მინიჭოს ნებისმიერი უფლება და პრივილეგია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კონვენცია მხოლოდ ადგენს მინიმალურ სტანდარტს, რომელიც ყველა ვითარებაში უნდა დაიცვას ყველა წევრმა ქვეყანამ. გარდა ამისა, მე-3 მუხლის თანახმად სახელმწიფომ, კონვენციის გამოყენების დროს, უნდა დაიცვას პიროვნება ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან. ლტოლვილებისადმი დამოკიდებულება ისეთივე უნდა იყოს, როგორც საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისადმი, ყოველ შემთხვევაში მათ უნდა შეუქმნას არა ნაკლებ მოსახერხებელი პირობები, ვიდრე სხვა უცხოელებს იგივე პირობებში. ლტოლვილს აქვს შემდეგი უფლებები:

- რელიგიური რიტუალების ჩატარებისა და რელიგიური განათლების მიღების თავისუფლება (მუხლი 4).
- თავისუფლად მიმართონ სასამართლოს იურიდიული დახმარების მიღების ჩათვლით (მუხლი 16).
- შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება (მუხლი 13).
- სამრეწველო საკუთრების დაცვის უფლება, როგორცაა გამოგონებები, ესკიზები ან მოდელები, სამრეწველო ნიშნები, ფირმის დასახელება, აგრეთვე ლიტერატურულ, ხელოვნებისა და სამეცნიერო ნაშრომებზე საავტორო უფლება (მუხლი 14).
- არაპოლიტიკური, არაკომერციული და პროფესიული ასოციაციების შექმნის უფლება (მუხლი 15).
- შრომის კანონმდებლობისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლება (მუხლი 24).
- სახელმწიფოსაგან დახმარების მიღების უფლება (მუხლი 23).

— დაწყებითი განათლების მიღების უფლება (მუხლი 22).

10. 1951 წლის კონვენციის პრეამბულაში აღნიშნულია ის პრინციპი, რომ ყოველმა ადამიანმა დისკრიმინაციის გარეშე მისი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, საკუთრების, დაბადების ადგილის ან სტატუსის გამო, უნდა ისარგებლოს ადამიანის ძირითად უფლებებითა და თავისუფლებებით. ადამიანის ძირითადი უფლებები საყოველთაოა და გამოიყენება ყველას მიმართ: ლტოლვილებისა და თავშესაფარის მაძიებელთა ჩათვლით, განურჩევლად იმისა კანონიერად იმყოფებიან ქვეყნის ტერიტორიაზე თუ არა. ადამიანის საყოველთაო უფლებები პირველად ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში. სახელმწიფოები მორალურად ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ამ უფლებებისა და თავისუფლებების განვითარებას. მოგვიანებით ეს უფლებები კიდევ უფრო დაიხვეწა იურიდულად სავალდებულო საყოველთაო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ და საყოველთაო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

11. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია წარმოადგენს საერთაშორისო ადამიანის უფლებების საფუძველს. იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ლტოლვილებს, თავშესაფარის მაძიებელ და იძულებით გადაადგილებულ პირებს, ეს დეკლარაცია მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგანაც ბევრ შემთხვევაში მხარს უჭერს უფრო მეტი უფლებების მინიჭებას, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ლტოლვილთა კანონითა და ჰუმანიტარული სამართალით. მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თავშესაფარის ძებნის უფლებას. მუხლი 14 (1)-ში გადმოცემულია: „ყველას აქვს უფლება ეძიოს თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს მისით, რათა თავი დააღწიოს დევნას“. ამგვარად, 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის პროტოკოლისაგან განსხვავებით, საყოველთაო დეკლარაცია სცნობს თავშესაფარის ძებნის უფლებას თავშესაფარ ქვეყანაში შესვლამდე.

12. ეს არის პრინციპი, რომელიც შეეხება არა მხოლოდ თავშესაფარ ქვეყანას, არამედ იმ ქვეყანასაც, სადაც დევნა ხდება. გარდა ამისა, ტერმინ „დევნის“ მნიშვნელობა კი არ იცვლება „რასის, რელიგიის, ეროვნების, სოციალური წარმოშობის და პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით, როგორც ეს ხდება 1951 წლის კონვენციასა და 1967 წლის პროტოკოლში, არამედ ვრცელდება დევნის ყველა ფორმაზე. ამ ფართო უფლებას გააჩნია მხოლოდ ერთი შეზღუდვა, რომელიც გადმოცემულია მუხლ 14 (2)-ში, სადაც ნათქვამია, რომ თავშესაფარის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, „როცა დევნა ხდება არაპოლიტიკური დანაშაულის, ან ისეთი ქმედების შედეგად, რომელიც ეწინააღმდეგება გაეროს პრინციპებსა და მიზნებს“.

13 ადამიანის ძირითადი უფლებების ნაწილობრივ გაუქმება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის და შეზღუდულ შემთხვევებში, ხოლო ზოგიერთი მათგანისა კი საერთოდ არ შეიძლება. იმ უფლებებს შორის, რომლის შეცვლაც არ შეიძლება, არის:

— სიცოცხლის, თავისუფლების და პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება.

— არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება, ან სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი.

— თავისუფლება მონობისა და ძალმომრეობისაგან.

— პიროვნების აღიარება კანონის წინაშე.

— აზრის სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.



- თავისუფლება თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრებისაგან.
- თავისუფლება პიროვნების პირად და ოჯახურ ცხოვრებაში თვითნებური ჩარევისაგან.

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები და მოვალეობები

14. უკანასკნელ წლებში ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა მასიურად გაიზარდა, რამაც გამოიწვია გაეროს სისტემის ორგანიზაციების შემოღობა. „ქვეყნის შიგნით გადაადგილებულნი“ არიან ის პირები, რომლებმაც იძულებით დატოვეს საკუთარი სახლი, მაგრამ იმყოფებიან თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე, იმის გამო, რომ ისინი იმყოფებიან საკუთარ ქვეყნის ტერიტორიაზე, მათზე არ ვრცელდება ლტოლვილთა დაცვის თანამედროვე სისტემა. ქვეყნის შიგნით გადაადგილებული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მოდის განვითარებად ქვეყნებზე და მათ უმეტესობას ქალები და ბავშვები შეადგენენ.

15. გაეროს მხარდ შემოფოთებას ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით მოჰყვა გაეროს გენერალური ასამბლეის 1988 წლის 43/116 რეზოლუცია, რომელმაც მოუწოდა გენერალურ მდივანს, რათა მას შეესწავლა საკითხი მთელ მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამების კოორდინაციის საერთაშორისო მექანიზმის შექმნის საჭიროების შესახებ. 1990 წლისათვის დღის წესრიგში დადგა გადაადგილების ძირითადი მიზეზების შესწავლისა და დაზარალებული მოსახლეობის დახმარების საკითხი. ამ პროცესმა განაპირობა იმ რამდენიმე რეზოლუციის მიღება ECOSOC-ისა და გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის მიერ, რომლებმაც მოუწოდეს გაეროს სისტემაში შემავალ ყველა ორგანიზაციას, შეეფასებინათ სხვადასხვა ორგანიზაციების გამოცდილება და უნარი ლტოლვილთა, გადაადგილებულ და უკან დაბრუნებულ პირთა დახმარების კოორდინაციისათვის და განესაზღვრათ მათი საჭიროებების სრული სპექტრი.

16. 1992 წლის ივლისში მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნის შესაბამისად, გაეროს გენერალურმა მდივანმა დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთათვის, რომლის მანდატში inter alia შედიოდა არსებული ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციის, ჰუმანიტარული სამართლისა და ლტოლვილთა კანონის და მათი გამოყენების სტანდარტების გადასინჯვა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაცავად და დასახმარებლად. სპეციალური წარმომადგენლის ანგარიშს, რომელიც შეიცავს სპეციფიურ რეკომენდაციებს საერთაშორისო იურიდიული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების სრულყოფისათვის, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გაეროს არსებულ პოლიტიკაში ადამიანთა იძულებით გადაადგილების პრობლემის გადასაჭრელად.

17. მოხსენებაში დეტალურადაა განხილული საერთაშორისო იურიდიული ინსტრუმენტები და სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება იძულებით გადაადგილებულთათვის. მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციას, ჰუმანიტარულ სამართალსა და ლტოლვილთა კანონს. მოხსენების დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება სამართლებრივ დოქტრინას, არსებობს სრულიად შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი გადაადგილებულ პირთა დასაცავად, ადამიანის უფლებების დეკლარაციისა და ჰუმანიტარული სამართლის სახით, თუმცა, გარდამავალი ფაზის საშუალებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს ცალ-

კეული ხარვეზები გადაადგილებულ პირთა მოთხოვნებების დაკმაყოფილების საკითხებში. მოხსენებაში შემოთავაზებულია, რომ თანდათანობით უნდა მოხდეს პრინციპების ფორმულირების სრულყოფა, რის შედეგადაც შეიქმნება სახელმძღვანელო კოდექსი, რომელშიც გაერთიანდება ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირებისადმი დამოკიდებულების ხელმძღვანელობის მთავარი პრინციპები და ბოლოს, დეკლარაცია, რომელიც ყველაზე ახლოს იქნება ხელისუფლების მიერ ამ საკითხზე მიღებულ ნებისმიერ დოკუმენტთან.

18. ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის ბევრი საერთო არსებობს. ერთი და მეორეც იძულებით ტოვებს საკუთარ საცხოვრებელს. ის ფაქტორები, რომელთა გამოც გადაადგილებული პირები და ლტოლვილები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ საცხოვრებელი სახლები, ადამიანის უფლებების დარღვევის, ეთნიკურ უმცირესობათა ძალმომრეობის და შიდა კონფლიქტების ჩათვლით, ხშირად ერთმანეთის მსგავსია. ადამიანთა ორივე ამ ჯგუფის მდგომარეობა მეტად მძიმეა და საჭიროებს მფარველობას, დახმარებას და მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასეთ მსგავსებათა გათვალისწინებით, გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს უმაღლესი კომისარიატის დამცველი და გადაწყვეტილებაზე ორიენტირებული ოპერატიული საქმიანობის მნიშვნელოვან კომპონენტს ლტოლვილთა პრობლემების მოსაგვარებლად. გადაწყვეტილებები ხშირად ურთიერთკავშირშია. ხშირია შემთხვევები, როდესაც ლტოლვილები უბრუნდებიან საკუთარ სახლებს ომისაგან დაცარიელებულ ქვეყნებში და ხშირად ერევიან იძულებით გადაადგილებულ პირებში.

19. მიუხედავად იმისა, რომ გადაადგილების მიზეზები და შედეგები მსგავსია, ადამიანთა ამ ორ ჯგუფს შორის პრინციპული განსხვავება არსებობს. ლტოლვილები, ეძებენ რა თავშესაფარს გადაკვეთენ საერთაშორისო საზღვრებს და ხვდებიან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის და საერთაშორისო თანამეგობრობის მფარველობის ქვეშ, მაშინ, როცა ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები რჩებიან საკუთარ ქვეყანაში და მათზე პასუხისმგებელია მათი საკუთარი მთავრობა. არ არსებობს არცერთი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემა, რომელიც უშუალოდ მიესადაგება მათ სიტუაციებს, თუმცა ლტოლვილთა კანონის ზოგიერთი პრინციპის ანალოგიურად გამოიყენება. ლტოლვილთა კანონისაგან განსხვავებით ჰუმანიტარული სამართალი, ჟენევის კონვენციები და პროტოკოლი II შეიცავენ საკითხებს, რომლებიც გამოიყენება ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა სიტუაციებში, თუმცა ამ საკითხებს გარკვეული შეზღუდვებიც გააჩნია და გამოიყენება მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტების დროს. ადამიანის უფლებების კანონი უზრუნველყოფს აუცილებელ მფარველობას, მიუხედავად ამისა ბევრი უფლება საჭიროებს ნაწილობრივ შეცვლას ან არ მიესადაგება იძულებით გადაადგილებულთა განსაკუთრებულ პრობლემებს. თუმცა სასურველია საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებისა და ნორმების განვითარება, საბოლოოდ, დაცვის ეფექტიანობა, მაინც დამოკიდებულია სახელმწიფოს სურვილზე, თავისთავზე აიღოს მის ფარგლებს შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებზე პასუხისმგებლობა.

20. წლების განმავლობაში გენერალური ასამბლეა ანიჭებდა უფლებას გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს თავისთავზე აეღო ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირებზე ზრუნვა სხვადასხვა რეგიონში. გენერალურმა მდივანმა სპეციალური თხოვნით მიმართა გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს, რითაც კომისარიატს დაეკისრა დამატებითი ღონისძიებები, განსაკუთრებით დახმარების გაწევის საქმეში, რომელშიც კომისარიატს გარკვეული გა-

მოცილებება გააჩნია. რადგანაც ხალხის ის ჯგუფი, რომელიც საჭიროებს ჰუმანიტარულ დახმარებას, არ შედგება ლტოლვილებისაგან, უკან დაბრუნებული პირებისა ან ყოფილი ლტოლვილებისაგან, რომლებმაც აირჩიეს ყოფილ თავშესაფარ ქვეყანაში დარჩენა, უმაღლესი კომისარიატის საქმიანობა, ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა სასარგებლოდ საჭიროებს სპეციალურ მანდატს, რომელსაც მას ანიჭებს გენერალური ასამბლეა გენერალური მდივნის ნებართვით, განსაკუთრებული სიტუაციების შემთხვევაში.

რა სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაცავად?

21. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადაადგილებიან სტიქიური უბედურებების შედეგად, იძულებით გადაადგილების დროს ეროვნულ მთავრობას არ შეუძლია, ან არ სურს განახორციელოს ეფექტიანი დაცვა, განსაკუთრებით კი ცალკეული პიროვნებებისა, ან მთელი საზოგადოებისა, რათა მათ უსაფრთხოდ ივარძნონ თავი სახლებში. იძულებით გადაადგილებულთა უსაფრთხოებას და ხშირად სიცოცხლესაც კი, შეიარაღებული კონფლიქტების დროს საფრთხე ემუქრება, ირღვევა მათი უფლებები. იძულებით გადაადგილებულები, აგრეთვე ისინი, ვისაც ასეთი გადაადგილების საფრთხე ემუქრება, ხშირად ჰუმანიტარული დახმარების გარდა საჭიროებენ როგორც შემდგომი გადაადგილებისაგან დაცვას, ისე ადამიანური უფლებების დაცვას დროის იმ პერიოდში, როდესაც ისინი არიან გადაადგილებულები ან ბრუნდებიან სახლში.

22. ქვეყნის შიგნით გადაადგილებულები ვერ ისარგებლებენ საერთაშორისო კანონის მიერ ლტოლვილებისადმი მინიჭებული უფლებებით, ვინაიდან ისინი რჩებიან საკუთარი ქვეყნის ფარგლებში. მათ უნდა იცავდეთ საკუთარი ქვეყნის კანონები. ისინი ასევე სარგებლობენ ლტოლვილთა საერთაშორისო კანონით განპირობებული დაცვით, ხოლო საომარი სიტუაციების დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვით. ასეთ სიტუაციებში გაეროს ლტოლვილთა კომისარიატი, იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ადგილობრივ მთავრობას აკისრებს შესაბამისი სამართლებრივი ძალის მქონე ეროვნული კანონების გატარებას. შესაბამისი კანონმდებლობის უქონლობის შემთხვევაში სახელმწიფო მორალურად ვალდებულია დაემორჩილოს ლტოლვილთათვის განსაზღვრულ საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს.

23. უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო კანონს და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების და იმ პირების, ვისაც ამისი საფრთხე ემუქრება, უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, სერიოზული ხარვეზები გააჩნია.

24. ჰუმანიტარული სამართალი შეიცავს საკითხებს, რომლებიც სხვაგვარ სიტუაციებზედაც ვრცელდება, მაგ., პროტოკოლ II-ში არის საკითხები, რომლებიც კრძალავენ სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილებას და თუ ეს მოხდება, ქმნიან ძირეულ სტანდარტებს, რომლებიც კრძალავენ პიროვნებათა მიმართ შიმშილის, როგორც ბრძოლის საშუალებას გამოყენებას, ზრუნავენ ბავშვებზე და იცავენ მათ, ქმნიან სხვა ძირეულ გარანტიებს და მიაჩნიათ, რომ ჰუმანიტარული დახმარება შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი წევრი ქვეყნის თანხმობით.

25. უნდა ვაღიაროთ, რომ ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა და იმ პირთა დაცვის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც ასეთი საფრთხე ემუქრებათ, გამომდინარეობს არა მარტო სამართლებრივი ნორმების უქონლობისაგან,

არამედ იქიდან, რომ შესაბამის მხარეებს არ სურთ პატივი სცენ და განახორციელონ ეს ნორმები.

26. ქვეყნის შიგნით გადაადგილებულთა პრაქტიკული დაცვა პირველ რიგში უნდა განხორციელდეს ადგილობრივი საზოგადოების მიერ, იმ სოციალური ქსელის საშუალებით, რომელშიც შედის ოჯახი, სოფელი ან ტომი. სახელმწიფო დაწესებულებების მონაწილეობა დაცვის საქმეში, სამართლებრივი დაწესებულებების ჩათვლით, ხშირად მეორეხარისხოვანია. ადგილობრივი მთავრობის მიერ შემუშავებული სამართლებრივი სარეგისტრაციო პროცედურები ქვეყნის შიგნით გადაადგილებულთათვის უფრო გასაგებია, ვიდრე ლტოლვილთათვის, რომლებმაც გადალახეს საერთაშორისო საზღვარი, სადაც მოქმედებს მათთვის უცნობი ეროვნული კანონები და პროცედურები, რომლებიც შესაძლოა, რომ შეერთებული იყოს იმ პროცედურებთან, რომლებსაც ახორციელებენ სართაშორისო ორგანიზაციები მათ დასაცავად.

მთავრობის უფლებები და მოვალეობები ლტოლვილთა დაკავშირებით

27. უერთდება რა 1951 წლის კონვენციასა და ან 1967 წლის პროტოკოლს, სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ამ დოკუმენტებს და განახორციელოს მათში დასმული საკითხები. 1951 წლის კონვენციის 35-ე მუხლის მიხედვით წევრი სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ ითანამშრომლონ ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან მისი ფუნქციების განხორციელებისას და განსაკუთრებით, ხელი შეუწყონ მას მისი მოვალეობის შესრულებაში, თვალყური ადევნოს კონვენციის გამოყენებას.

28. 1951 წლის კონვენციის და ან 1967 წლის პროტოკოლის ეფექტიანად განხორციელებისათვის სახელმწიფოსათვის საჭიროა:

1. მიიღოს ან გადასინჯოს კანონმდებლობა და ადმინისტრაციული პროცედურები, რათა უზრუნველყოს ეფექტიანი პროცედურის შექმნა ლტოლვილის სტატუსის დასადგენად.

2. მიიღოს ან გადასინჯოს კანონმდებლობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ის უფლებები და უპირატესობები, რომლებიც საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით ეძლევათ ლტოლვილებს, ასახული იყოს ეროვნულ კანონებში.

3. ჩაუტაროს სასწავლო სემინარები მთავრობის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც ევალებათ ლტოლვილის სტატუსის დადგენა, აგრეთვე მთავრობის სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც რაღაც როლს თამაშობენ ლტოლვილთა უფლებებისა და უპირატესობების დასაცავად.

29. ამგვარად, საჭიროა კანონმდებლობა და ადმინისტრაციული პროცედურების მიღება და გადასინჯვა, ისე, რომ მთავრობის კომპეტენტურ წარმომადგენლებს შეეძლოთ ლტოლვილის სტატუსის შემოწმება სპეციალურად დადგენილი პროცედურის ფარგლებში. იმის გამო, რომ ადმინისტრაციული და იურიდიული სისტემები სხვადასხვა სახელმწიფოებში სხვადასხვაა, შეუძლებელი გახდა სტატუსის დამდგენი სტანდარტული პროცედურის მათთვის შეთავაზება. არცერთ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული ისეთი პროცედურა, რომელსაც სახელმწიფოები მიიღებენ. ამ მოთხოვნათა დიდი ნაწილი ასახულია აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნებში, რომელიც გამოხატავს საერთაშორისო კონსენსუსს, მაგრამ სამართლებრივად სავალდებულო არ არის. მინიმალური მოთხოვნები, რომლებსაც წევრი ქვეყნები უნდა დაემორჩილონ ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისას, არის:

— უნდა დაინიშნოს მთავრობის კომპეტენტური წარმომადგენელი ლტოლვილის სტატუსის შესახებ განცხადებების განსახილველად.

— განმცხადებელს ნება უნდა მიეცეს პირადად გადასცეს თავისი ამბავი გადაწყვეტილების გამოძთან ოფიციალურ წარმომადგენელს, სადაც ეს შესაძლებელია, პირველი ინსტანციის დონეზე და ან გადაწყვეტილების გამოტანის დონეზე.

— სტატუსის მინიჭების პროცედურების შესახებ ლტოლვილს უნდა აცნობონ მიგრაციის ან სასაზღვრო მოხელეებმა, რომლებთანაც ისინი შევლენ კონტაქტში. ამ მოხელეებს უნდა ჰქონდეთ ნათელი ინსტრუქციები, რათა მზად იყვნენ ისეთი შემთხვევებისათვის, რომლებიც უნდა განიხილონ შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით. მათ უნდა დართონ ნება განმცხადებელს, რომ დარჩნენ ქვეყანაში და გადასცენ თავიანთი ისტორია ხელისუფლების უფრო მაღალ წარმომადგენელს.

— განმცხადებელი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აუცილებელი პირობებით, ამაში შედის კომპეტენტური მთარგმნელის მომსახურება, თავისი ისტორიის მოყოლისას ხელისუფლების წარმომადგენელთათვის. განმცხადებელს აგრეთვე უნდა ჰქონდეს საშუალება ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელთან შეხვედრისა.

— განმცხადებელს უნდა მიეცეს უფლება დარჩეს ქვეყანაში და დაელოდოს თავის პირველ მოთხოვნაზე პასუხს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც დაადგინენ, რომ განცხადება აშკარად უსაფუძვლოა. განმცხადებელს ქვეყანაში დარჩენის უფლება უნდა მიეცეს მაშინაც, როდესაც იგი ელოდება პასუხს განცხადებაზე უფრო მაღალი ინსტანციებიდან ან სასამართლოდან.

— განმცხადებელს უნდა შეატყობინონ პასუხი მის განცხადებაზე ლტოლვილის სტატუსის და თავშესაფარის მიღების თაობაზე. ლტოლვილად ცნობის შემთხვევაში მას აძლევენ შესაბამის დოკუმენტებს.

უნდა არსებობდეს ლტოლვილის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებული უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და განხილვის საშუალება. თუ განმცხადებელს არ სცნობენ ლტოლვილად, მას უნდა ეცნობოს უარყოფითი გადაწყვეტილების მიზეზი. მას უნდა ეცნობოს აგრეთვე გადაწყვეტილების გასაჩივრების ან განხილვის შესაძლებლობის შესახებ და მიეცეს შესაბამისი დრო ამის გასაკეთებლად. თუ საქმე განიხილა მთავრობის იგივე წარმომადგენელმა, საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს სხვა პირს.

— ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა მონაწილეობა უნდა მიიღოს პროცედურაში ნებისმიერი ფორმით.

30. სპეციალური დონისძიებები უნდა გატარდეს იმ შემთხვევაში, როდესაც თავშესაფარს ითხოვენ ლტოლვილი ქალები და ბავშვები. უნდა შეიქმნას სპეციალური შტატი თავშესაფარის მაძიებელი ქალების დასაკითხავად. ქალთა დევნა ხშირად შეიძლება გამოიხატოს გაუპატიურებასა და სხვა სექსუალური სახის ძალადობაში, რაზედაც ქალს შეიძლება არ სურდეს ლაპარაკი.

31. სპეციალური პროცედურული დაცვა უნდა განხორციელდეს იმ განცხადებების განხილვის დროს, რომლებსაც არასრულწლოვანი ბავშვები წარმოადგენენ. მოწვეული უნდა იქნეს სპეციალისტი, რომელიც კარგად იცნობს ბავშვის ფსიქოლოგიურ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებასა და ქცევას, რათა გააკეთოს შესაბამისი დასკვნები, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვი მოზრდილისაგან განსხვავებულად გამოხატავს შიშს. გარდა ამისა, ვინაიდან ბავშვი სრულწლოვანი არ არის იგი უნდა წარმოადგინოს უფროსმა.

32. სახელმწიფოს შეუძლია მიანიჭოს ლტოლვილებს დამატებითი უფლებები და უპირატესობები, მაგრამ მხოლოდ ეროვნული დოკუმენტების მიღების ან გადასინჯვის გზით.

მთავრობის უფლებები და მოვალეობები ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა წინაშე

33. საერთაშორისო ინსტრუმენტების არ არსებობის დროს სპეციალურად ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთათვის, პასუხისმგებლობა მათ დაცვაზე პირველ რიგში ეკისრება ეროვნულ მთავრობას და ხორციელდება არსებული ეროვნული კანონებით.

34. ლტოლვილთა კანონმა ჩამოაყალიბა სპეციფიური სტანდარტები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ლტოლვილთა კანონის ზოგიერთი პრინციპი.

35. უნდა აღინიშნოს, რომ ლტოლვილებს, იმის გამო, რომ ისინი უცხოელები არიან და მათ არ იცავს არცერთი მთავრობა, მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული სტატუსი. ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები, როგორც იმ ქვეყნის მოქალაქენი, სადაც ისინი იმყოფებიან, თავიანთი მთავრობისაგან ისევე მოითხოვენ თავიანთი უფლებების დაცვას, როგორც ამ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები. ამ უფლებებში შედის თავისუფალი გადაადგილების და ცხოვრების უფლება, ან იმ ადგილზე, საიდანაც ისინი გადაადგილდნენ ან სადმე სხვაგან. მათი თანამოქალაქებისაგან განსხვავებული, განსაკუთრებული იურიდიული სტატუსი შეიძლება დისკრიმინაციული იყოს მათთვის. ქვეყნის იურისდიქცია უნდა დაეხმაროს მთავრობას ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა დახმარების გაწევაში, დაიცვას მათი უფლებები.

36. სახელმწიფო მორალურად და იურიდულად ვალდებულია თვალყური ადევნოს ქვეყნის შესაბამისი კანონების მიხედვით შემუშავებული მინიმალური სტანდარტების განხორციელებას ეროვნული სამართლებრივი ორგანიზაციების მეშვეობით და ჰუმანიტარულ სამართლის გატარებას ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად.

37. სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღებას ქვეყნის შიგნით გადაადგილების და ამ გადაადგილებასთან დაკავშირებული ხალხის პრობლემების გადასაჭრელად. იმ შემთხვევაში, როდესაც დაბრუნება სერიოზულ პოლიტიკურ სიძნელეებს წარმოშობს, მთავრობა უნდა შეეცადოს გადაადგილებულ პირთა ადგილებზე ინტეგრაციას.

არაოფიციალური თარგმანი

ეს მასალები მომზადდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის თბილისის წარმომადგენლობაში მეორე სასწავლო სემინარისათვის, რომელიც ჩატარდა 1994 წლის 7 ივნისს სასტუმრო „მეტეხში“ და მიემდგვნა მთავრობის უფლებებსა და მოვალეობებს ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების მიმართ.

**სამართალის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
პლენუმის დადგენილება განზრახ მკვლელობის საქმეებზე**

1994 წლის 6 ივლისი

სამართალის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა განზრახ მკვლელობის (სსკ 104-ე და 105-ე მუხლები) საქმეებზე სასამართლო პრაქტიკა და აღნიშნავს, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე მართლმსაჯულების ხარისხი არ შეესაბამება შექმნილი მძიმე კრიმინოგენური ვითარებიდან გამომდინარე მოთხოვნებს, როცა მკვეთრად გაიზარდა განზრახ მკვლელობათა რიცხვი, მათ შორის — ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმის დროს, ხულიგნური ქვეანაგრძობით, განსაკუთრებული სისასტიკით, დაზარალებულის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, მრავალ პირთა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებათ და პასუხისმგებლობის სხვა დამამძიმებელ გარემოებებში.

განზრახ მკვლელობის საქმეებზე კანონმდებლობის გამოყენებისას ირდევია სისხლის სამართლის მატერიალური და პროცესუალური ნორმების მოთხოვნები. წინასწარი გამოძიების პროცესში და საქმის სასამართლოში განხილვისას ჯეროვნად არ სრულდება სსკ მე-18 მუხლის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ; ამომწურავად არ დგინდება დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური მხარის ყველა ელემენტი, კერძოდ, ისეთი გარემოებები, როგორცაა მკვლელობის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, ვითარება, საშუალება, მიზანი, მოტივი, დაზარალებულის ქცევა და სხვა გარემოებანი, რომელთა ერთობლიობაში განხილვის გარეშე შეუძლებელია ქმედების სწორი იურიდიული კვალიფიკაცია.

ხშირად არასწორად დგინდება განზრახვის შინაარსი და მისი მიმართულება, ამის გამო სასამართლოები სწორად ვერ მიჯნავენ განზრახ მკვლელობას სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისაგან, რასაც შედეგად დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, ასევე, განზრახ მკვლელობის მცდელობას სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისაგან და სხვა.

არაერთგვაროვანია სსკ 104-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა გაგება;

პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი მკვლელობის საქმეთა განხილვისას სასამართლოები ყოველთვის სრულყოფილად არ იკვლევენ დანაშაულში თითოეულა განსასჯელის მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხს, სწორად ვერ მიჯნავენ თანაამსრულებლობას ორი ან რამდენიმე პირის მიერ დანაშაულის ჩადენის სხვა ფორმებისაგან;

სასამართლოები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ წინასწარი გამოძიების ხარისხისადმი. ჯერ კიდევ ვლინდება ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიისადმი ფორმალური და ზერეულე დამოკიდებულება. ხშირია შემთხვევები, როცა ბრალდებულს ისეთ საქმეებზე აძლევენ სამართალში, რომლებზედაც გამოძიება ჩატარებულია სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევით.

სასამართლოები ყოველთვის არ ღებულობენ ზომებს წინასწარი გამოძიების შესავსებად; ხოლო როცა ეს სცილდება სასამართლოს შესაძლებლობის ფარგლებს, არ მსჯელობენ საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლოები ძირითადად სწორად ნიშნავენ სასჯელს, ამ მიმართებით მაინც შეინიშნება ხარვეზები და ნაკლოვანებები. ყოველთვის არ ხდება ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის, ბრალის ხარისხის, დანაშაულის პიროვნების, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინება სასჯელის სახისა და ზომის არჩევისას. ზოგჯერ, სასჯელის დასაბუთების დროს განაჩენში ფორმალურად იმეორებენ სსკ 37-ე მუხლის შინაარსს და აღნიშნავენ რომ სასჯელი ინიშნება დანაშაულისა და მისი ჩამდენის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით და მიუთითებენ, კერძოდ რა კონკრეტული გარემოებანი აქვთ მხედველობაში.

სასამართლოები ჯერონად არ იკვლევენ იმ ფაქტორებს და მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს ან ხელი შეუწყვეს მკვლელობის ჩადენას; დანაშაულის პროფილაქტიკის მიზნით მკვლელობის ხელშემწყობ პირობებზე სასამართლოები ხშირად არ რეაგირებენ კერძო განჩინებით;

საქმეთა საკასაციო და საზედამხედველო წესით განხილვისას ყოველთვის არ ხდება დაშვებული შეცდომების გასწორება.

განზრახ მკვლელობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისა დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი

ა დ გ ე ნ ს:

1. სასამართლოებმა მკაცრი მომთხოვნელობა გამოიჩინონ წინასწარი გამოძიების ხარისხისადმი. სრულყოფილად შეამოწმონ, შეასრულეს თუ არა წინასწარი გამოძიების ორგანოებმა სსკ მე-18 მუხლის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ, აგრეთვე სსსკ 59-ე და 59¹-ე მუხლები, რაც მათ ავალდებულებს, ამომწურავად დაადგინონ მკვლელობის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, ვითარება, მიზანი, მოტივი და ამ მუხლში მითითებული სხვა გარემოებანი.

2. დაუშვებელია ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიისადმი ფორმალური და ზერელე დამოკიდებულება, სსსკ 230-ე მუხლში მითითებული გარემოებების არასრულყოფილად გამორკვევა, პროცესის ამ სტადიაზე აუცილებელია გაირკვეს, დაცულია თუ არა სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმათა მოთხოვნები; გამოირიცხოს ბრალდებულის სამართალში მიცემა და საქმის სასამართლო სხდომაზე გატანა, თუ წინასწარი გამოძიების მიერ დაშვებულია კანონის არსებითი დარღვევები.

სსსკ 71-ე მუხლის I-ლი პუნქტის თანახმად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა სიკვდილის მიზეზის, სხეულის დაზიანების ხარისხისა და სიმძიმის დასადგენად. სასამართლოებმა არ დაუშვან ბრალდებულის სამართალში მიცემა ისეთ საქმეებზე, სადაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით არ არის დადგენილი სიკვდილის მიზეზი.

თუ საქმეზე არ არის ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, სასამართლომ უნდა იმსჯელოს საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების თაობაზე.

3. მკვლელობის საქმეზე აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა დანაშაულის ქმედებასა (მოქმედებასა და უმოქმედობასა) და სიკვდილს შორის, ე. ი. გარკვევა იმისა, იყო თუ არა ნამდვილად ქმედება სასიკვდილო შე-

დეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც იგი ამჯერად ვერ დადგებოდა.

4.1. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დანაშაულის სუბიექტური მხარის ანალიზს, განზრახვის სახის, მისი შინაარსისა და მიმართულების სწორად დადგენას.

სასამართლოებმა გაითვალისწინონ, რომ აუცილებელია, ყოველი საქმე გამოკვლეულ იქნას, პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა მკვლელი, თუ არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით.

თუ პირი ევენტუალური განზრახვით მოქმედებდა, უშვებდა სიკვდილის შესაძლებლობას, მაგრამ სასიკვდილო შედეგი არ დადგა, კვალიფიკაცია მოხდება ფაქტობრივად განხორციელებული შედეგის მიხედვით (სხეულის მსუბუქი, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება), ხოლო თუ ქმედებას არანაირი შედეგი არ მოჰყვა, ასეთი ქმედება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს.

4.2. სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისაგან, რამაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია განზრახ მკვლელობის გამოჯენისას, აგრეთვე სხეულის მძიმე დაზიანებისაგან განზრახ მკვლელობის მცდელობის გამოჯენისას, სასამართლოებმა გაითვალისწინონ, რომ ქმედების სწორი იურიდიული კვალიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ განზრახვის შინაარსის და მისი მიმართულების ზუსტად დადგენით.

ის, თუ რა განზრახვით მოქმედებდა დამნაშავე, სხეულის დაზიანების თუ სიცოცხლის მოსასპობად, უნდა გადაწყდეს საქმის სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობაში განხილვისა და შეფასების შედეგად. კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იქნეს დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება, ჭრილობების და სხვა დაზიანებების რაოდენობა, ხასიათი და ადგილი, მიზეზი, რომლის გამო არ დადგა სასიკვდილო შედეგი, ვითარება, როცა დამნაშავემ შეწყვიტა დაზიანებათა მიყენება, აგრეთვე ის გარემოება, ჰქონდა თუ არა მას შესაძლებლობა ახალი დაზიანებანი მიეყენებინა დაზარალებულისათვის განხორციელებინა განმეორებითი გასროლა და ა. შ. როგორ აფასებდა ის შექმნილ ვითარებას, დაზარალებულის მდგომარეობასა თუ თავის შესაძლებლობებს და სხვ.

მხოლოდ ფაქტი სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოების დაზიანებისა, საკმარისი არ არის მკვლელობის განზრახვის დადასტურებისათვის. ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამორკვევისა და მათი ერთობლიობაში შეფასების შედეგად. გათვალისწინებული უნდა იქნას, ასევე, დამნაშავეს ქცევა დანაშაულის ჩადენამდე და მის შემდეგ, მისი ურთიერთობა დაზარალებულთან, ემოციური დამოკიდებულება დამდგარი შედეგისადმი და სხვა.

4.3. განზრახ მკვლელობის გამოჯენისას სხეულის მძიმე დაზიანებისაგან, რასაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, მხედველობაში მისაღებია, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რა დრო ვაჟიდა სხეულის დაზიანებიდან სიკვდილის დადგომამდე. სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებასა და სიკვდილის დადგომას შორის დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთის არსებობა შეიძლება გამოწვეული იყოს დაზარალებულის ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობით, დროული და ქმედითი სამედიცინო დახმარებით და სხვა გარემოებებით, ქმედების განზრახ მკვლელობად კვალიფიკაციისათვის საკმარისია დადგინდეს, რომ დამნაშავეს განზრახვა მოიცავდა სასიკვდილო შედეგს.

5. შეცდომა მოკლულის ვინაობაში გაუღენას ვერ მოახდენს ქმედების კვა-

ლოფიკაციაზე, ისევე როგორც შეცდომა სხვა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებში, რომლებიც არ განეკუთვნებიან დანაშაულის შემადგენლობას (მაგალითად, დაზარალებულის ასაკი).

6. თანამონაწილეობით ჩადენილი განზრახი მკვლელობის საქმეთა განხილვისას, სასამართლოებმა გაითვალისწინონ თითოეული თანამონაწილის მოქმედების ხასიათი და ხარისხი განზრახვის შინაარსი და მიმართულება, მხედველობაში იქონიონ, რომ განზრახ მკვლელობის აღმსრულებელია არა მარტო ის, ვისმა მოქმედებამაც უშუალოდ გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი (მაგ., ვინც ესრღლა ტყვია, ჩასცა სასიკვდილო მახვილი და სხვ.), არამედ ისიც, ვინც ასრულებდა დანაშაულის ობიექტური მხარის გარკვეულ ნაწილს (მაგ., ხელფეხი გაუკავა დაზარალებულს, მიაყენა სხეულის დაზიანებანი და სხვ.). მთავარია, რომ სასიკვდილო შედეგს მოიცავდეს მათი განზრახვა.

მკვლელობის აღმსრულებლად ჩაითვლება ისიც, ვინც თუმცა უშუალოდ არ მონაწილეობს დანაშაულის აღსრულებაში, მაგრამ მკვლელობის ჩადენისათვის „ბრმა იარაღად“ იყენებს სხვა პირს, მაგალითად, ვინც თავისი ასაკის ან ჯანმრთელობის გამო არ არის დანაშაულის სუბიექტი, ასევე პირს, რომელიც მოქმედებს გაუფრთხილებელი ბრალით ან შეცდენილია დამნაშავეის მიერ, ვერ აცნობიერებს თავისი ქმედების ხასიათსა და მნიშვნელობას და მოქმედებს ბრალის გარეშე. ასეთ პირთა მეშვეობით ჩადენილი მკვლელობა დაკვალიფიცირდება მკვლელობის შესაბამისი მუხლით სსკ მე-19 მუხლზე მიუთითებლად.

7. სსკ 104-ე და 105-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობის საქმეებზე სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნა ყოველთვის სავალდებულო არ არის. მისი დანიშვნის საკითხს წყვეტს გამოძიებელი, პროკურორი ან სასამართლო ყოველი საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს, მაგალითად, როცა საქმის გარემოებანი საკმარის საფუძველს ქმნიან იმის სავარაუდოდ, რომ მკვლელობა ჩადენილია უეცარი ძლიერი სულიერი აღევლებების მდგომარეობაში. ამასთან, სასამართლოებს განემარტოთ, რომ ექსპერტ-ფსიქოლოგის წინაშე არ შეიძლება დაისვას ისეთი სამართლებრივი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენციაში შედის.

8.1. სსკ 104-ე მუხლის I-ლი პუნქტით უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახ მკვლელობის ის შემთხვევები, როცა დამნაშავე მიზნად ისახავს, მკვლელობით მიიღოს მატერიალური გამორჩენა (ფული, ქონება, ქონებრივი უფლება, საცხოვრებელი ფართის უფლება) ან სხვაგვარი მატერიალური სიკეთე. მნიშვნელობა არა აქვს, კანონიერია მისი მიღების საფუძველი (მაგალითად, ანდერძის არსებობა), თუ უკანონო.

ანგარებითაა მკვლელობა იმ შემთხვევაშიც, როცა პირი მიზნად ისახავს აიცილოს მატერიალური ხარჯი ან გათავისუფლდეს ქონებრივი ვალდებულები-საგან (მაგალითად, ვალის ან ალიმენტის გადახდისაგან).

8.2. ქმედება არ დაკვალიფიცირდება სსკ 104-ე მუხლის I-ლი პუნქტით, როცა დანაშაულის მოტივი, მართალია ქონებრივი ხასიათისაა, მაგრამ მკვლელობა არ წარმოადგენს მატერიალური გამორჩენის მიღების საშუალებას და არც დამნაშავე ისახავდა მკვლელობისას ასეთ მიზანს (მაგალითად, მკვლელობა იმის გამო, რომ პირმა უარი თქვა ვალის გადახდაზე).

8.3. ასევე არ ჩაითვლება ანგარებით მკვლელობად ისეთი შემთხვევა, როცა მკვლელობა ჩადენილია ქონების ან სხვაგვარი მატერიალური სიკეთის არამართლზომიერი ხელყოფისაგან დაცვის დროს.

8.4. სსკ-ის 104-ე მუხლის I-ლი პუნქტით არ დაკვალიფიცირდება ისეთი

მკვლელობა, როცა დამნაშავე მკვლელობის განხორციელების შედეგად მართალია, ეუფლება დაზარალებულის კუთვნილ ქონებას, მაგრამ ამის განზრახვა მას მკვლელობის ჩადენამდე ან ჩადენისას არ ჰქონია. ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, მკვლელობისა და ქონების გატაცების შესაბამისი მუხლებით.

8.5. განზრახ მკვლელობა ჩადენილი ქონების დაუფლების მიზნით ყაჩაღური თავდასხმის დროს, დაკვალიფიცირდება სსკ 104-ე მუხლის I-ლი პუნქტით და სსკ 152-ე ან 96-ე მუხლების შესაბამისი ნაწილებით.

თუ ყაჩაღური თავდასხმის დროს მკვლელობა ქონების დაუფლების მიზნითაა ჩადენილი, კვალიფიკაციისათვის საკმარისია ერთობლიობა სსკ 104-ე მუხლის I პუნქტთან. ასეთი მკვლელობის განხილვა, როგორც ყაჩაღობის ჩადენის გადავილების მიზნით განხორციელებული მკვლელობისა და, შესაბამისად, კვალიფიკაცია სსკ 104-ე მუხლის მე-7 პუნქტითაც, უმართებულოა.

მკვლელობა, ჩადენილი ყაჩაღობის დაფარვის მიზნით, დაკვალიფიცირდება ყაჩაღობის შესაბამისი მუხლითა და სსკ 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით.

ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობის დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციისას გამოყენებული უნდა იქნას სსკ 96-ე და 152-ე მუხლების პირველი ნაწილები, თუკი არ არსებობს მეორე ნაწილების სხვა პუნქტებით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი ნიშნები.

8.6. სსკ 104-ე მუხლის I-ლი პუნქტით მკვლელობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ქონება, რომლის დაუფლებასაც ცდილობს დამნაშავე, კანონიერი გზით აქვს მოპოვებული დაზარალებულს თუ უკანონოდ. ეს გარემოება გავლენას ვერ მოახდენს დამნაშავეს ქმედების მოტივის განსაზღვრაზე (მაგ., ანგარებითაა მკვლელობა, ჩადენილი ნაქურდალი ქონების დაუფლების მიზნით).

8.7. იმ შემთხვევაში, თუ წამქეზებელი მოიხყიდის ამსრულებელს და ეს უკანასკნელი ანგარებით ჩაიღწეს განზრახ მკვლელობას, ამსრულებელის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 104-ე მუხლის I-ლი პუნქტით, ხოლო წამქეზებელი პასუხს აგებს სსკ 19, 105-ე მუხლით, თუკი არ არსებობს სსკ 104-ე მუხლით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი ნიშნები.

8.8. ანგარებითი მკვლელობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

9.1. სსკ 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაკვალიფიცირდება განზრახი მკვლელობა, რომლის მოტივი საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნე-ჩვეულებების უპატივცემლობის, სამართლისა და მორალის ნორმების უგულებელყოფის, პიროვნების ღირსების აბუჩად აგების ნიადაგზეა წარმოშობილი. ამ პუნქტით კვალიფიკაციისას სასამართლოებმა უნდა შეაფასონ, მკვლელობის მოტივი სწორედ საზოგადოებისადმი ასეთი დამოკიდებულების გამოვლენა იყო, თუ პირადი ურთიერთობებიდან გამომდინარეობდა. ამისთვის ზუსტად უნდა იქნას დადგენილი, პირადი ანგარიშსწორების, სამაგიეროს გადახდის მიზნით მოქმედებდა დამნაშავე, თუ უსაბაბოდ ან უმნიშვნელო საბაბით.

9.2. თუ ხულიგნური მოტივით მკვლეობამდე ან მის შემდეგ, დამნაშავემ ჩაიღწინა მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივცემლობას საზოგადოებისადმი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით და სსკ 228-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

თუ ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობა ჩადენილია უშუალოდ ხულიგნობის პროცესში, და ამასთან, სსკ 228-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული

ქაშუალებით, დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციისას გამოყენებული უნდა იყოს სსკ 228-ე მუხლის მე-3 ნაწილი. თუ მკვლელობა ხულიგნური ქვე-ნაგრძნობით ჩადენილია ხულიგნური მოქმედებების დაწყებამდე ან მათი დამთავრებისა ან შეწყვეტის შემდეგ, ასეთ შემთხვევაში, მკვლელობისას ამ საშუალებათა გამოყენება არ მოითხოვს ჩადენილი ხულიგნობის კვალიფიკაციას სსკ 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ქმედება მაშინ დაკვალიფიცირდება მე-3 ნაწილით, თუ იარაღი ან სხეულის დასაზიანებლად მომარჯვებული საშუალება იმარეს ან სცადეს ეხმარათ საკუთრივ ხულიგნობის პროცესში.

10.1. სსკ 104-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაკვალიფიცირდება მკვლელობა, რომელიც ჩადენილია პირის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების ხელის შეშლის მიზნით, აგრეთვე, ასეთი საქმიანობისათვის შურისძიების მოტივით.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში იგულისხმება სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან დადგენილი წესით რეგისტრირებულ კერძო დაწესებულებაში საქმიანობა, რომელიც ეკისრება ამა თუ იმ პირს; დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი, ისე რიგითი მუშაკი.

საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებად ჩაითვლება პირის მიერ მასზე სპეციალურად დაკისრებული საზოგადოებრივი მოვალეობის, აგრეთვე საზოგადოების ან ინდივიდის პირთა ინტერესების შესაბამისად სხვა მოქმედების შესრულება (მაგალითად, სამართალდარღვევის აცილება, ხელისუფლების ორგანოებისათვის შეტყობინება ჩადენილი დანაშაულის ან მისი მზადების შესახებ, მოწმის მიერ დამნაშავის მამხილებელი ჩვენების მიცემა და სხვ.).

10.2. სსკ 104-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაკვალიფიცირდება მხოლოდ ისეთი პირის მკვლელობა, რომელიც მოქმედებდა კანონიერად. თუ დაზარალებული უკანონოდ მოქმედებდა (მაგალითად, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა, გადააჭარბა ხელისუფლების ან სამსახურებრივ უფლება მოსილებას და სხვ.), მკვლელობა არ დაკვალიფიცირდება ამ პუნქტით.

10.3. თუ მკვლელობის მოტივი დაკავშირებულია არა მოკლულის, არამედ მისი ახლობლების მიერ სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან (მაგალითად, ქმრის მკვლელობა იმის გამო, რომ მისმა ცოლმა ხელისუფლების ორგანოებს შეატყობინა დანაშაულის ჩადენის შესახებ), მკვლელობა არ დაკვალიფიცირდება სსკ 104 მუხლის მე-3 პუნქტით.

10.4. ამ პუნქტით ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს მკვლელობა დაზარალებულის მიერ სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის განხორციელების პროცესშია ჩადენილი, მის შემდეგ, თუ დაზარალებულს ეს მოვალეობა მომავალში უნდა შესრულებინა.

10.5. პოლიციის მუშაკის მკვლელობა მისი სამსახურებრივი საქმიანობის გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკვალიფიცირდება სსკ 104-ე მუხლის მე-3 პუნქტით, როდესაც ეს საქმიანობა არ იყო დაკავშირებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან („საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე“ უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1993 წლის 22 დეკემბრის № 9 დადგენილების შესაბამისად).

10.6. თუ ჩადენილია სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობა მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, სასამართლოებმა საქმეთა განხილვისას უნდა გამოიკვლიონ, ხომ არ ისახავდა დამნაშავე სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზანს. თუ ეს გარემოება დადგინდება, მკვლელობა სსკ 104-ე მუხლის მე-3 პუნქტით კი არ დაკვალიფიცირდება, არამედ სსკ 67-ე მუხლით.

10.7. თუ მკვლევლობა წარმოადგენს საზოგადოების, ხელისუფლებისა თუ ადამიანთა გარკვეული ჯგუფების დაშინებისა და დათრგუნვის მიზნით ჩადენილ ტერორისტულ ქმედებათა ნაწილს და დაზარალებული არ მიეკუთვნება, სსკ 67-ე მუხლით გათვალისწინებულ პირთა წრეს, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 105-ე მუხლით, თუკი არ არსებობს სსკ 104-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.

11.1 სსკ 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით ქმედება დაკვალიფიცირდება მაშინ, თუ ორი ან მეტი პირის მკვლევლობა მოცული იყო დამნაშავეს ერთიანი განზრახვით და ჩადენილია, როგორც წესი, თანადროულად ან დროის მცირე მონაკვეთში. სხვა შემთხვევაში ეს პუნქტი არ გამოიყენება; მკვლევლობა დაკვალიფიცირდება სსკ მე-9 პუნქტით, როგორც იმ პირის მიერ ჩადენილი მკვლევლობა, ვისაც წინათ ჰქონდა ჩადენილი განზრახ მკვლევლობა.

11.2. თუ მკვლევლობები ჩადენილია ერთიანი განზრახვით და ამავე დროს სსკ 104-ე მუხლის სხვა პუნქტებით გათვალისწინებული ერთი რამდენიმე ნიშანი ყველა მათგანისათვისაა დამახასიათებელი (მაგ. ჩადენილია ორი მკვლევლობა ორივე ანგარებნით), მაშინ მკვლევლობათა დამოუკიდებელი კვალიფიკაცია საჭირო არ არის. სასამართლომ სსკ 104-ე მუხლის მე-4 პუნქტთან ერთად უნდა მიუთითოს შესაბამისი პუნქტებით (მაგალითის მიხედვით: სსკ 104-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტები).

თუ ერთიანი განზრახვით ჩადენილ მკვლევლობებიდან თითოეული მათგანი ხასიათდება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით (მაგალითად, ერთი მკვლევლობა ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით, მეორე ორსული ქალი-სა), მაშინ აუცილებელია მკვლევლობათა დამოუკიდებელი კვალიფიკაცია (მაგალითის მიხედვით — სსკ 104-ე მუხლის მე-4 პუნქტი, სსკ 104 მუხლის მე-5 პუნქტი, სსკ 104 მუხლის მე-6 პუნქტი).

11.3. ორი ან მეტი პირის მკვლევლობა არ დაკვალიფიცირდება სსკ 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით, თუ ორივე ან ერთ-ერთი მათგანი ჩადენილია აუცილებელი. მოგერიების ფარგლების გადაცილებით ან უეცარი, ძლიერი სულიერა აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის მხრიდან ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით.

11.4. სსკ 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დამთავრებული დანაშაული შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირ განზრახვით, მცდელობა კი მხოლოდ მაშინ, როცა დამნაშავე სულ მცირე ორი პირის მიმართ მაინც მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით.

თუ დამნაშავეს პირდაპირი განზრახვა მოიცავდა ორი ან მეტი პირის მკვლევლობას, ფაქტობრივად კი მხოლოდ ერთი პირის მკვლევლობა განხორციელდა, დამნაშავეს ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 17, 104-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და 105-ე ან 104-ე მუხლით.

12. სსკ 104-ე მუხლის მე-5 პუნქტით ქმედება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება, როცა დამნაშავემ დანამდვილებით იცის, რომ ქალი ორსულად იყო.

13.1. განსაკუთრებული სისასტიკის ნიშნით (სსკ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტი) მკვლევლობის კვალიფიკაციისას, უნდა გამოკვლევულ იქნას როგორც ის, თუ ობიექტურად რით გამოიხატა მკვლევლობისას განსაკუთრებული სისასტიკე, ასევე ისიც, მოიცავდა თუ არა ამ გარემოებას დამნაშავეს განზრახვა.

თუ მკვლევლს გაცნობიერებული არ ჰქონდა, რომ ავლენდა განსაკუთრებულ სისასტიკეს, მაშინ ამ ნიშნით ქმედების კვალიფიკაცია დაუშვებელია.

13.2. ობიექტური მხრივ განსაკუთრებული სისასტიკე უმეტესად გამოი-


ზატება დაზარალებულის ფიზიკური გატანჯვით, ეს ის შემთხვევებია, როცა მკვლელობამდე ან მკვლელობის პროცესში დაზარალებულის მიმართ გამოყენებული იყო წამება, გვემა, თერმული ზემოქმედება, მტანჯველი ან ხანგრძლივი მოქმედების შხამი, როცა დაზარალებული ცოცხლად დაწვეს, ჩაქოლეს ან ცოცხლად დამარხეს, ამომშლიეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ანდა მიაყენეს სხეულის მრავლობითი დაზიანება, მოკვეთეს სხეულის ცალკეული ნაწილები, ასევე სხვა მოქმედებანი, რომელთა შედეგად დაზარალებულმა განსაკუთრებული ტკივილები ან სხვაგვარი ფიზიკური ტანჯვა განიცადა.

დაზარალებულის მრავლობითი დაზიანება, ისევე როგორც მტანჯველი ან ხანგრძლივი მოქმედების შხამით ადამიანის მოკვდინება თავისთავად არ მოასწავებს დამნაშავეს განსაკუთრებულ სისასტიკეს, აუცილებელია გაირკვეს, შეგნებული ჰქონდა თუ არა დამნაშავეს, რომ მისი ქმედება დაზარალებულის განსაკუთრებულ ფიზიკურ ტკივილებს გამოიწვევდა, ან იყენებდა ისეთ შხამს, რომლის შედეგად სიკვდილი დადგებოდა არა უეცრად, არამედ ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ. იმ საკითხის გადაწყვეტისას, გამოვლინდა თუ არა განსაკუთრებული სისასტიკე ობიექტურად, სრულყოფილად უნდა იქნას გამოკვლეული საქმის არსებითი გარემოებები, მათ შორის ის თუ რამდენად მტკივნეულია საშუალება, რომლითაც მიყენებულია ჭრილობები, რა შეგრძნებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში ამა თუ იმ შხამის მოქმედება, ასევე, ჭრილობათა რაოდენობა, ხარისხი, მათი მიყენების ადგილი, დროის ხანგრძლივობა დამნაშავეს მოქმედებიდან სიკვდილამდე და სხვ. ეს გარემოებები უნდა დაადგინოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ. სასამართლომ კი, დანაშაულის სუბიექტური მხარის მხედველობაში მიღებით უნდა შეაფასოს, არის თუ არა მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით.

13.3. თუ გვამის დასახიჩრების ან დანაწევრებისას დამნაშავე არ ისახავდა დანაშაულის დაფარვის მიზანს, მკვლელობა ჩაითვლება ჩადენილად განსაკუთრებული სისასტიკით.

13.4. მკვლელობისას განსაკუთრებული სისასტიკე შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის ფსიქიკური (სულიერი) გატანჯვითაც, კერძოდ, ფსიქიკური ზემოქმედების გზით დაზარალებულის განსაკუთრებული დაშინებითა და დათრგუნვით (მაგალითად ზიზღისმომგვრელი და შიშისმომგვრელი საშუალებების გამოყენებით, შიშისმომგვრელ მოქმედებათა ინტენსივობით, იმით დაშინებით, რომ მკვლელობამდე ან მკვლელობის პროცესში გამოყენებული იქნება განსაკუთრებით მტკივნეული საშუალებები, მოკვეთენ სხეულის ნაწილებს, მკვლელობის შემდეგ დანაწევრებენ გვამს ან უბილწავენ, მოუკლავენ ახლობლებს, განსაკუთრებული სისასტიკე ასევე შეიძლება გამოიხატოს დამნაშავეს ხელში მოხვედრილი ადამიანის სიკვდილის მუდმივი მოლოდინის მდგომარეობაში ჩაყენებით, რასაც წამების ხასიათი აქვს და სხვა მოქმედებებით. სასამართლოებმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასონ, განაპირობა თუ არა ამ გარემოებათა არსებობამ დაზარალებულის ფსიქიკური ტანჯვა და დაადგინონ, ჰქონდა თუ არა ეს გაცნობიერებული დამნაშავეს.

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობად შეიძლება იქნას მიჩნეული ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე მკვლელობის ჩასადენად იყენებს დაზარალებულის უმწეო მდგომარეობას, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ თავისი ასაკის, ავადმყოფური მდგომარეობის ან სხვა მიზეზით არავითარი წინააღმდეგობის უნარი არა აქვს, რის გამოც, პიროვნულად უაღრესად დაითრგუნა დანაშაულის ჩადენისას მისთვის სიცოცხლის მოსპობამდე. სასამართლომ ასეთი გარემოებების არსებობისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შე-



აფსოს, იყო თუ არა უმწეო მდგომარეობის გამოყენებით მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკის გამოვლენა.

13.5. განსაკუთრებული სისასტიკე შეიძლება გამოიხატოს, აგრეთვე, ღარაღებულის ახლობლების თანდასწრებით მკვლელობის ჩადენით. სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ სსკ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით ქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულის ახლობლებს გაცნობიერებული ჰქონდათ დამნაშავეს ქმედება, განიციდნენ განსაკუთრებულ ტანჯვას, დამნაშავე კი მიზნად ისახავდა ან ურიგდებოდა ამ გარემოების არსებობას.

არ შეიძლება განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობად მიჩნეულ იქნას მკვლელობა, ჩადენილი მცირეწლოვანი ბავშვის თანდასწრებით, რომელსაც, ასაკის გამო, არ შესწევს უნარი მომხდარის აღქმისა.

13.6. უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა განსაკუთრებულ სისასტიკით არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით. განსაკუთრებული სისასტიკე სსკ 106-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

14.1. მრავალ პირთა სიცოცხლისათვის საშიშია საშუალება, თუ მას შემდეგაა წარმოქმნას საფრთხე ორი ან მეტი პირის სიცოცხლისათვის.

ასეთი საშუალებით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაციისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მარტო გამოყენებული საშუალების თვისებები, არამედ კონკრეტული ვითარება, რომელშიც ჩადენილი იყო მკვლელობა. დამნაშავეს ქმედება სსკ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ საშუალების გამოყენებისას შეიქმნა რეალური და არა მოჩვენებითი საფრთხე მრავალ პირთა სიცოცხლისათვის და, იმავდროულად, დამნაშავეს შეგნებული ჰქონდა ეს გარემოება. თუ დამნაშავეს მკვლელობის დროს შეგნებული არ ჰქონდა, რომ მის მიერ არჩეული საშუალების გამოყენება საშიშია მრავალ პირთა სიცოცხლისათვის, სსკ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტი არ გამოიყენება, თუნდაც ობიექტურად ასეთი საფრთხე შეიქმნას. თუ მრავალ პირთა სიცოცხლისათვის საშიში საშუალების გამოყენებისას შეიქმნა მხოლოდ ერთი პირის სიცოცხლის საფრთხე, სსკ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტი აგრეთვე არ გამოიყენება.

14.2. მრავალ პირთა სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით მკვლელობის ჩადენისას, დამნაშავე, როგორც წესი, უშვებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოყვას დანაშაულის ადგილზე მყოფ სხვა პირთა სიკვდილი. შესაბამისად, თუ დამნაშავეს ქმედებას მოჰყვა სხვა პირის სიკვდილი, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 104-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებით, ხოლო, თუ გამოიწვია სხეულის დაზიანება, მაშინ სსკ 104 მუხლის მე-6 პუნქტით და სხეულის განზრახ დაზიანების შესაბამისი მუხლით.

14.3. თუ მრავალ პირთა სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით მკვლელობას თან ახლდა ან შედეგად მოჰყვა შენობების, ავტომანქანების თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებების აფეთქება ან ცეცხლის წაკიდება, ქმედება დამატებით უნდა დაკვალიფიცირდეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით.

15.1. მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. მნიშვნელობა არა აქვს, რა სიმძიმის იყო ის დანაშაული, რომლის დაფარვის ან გაადვილებისათვის იყო ჩადენილი მკვლელობა, ან იმას, თვითონ ჩადინა ის დანაშა-

ული თუ სხვა პირმა. კვალიფიკაციისათვის არც იმას აქვს მნიშვნელობა, მიად-
წია თუ არა დამნაშავემ მკვლელობის შედეგად თავის მიზანს (გათადვილდა ან
დაფარა დანაშაული).

15.2. თუ მკვლელობის განხორციელებამდე ან მის შემდეგ ჩადენილია სხვა
დანაშაული, რომლის დაფარვის ან გაადვილების მიზანსაც ისახავდა დამნაშავე,
კვალიფიკაცია მოხდება დანაშაულთა ერთობლიობით.

16.1. გაუპატიურებასთან დაკავშირებულ მკვლელობად ჩაითვლება განზ-
რახი მკვლელობა, რომელიც ჩადენილია გაუპატიურებისას ძალადობის გამოყენე-
ბის დროს, შურისძიების მოტივით დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის
გაწევის გამო, ასევე გაუპატიურების დაფარვის მიზნით ქმედება დაკვალიფიცირ-
დება დანაშაულთა ერთობლიობით — სსკ 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით და
სსკ 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

16.2. გაუპატიურებასთან დაკავშირებული მკვლელობისას დაზარალებულის
სიკვდილი, თუ მას მოიცავდა დამნაშავეს პირდაპირი განზრახვა, არ განიხილება
სსკ 117-ე მუხლის IV ნაწილით გათვალისწინებულ განსაკუთრებით მძიმე შე-
დეგად, რომელიც გაუპატიურებას მოჰყვა. ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ
104-ე მუხლის მე-7 პუნქტითა და 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

17. სსკ 104-ე მუხლის მე-8 პუნქტით ქმედება დაკვალიფიცირდება მაშინ,
როცა მკვლელი იმ პირთა წრეს ეკუთვნის, რომელთა შორის სისხლის ალების
ჩვეულება ჯერ კიდევ შემორჩენილია და მკვლელობის მოტივი სწორედ საგვა-
რეულო სისხლის ალება იყო.

დანაშაული, რის გამოც ხდება სისხლის ალების მოტივით მკვლელობა,
შეიძლება წარმოადგენდეს არა მარტო განზრახ მკვლელობას, არამედ სხეულის
განზრახ დაზიანებას, ასევე, გაუფრთხილებელ მკვლელობას. სისხლის ალების
ნიადაგზე მკვლელობა შეიძლება უკავშირდებოდეს სხვაგვარ განაწყენებასაც,
მთავარია დადგინდეს, რომ მკვლელი მოქმედებდა სისხლის ალების ჩვეულების
მიხედვით.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, სისხლის ალების მოტივით
სწორედ იმ პირის სიცოცხლეა ხელყოფილი, ვისგანაც განაწყენება წარმოსდ-
გება, თუ მისი ახლო ნათესავისა; ყველა შემთხვევაში ქმედება განიხილება სისხ-
ლის ალების ნიადაგზე ჩადენილად. ეს დანაშაული შესაძლებელია მხოლოდ პირ
დაპირი განზრახვით.

18. მკვლელობა მაშინ ჩაითვლება განსაკუთრებით საშიში რეციდივისტ
მიერ ჩადენილად, თუ დამნაშავე მკვლელობის ჩადენამდე უკვე ცნობილი იყო
განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად და განაჩენი მის მიმართ შესული იყო
კანონიერ ძალაში.

19.1. იმ პირის მიერ ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაციისას, ვისაც
ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახი მკვლელობა, მნიშვნელობა არა აქვს, იყო
თუ არა პირი გასამართლებული ადრე ჩადენილი მკვლელობისათვის, ასევე იმას,
იყო თუ არა დამთავრებული ორივე განზრახი მკვლელობა, ამსრულებელი იყო
დანაშაულის ჩამდენი თუ თანამონაწილე.

თუ ნასამართლობა წინათ ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის დამნაშა-
ვეს მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს კანონით დადგენილი წესით, ქმედება
არ დაკვალიფიცირდება სსკ 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით.

19.2. ერთი და იმავე პირის სიცოცხლის ხელყოფა სხვადასხვა დროს
დროის მცირე მონაკვეთში, თუ ეს ქმედებები ერთიანი განზრახვით იყო მო-
ცული, განიხილება, როგორც ერთიანი დანაშაული. შესაბამისად, მისი ჩამდენი
სუბიექტი არ ჩაითვლება პირად, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახ

მკვლელობა, და ქმედება არ დაკვალიფიცირდება სსკ 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით. თუ ერთი და იმავე პირის სიცოცხლის ხელყოფა არ წარმოადგენს ერთი განზრახვის გამოვლინებას, ჩადენილია სხვადასხვა დროს ან დროის მცირე მონაკვეთში, მაგრამ, სხვადასხვა მოტივით, კვალიფიკაცია მოხდება სსკ 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით.

20. თუ მკვლელობა ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ან უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოწვეულია დაზარალებულის მხრიდან უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით, და ამასთან სსკ 104-ე მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებში, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 106-ე ან 107-ე მუხლებით.

21.1. თანამონაწილეებს მხოლოდ სსკ 104-ე მუხლით გათვალისწინებულ იმ დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ჩადენა შეეარაცხებათ ბრალად, რომლებსაც მოიცავდა მათი განზრახვა (მაგალითად, თუ პირმა წააქეზა მეორე პირი განზრახ მკვლელობაზე დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, ამსრულებელმა კი ჩაიდინა მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, წამქეზებლის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 19, 105-ე მუხლით, ამსრულებლის კი სსკ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით). ასევე გადაწყდება საკითხი თანამსრულებლობის შემთხვევაში (მაგალითად ჩადენილია ორსული ქალის მკვლელობა სამი პირის მიერ. ამასთან, ერთმა მათგანმა დანამდვილებით იცოდა ორსულობის შესახებ, მეორე ვარაუდობდა ამ გარემოებას, მესამე კი არ იცოდა. პირველი ამსრულებლის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით, დანარჩენი ამსრულებლების ქმედება კი სსკ 105-ე მუხლით).

21.2. სსკ 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები მხოლოდ სუბიექტისათვისაა დამახასიათებელი. ამიტომ ამ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული მხოლოდ იმ თანამონაწილეებს შეეარაცხებათ ბრალად, ვისაც ეს ნიშნები უშუალოდ ახასიათებს, მიუხედავად იმისა, იცოდნენ თუ არა დანარჩენმა თანამონაწილეებმა ამ გარემოებათა არსებობის შესახებ. (მაგალითად, პირი, რომელმაც წააქეზა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი განზრახ მკვლელობაზე, სხვა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, პასუხს აგებს არა 19, 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით, არამედ 19, 105-ე მუხლით).

22. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე, 255-ე, 301-ე, 389-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლო პროცესის არცერთ სტადიაზე სასამართლოს უფლება არა აქვს დამატებით გამოძიებაში საქმის გადასაცემად, დამნაშავეს ქმედება სსკ 104-ე მუხლის ერთი პუნქტიდან გადააკვალიფიციროს ამავე მუხლის სხვა პუნქტზე, თუ ეს იწვევს ბრალდების ფაზულის შეცვლას. კვალიფიკაციის ასეთი შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ არ იცვლება ბრალდების ფაზულა და ამასთან, არ ირღვევა განსასჯელის დაცვის უფლება.

23.1. სსკ 105-ე მუხლით ჩვეულებრივ კვალიფიცირდება განზრახი მკვლელობა შურისძიების ან ეჭვიანობის ნიადაგზე, მკვლელობა ჩხუბის დროს, და ა. შ., თუკი არ არსებობს სსკ 104-ე, 106 და 107-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებანი.

მკვლელობის ჩადენა ჩხუბის დროს თავისთავად არ გულისხმობს, რომ ქმედება სსკ 105-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. ჩხუბის დროს ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაციისას სასამართლოებმა ზუსტად უნდა დაადგინონ, მკვლელობის საფუძველი პირადი განაწყენება იყო და დამნაშავე შურისძიების მოტივით მოქმედებდა თუ ხულიგნური ქვენაგრძნობით. ამისათვის სასამართლოებმა უნდა გამოიკვლიონ, იცნობდნენ თუ არა ერთმანეთს დაზარალებული

და განსასჯელი, რა ურთიერთობა ჰქონდათ, რა გარემოებები უსწრებდა წინ-
ჩხუბის დაწყებას, რა ვითარებაში წარიმართა ის, ხომ არ იმყოფებოდა განსას-
ჯელი აუცილებელი მოგერიების ან აფექტურ მდგომარეობაში და საქმისათვის
მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებანი, რომლებიც გავლენას მოახდენენ
ქმედების იურიდიულ შეფასებაზე.

23.2. სსკ 105-ე მუხლით კვალიფიცირდება, აგრეთვე, მკვლელობა დაზა-
რალეზულის თხოვნით, ისევე, როგორც სიკვდილის პირას მისული მძიმე ავად-
მყოფის მკვლელობა შებრალეების გამო, მისი ტანჯვის დასრულების მიზნით
(ევეთანაზია), მნიშვნელობა არა აქვს, ითხოვა თუ არა დაზარალეზულმა მოეს-
პოთ მისთვის სიცოცხლე.

ასევე დაკვალიფიცირდება დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა მშო-
ბიარობისას ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ.

აღნიშნულ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის საქმეების განხილვისას,
სასამართლო მათ გაითვალისწინებს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუ-
ქებელ გარემოებებს.

24. თუ თანამდებობის პირმა განზრახი მკვლელობა ჩაიდინა ხელისუფლე-
ბის ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისას, ქმედება დაწაშა-
ულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება სსკ 187-ე მუხლის მე-2 ან მე-3
ნაწილით და მკვლელობის შესაბამისი მუხლით.

25. მკვლელობა ბანდიტური თავდასხმისას, ისევე, როგორც თავისუფლების
აღკვეთის დაწესებულების მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანის მიზნით ჩა-
დენილ მოქმედებათა დროს ადმინისტრაციის წარმომადგენლის მკვლელობა,
დაკვალიფიცირდება დაწაშაულთა ერთობლიობით, სსკ 78-ე მუხლითა და
მკვლელობის შესაბამისი მუხლით, სსკ 78¹ მუხლითა და სსკ 104-ე მუხლის მე-3
პუნქტით.

26. განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასჯელის დანიშვნისას სსკ 37-ე
მუხლის თანახმად, სასამართლოებმა მხედველობაში მიიღონ ჩადენილი დაწაშა-
ულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი დამნაშავის პიროვე-
ნება და საქმის გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხის-
მგებლობას. დაუშვებელია სასჯელის დანიშვნის დროს განაჩენში მხოლოდ ამ
მუხლის შინაარსის გადმოტანა და იმაზე მითითება, რომ სასჯელი ინიშნება
ჩადენილ დაწაშაულისა და დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროების ხასია-
თისა და ხარისხის გათვალისწინებით. განაჩენში აუცილებელია აღინიშნოს,
თუ რა კონკრეტული გარემოებანი მიიჩნია სასამართლომ დაწაშაულის თუ დამ-
ნაშავის პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის
დამადასტურებლად და გაითვალისწინა სასჯელის დანიშვნის დროს.

27. თუ სსკ 39-ე მუხლში მითითებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი
გარემოება წარმოადგენს განზრახ მკვლელობის მაკვალიფიცირებელ ნიშანს
(მაგალითად, განსაკუთრებული სისასტიკე, დაწაშაულის ჩადენა ანგარებით, წი-
ნასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ და სხვა), მაშინ ეს გარემოება,
როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, ვეღარ იქნება მხედველობაში მი-
ღებული სასჯელის განსაზღვრის დროს. ამასთან, სასამართლოებმა უნდა გა-
ითვალისწინონ, რომ სასჯელის დანიშვნისას უფლება არ აქვთ პასუხისმგებ-
ლობის დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა მიანიჭონ ისეთ გარემოებას,
რომელიც სსკ 39-ე მუხლში არ არის მითითებული.

მკვლელობისას საომარი ვითარების ან მის შედეგად შექმნილი მძიმე
მდგომარეობის გამოყენება, საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით შე-

იმლება მიჩნეული იქნას საზოგადოებრივ უბედურებათა მდგომარეობის გამოყენებად, და გათვალისწინებული პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად სასჯელის დანიშვნის დროს.

თუ მკვლელობა ჩადენილია სსკ 104-ე მუხლის ორი ან მეტი პუნქტით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებში, სასჯელი არ ინიშნება თითოეული პუნქტით ცალ-ცალკე, მაგრამ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას, თანახმად სსკ 37-ე მუხლისა, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ორი ან მეტი დამამძიმებელი გარემოების არსებობა დანაშაულის და მისი ჩადენის დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მატყვენებელია.

28.1. სსკ 37-ე მუხლის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დამნაშავის პიროვნების მახასიათებლები (დამოკიდებულება სამსახურისადმი, ყოფაქცევა ოჯახში და სხვა), ასევე, დაზარალებულის პიროვნების უარყოფითი მახასიათებლები, რომლებიც გამოვლინდა დანაშაულის ჩადენისას და რაიმე ზეგავლენა მოახდინა მოვლენების განვითარებაზე.

დაუშვებელია მკვლელისათვის სასჯელის შემსუბუქება მხოლოდ იმ მართებით, რომ დაზარალებული წარსულში სამართალშია ნამყოფი ან ზასიათდება უარყოფითად, რადგან კანონი თანაბრად იცავს თითოეული პიროვნების სიცოცხლეს.

29. დამნაშავისათვის თანაზომიერი, სამართლიანი სასჯელის შერჩევისათვის უადრესად მნიშვნელოვანია დაზარალებულის ქცევის სწორად შეფასება.

თუ დადგინდება დაზარალებულის ვიქტიმური ქცევა, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ ეს გარემოება აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, როგორც ბრალის ნაკლები ხარისხის მომასწავებელი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

30. სსკ 24-ე მუხლის შესაბამისად, სიკვდილით დასჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიებაა, ამიტომ მისი გამოყენება განპირობებული უნდა იყოს როგორც ჩადენილი მკვლელობის, ისე დამნაშავის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებითა და ბრალის მაღალი ხარისხით.

საკმარისი არ არის განაჩენში ზოგადად მითითება იმაზე, რომ სიკვდილით დასჯა ინიშნება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, პასუხისმგებლობის განსაკუთრებული დამამძიმებელი გარემოებების და დამნაშავის განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით. განაჩენში კონკრეტულად უნდა მიეთითოს, თუ რა გარემოებები მიიჩნია სასამართლომ პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებლად ან ბრალის მაღალი ხარისხისა თუ დამნაშავის პიროვნების განსაკუთრებული საშიშროების დამადასტურებლად.

31. სასამართლოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ სსკ მე-60 მუხლის შესაბამისად განზრახ მკვლელობის ხელშეწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენასა და მათ თავიდან აცილებას. კერძო განჩინებებით სასამართლომ რეაგირება უნდა მოახდინოს ისეთ ფაქტებზე, როგორცაა პოლიციის უმოქმედობა საყოფაცხოვრებო ან სამეუბლო კონფლიქტების მოსაგვარებლად, ადრე ჩადენილი სამართალდარღვევების დაუსჯელობა, მკვლელობის მუქარის შესახებ განცხადებებისა და შეტყობინებების უყურადღებოდ დატოვება, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის უნებართვოდ შენახვისა და ტარების ფაქტების გამოვლენის, მათი ამოღებისათვის ზომების მიუღებლობა და სხვა. აუცილებელია რეაგირება წინასწარი გამოძიების პროცესში დაშვებულ დარღვევებზეც.

32. საკასაციო და სახელმძღვანელო ინსტანციის სასამართლოებმა უზრუნველყონ სათანადო ზედამხედველობა პირველი ინსტანციის სასამართლოებში

განზრახ მკვლელობის საქმეთა განხილვაზე, გულდასმით შეამოწმონ განაჩენების კანონიერება და დასაბუთებულობა, დროულად გამოავლინონ დაშვებული შეცდომები და მიიღონ ზომები მათ აღსაკვეთად.

33. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკათა უზენაეს სასამართლოებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, პერიოდულად გაანალიზონ სასამართლო პრაქტიკა განზრახ მკვლელობის საქმეებზე, დასახონ და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი ან კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის სრულყოფის მიზნით.

34. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ“ განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1985 წლის 27 ივლისის № 4 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1988 წლის 21 ივლისის № 2 დადგენილება.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. უბრაშვილია
პლენუმის მდივანი, უზენაესი სასამართლოს წევრი დ. ხელაია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება მემკვიდრეობის საქმეებზე

1994 წლის 6 ივლისი

მემკვიდრეობის საქმეებზე სასამართლოების მიერ კანონმდებლობის სწორად გამოყენებისა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, პლენუმი

აღგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 544-ე მუხლის შესაბამისად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს ეკუთვნიან აგრეთვე არაშრომისუნარიანი პირები, რომლებიც არანაკლებ ერთი წლისა სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალებამდე იმყოფებოდნენ მის კმაყოფაზე. ისინი მემკვიდრეობას იღებენ იმ რიგის თანასწორად, რომლებიც მოწოდებულნი არიან მემკვიდრეებად.

სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ არაშრომისუნარიანად ითვლება: 55 წელს მიღწეული ქალი და 60 წელს მიღწეული მამაკაცი; პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდები, იმის მიუხედავად, დანიშნული აქვთ თუ არა მოხუცებულობის ან ინვალიდობის პენსია, აგრეთვე, 16 წელს მიუღწეველი პირები, ხოლო მოსწავლეები — 18 წლის ასაკამდე.

კმაყოფაზე მყოფად ჩაითვლება არაშრომისუნარიანი, რომელიც სამკვიდროს დამტოვებლის მთლიან რჩენაზე იმყოფება ან მისგან მიღებული დახმარება მისთვის არსებობის ძირითად და მუდმივ წყაროს წარმოადგენს.

გერი არ წარმოადგენს მამინაცვლის ან დედინაცვლის მემკვიდრეს, ისე, როგორც მამინაცვალი და დედინაცვალი არ არის გერის მემკვიდრე, ვარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი გამოიწვევიან მემკვიდრეებად, როგორც არამომისუნარიანი, სამკვიდროს დამტოვებლის რჩენაზე მყოფები.

არაღვიძლი და-ძმები მეორე რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან ღვიძლა და-ძმების თანაბრად.

2. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო ქონება მემკვიდრის გახდება მხოლოდ სამკვიდროს მიღების შემთხვევაში, ე. ი. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, ან როდესაც იგი შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში, სამკვიდროს გახსნის ადგილას.

სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული ქაღებების გადაწყვეტის დროს სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ:

ა) სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული მოქმედების შესრულება სავალდებულოა როგორც კანონისმიერი მემკვიდრისათვის, ისე ანდერძით მემკვიდრეობის დროს, აგრეთვე, სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირისათვის;

ბ) მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ქონების ფლობად ან მართვად, რაც სამკვიდროს ფაქტობრივ მიღებას აღასტურებს, ითვლება მისი ნებისმიერი მოქმედება ამ ქონების მართვის, განკარგვის და სარგებლობის თაობაზე. კერძოდ, ცხოვრობდა სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად, უვლიდა ქონებას, იხდიდა გადასახადებს, სადაზღვევო შესატანებს. ან სხვა დავალიანებებს, სამკვიდრო სახლში მცხოვრებ მოზინადრეებისაგან იღებდა ბინის ქირას, დაფარა სამკვიდროს დამტოვებლის ვალები და სხვ. ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ ამ მოქმედებებს შეიძლება ასრულებდეს თვითონ მემკვიდრე ან მისი დავალებით სხვა პირი სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში.

გ) თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის მომენტში სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად ცხოვრობდა, ითვლება, რომ მან მიიღო სამკვიდრო, მიუხედავად იმისა, ცხოვრობდა თუ არა შემდეგ ამ სახლში;

დ) სამკვიდრო ქონების ნაწილის ფაქტობრივად ფლობა განიხილება როგორც მემკვიდრეობის მთლიანად მიღება, რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს იგი და სადაც არ უნდა იმყოფებოდეს. ამასთან, საანდერძო განაკარგით ანაბრის მიღება არ ჩაითვლება მემკვიდრეობის მიღებისაკენ მიმართულ მოქმედებად, ვინაიდან, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 570-ე მუხლის თანახმად ამ შემთხვევაში ანაბარი არ შედის სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში და მასზე არ ვრცელდება სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ნორმები;

ე) საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლით დადგენილი სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს, თუ სასამართლო განხილვის შედეგად დადგინდება, რომ ვადა გაშვებულია საპატიო მიზეზით.

ვ) სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ საქმეები განიხილება საერთო სასარჩელო წესით, დანარჩენი მემკვიდრეების ან სახელმწიფოს მიერ სამკვიდროს მიღების შემთხვევაში — საფინანსო ორგანოს მოპასუხეების ჩაბმით.

ზ) საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 567-ე მუხლით, როგორც კანონისმიერი, ისე ანდერძისმიერი მემკვიდრეობის დროს,

დაშვებულია მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემა ექვს უვეზე ადრე, თუ სანოტარო მოქმედების შემსრულებელ ორგანოს მოეპოვება ცნობა, რომ სხვა მემკვიდრეები არ არსებობენ.

სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ასეთ შემთხვევაში სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ორგანოს უარი მოწმობის გაცემაზე გასაჩივრდება განსაკუთრებული წარმოების წესით, ნოტარიუსის ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელ ორგანოების მოქმედებაზე საჩივრის შეტანით (საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლი).

3. სანოტარო მოქმედებათა წესის შესახებ ინსტრუქციის 93-ე პუნქტი ითვალისწინებს სანოტარო კანტორის მიერ მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემას, თუ მემკვიდრე წარადგენს ამ პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს სამკვიდროს ფაქტობრივად მიღების შესახებ. ასეთ შემთხვევაში სანოტარო კანტორის უარი მოწმობის გაცემაზე დაინტერესებული პირის განცხადებით განიხილება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 31-ე თავის მიხედვით, როგორც საჩივარი ნოტარიუსის მოქმედებაზე, ხოლო თუ ფაქტობრივად სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეს ინსტრუქციის შემოადინიშნულ მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტები არ გააჩნია და არც შეუძლია მისი სხვა გზით მიღება, მისი განცხადება განიხილება ასევე განსაკუთრებული წარმოების წესით, მხოლოდ იმავე კოდექსის ოცდამეექვსე თავის შესაბამისად, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის წესით.

ორივე შემთხვევაში, სამოქალაქო უფლებათა შესახებ დავის წამოჭრისას საქმეს განიხილავს სასამართლო სასარჩელო წესით.

4. თუ სამკვიდრო მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლით დადგენილ ექვსთვიან ვადაში, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის არარსებობას არ მოჰყვება სამკვიდროზე უფლების დაკარგვა.


5. ერთად ცხოვრების პერიოდში მეუღლეთა მიერ საკრედიტო დაწესებულებებში თითოეულის სახელზე შეტანილი ანაბარი წარმოადგენს მათ საერთო თანასაკუთრებას და სამკვიდროდ ჩაითვლება ანაბრის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც თვითონ სამკვიდროს დამტოვებელს ეკუთვნის.

ამასთან, მემკვიდრეების მიერ ანაბრის (ანაბრების) გაყოფის და სამკვიდროს დამტოვებლის წილის დადგენისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას ორივე მეუღლის სახელზე არსებული ერთად ცხოვრების დროს შეტანილი ანაბარი საერთო თანხა, აგრეთვე სამკვიდროს დამტოვებლის კუთვნილი სხვა ქონება.

6. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 553-ე მუხლით დადგენილი წესი, რომლის თანახმად, შეძღვომი ანდერძი აუქმებს ადრინდელს, ვრცელდება ანაბარზე გაცემულ საანდერძო განაკარგზე, თუ ნოტარიულად დამოწმებულ ანდერძში არის სპეციალური მითითება, რომ იგი ეხება ანაბარს, რომელზეც ადრე არსებობდა საანდერძო განაკარგი.

7. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 73-ე პუნქტის თანახმად, მოქალაქეს, რომლის სასარგებლოდაც დგება ანდერძი, უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს ანდერძის შედგენაში, ხელი მოაწეროს ანდერძს. ანდერძის შედგენის დროს ამ პირის დასწრება არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ანდერძის შედგენაში მონაწილეობა და მარტოოდენ ეს ფაქტი არ წარმოადგენს ანდერძის ბათილად ცნობის საფუძველს.

8. სამკვიდრო ქონებაში სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირთა ჩამონათვალი, რომელიც მოცემულია საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო



სამართლის კოდექსის 547-ე მუხლში, ამომწურავია და განვრცობით განმარტებას არ ექვემდებარება: სახელდობრ, ამ უფლებით არ სარგებლობენ შვილები და შვილთაშვილები, რომელთა მშობლები სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალნენ და მეორე რიგის მემკვიდრეები, თუ ისინი სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე არ იმყოფებოდნენ.

სავალდებულო წილის ოდენობის დადგენისათვის მხედველობაში მიიღება კანონისმიერი ყველა მემკვიდრე, ვინც გამოწვეული იქნებოდა სამკვიდროს მისაღებად (მათ შორის, შვილიშვილები და შვილთაშვილები) და ყველანაირი ქონების ღირებულება, როგორც ანდერძით განკარგული, ისე ანდერძის გარეშე დარჩენილი ნაწილი, ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნების ჩათვლით, იმის მიუხედავად, ცხოვრობდა თუ არა რომელიმე მემკვიდრე სამკვიდროს დამტოვებელთან.

9. სამკვიდრო ქონების მიმართ სამკვიდროს დამტოვებლის კრედიტორების პრეტენზიების განხილვისას სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 564-ე მუხლით, კრედიტორების მიერ მემკვიდრეების მიმართ პრეტენზიების წარდგენისათვის დადგენილი ექვსთვიანი ვადა ვერცელდება სამკვიდროს დამტოვებლის ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე და ეს ვადა არ გამოიყენება მესამე პირთა სარჩელების მიმართ, რომელიც შეეხება ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობას და კუთვნილი ქონების გამოთხოვას.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. შურაბელიძე

უზენაესი სასამართლოს წევრი, პლენუმის მდივანი ღ. ხელაია

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
პლენუმის დადგენილება სამოქალაქო საქმეთა
აცილების თაობაზე**

1994 წლის 6 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი, რომელმაც განიხილა სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეთა აცილების პრაქტიკა, აღნიშნავს, რომ სასამართლოები ხშირად არ იცავენ კანონის მოთხოვნას საქმეთა აცილების შესახებ.

ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, პლენუმი

ა დ გ ე ნ ს:

სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ:

1. აცილების შესახებ კანონის დაუცველობა რწმენას უკარგავს პროცესის მონაწილეებს სასამართლოს მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაში, აყენებს მათ მატერიალურ ზიანს ერთი რაიონიდან მეორეში გადაადგილებასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო და იწვევს პროცესის მონაწილეთა კანონით გა-

რანტირებული უფლებებისა და საქმის განხილვისათვის კანონით დადგენილ ვადების უხეშ დარღვევას.

2. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 161-ე მუხლის შესაბამისად, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა შემადგენლობას, განუმარტავს მათ უფლებას აცილების განცხადების შესახებ და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე, 28-ე მუხლების შინაარსს აცილების საფუძველებზე. განაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ის, რომ სასამართლომ განიხილა მხარეების ან მათი ახლობლების ბრალდების საქმე, აცილების საფუძველს არ წარმოადგენს.

3. აცილების შესახებ განცხადების უფლება აქვთ მხოლოდ საქმეში მონაწილე პირებს; აცილება უნდა იყოს დასაბუთებული და განცხადებულ იქნას საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე. აცილების შემდგომში განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აცილების საფუძველი ცნობილი გახდა საქმის არსებითად განხილვის დაწყების შემდეგ (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი).

4. სასამართლომ განცხადება აცილების შესახებ უნდა განიხილოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლით დადგენილი წესით და დააკმაყოფილოს მხოლოდ კანონით მითითებულ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 21-22-23-24-25 მ. მ.).

5. მოსამართლის, მსაჯულის ან სასამართლოს მთელი შემადგენლობის მიმართ განცხადებული აცილების სწორად ცნობის შემთხვევაში, საქმე გადაეცემა იმავე რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს იმავე რაიონის (ქალაქის) სასამართლოს სხვა შემადგენლობას. საქმე ზემდგომ სასამართლოს უნდა ეგზავნებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს შემადგენლობის შეცვლა შეუძლებელია (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდ. 28-ე მ. მ.).

6. აცილების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. სასამართლო მხარეებს უნდა განუმარტავდეს კანონს იმის შესახებ, რომ განჩინება აცილების განცხადების უარყოფის შესახებ არ აბრკოლებს საქმის შემდგომ მსვლელობას, იგი კერძო საკასაციო საჩივრით ან პროტესტით არ გასაჩივრდება და ამ განჩინების საწინააღმდეგო მოსაზრებანი შეიძლება მოხსენებულ იქნას საქმის არსებითად გადაწყვეტის შემდეგ საკასაციო საჩივარში ან პროტესტში (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 28-32-ე მ. მ.).

7. დაევალთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკათა უზენაეს სასამართლოებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს პერიოდულად განაზოგადონ სასამართლო პრაქტიკა აცილების საქმეებზე, დასაზონ და განაზორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი საქმეთა უკანონოდ აცილებების აღმოფხვრის მიზნით. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 233-329-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით არ დატოვონ რეაგირების გარეშე საქმეთა უკანონო აცილების შემთხვევები.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. შპრანგალიძე
პლენუმის მდივანი, უზენაესი სასამართლოს წევრი ღ. ხელაია

ჯონი სემუარიანი

იურიდიული პირის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირების სოციალური ამოცანები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებად ფიზიკურ პირებთან ერთად იურიდიულ პირებსაც აღიარებს. სამართლის ამ ხელოვნური სუბიექტის წარმოშობა განაპირობა სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში ინდივიდის გვერდით მათი კოლექტიური წარმონაქმნების მონაწილეობის აუცილებლობამ, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეული იყო მსხვილი სამეურნეო პროექტების განხორციელებისათვის კაპიტალის კონცენტრაციის მექანიზმის შექმნის მოთხოვნილებით. ამასთანავე, იურიდიული პირის ინსტიტუტის მეოხებით შესაძლებელი ხდება არა მარტო კაპიტალის კონცენტრაციის სამართლებრივი ფორმის შექმნა, არამედ სამეწარმეო რისკის შეზღუდვაც იმ ქონებით, რომელიც სპეციალურად არის გამიზნული სამოქალაქო თუ კომერციულ ბრუნვაში მონაწილეობისათვის, თუმცა შემდგომში იურიდიული პირის ინსტიტუტი წარმატებით იქნა გამოყენებული აგრეთვე კერძო სამართლის სუბიექტად ფიზიკურ პირთა ისეთი გაერთიანებების ცნობისათვის, რომელთაც ძირითადად სოციალური, კულტურული და სხვა იდეალური მიზნები ამოძრავებთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბოლოო ანგარიშში, იურიდიული პირის კონსტრუქციის ძირითადი აზრი მდგომარეობს სამართლის ისეთი ახალი სუბიექტის შექმნაში, რომლის ქონება განცალკევებულია იურიდიულ პირის დამფუძნებლების (მონაწილეობის) ქონებისაგან და ამასთანავე განსაზღვრულია ამ ქონების მიზნობრივი დანიშნულება. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის არსის გასაგებად „მიზნობრივი ქონების“ თეორია უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, ვიდრე „ფიქციის“, „სოციალური რეალობის“, „კოლექტივის“ და სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული სხვა მოძღვრებები. იურიდიული პირის არსისადმი ასეთ მიდგომას აქვს როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა, კერძოდ, იურიდიული პირების საკანონმდებლო რეგლამენტაციისათვის ამ თეორიის შუქზე, მაგალითად, ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ საწარმო წარმოადგენს სამართლის არა სუბიექტს (როგორც ეს იყო საბჭოთა სამოქალაქო სამართლის თეორიასა და კანონმდებლობაში), არამედ მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკურ კომპლექსს, ე. ი. ობიექტს.

იურიდიული პირის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირების კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია საკუთრებითი ურთიერთობებისა და ეკონომიკის მართვის სისტემის ხასიათისაგან.

გასახელმწიფოებული, საგვემო-ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში, რომელსაც საფუძვლად ედო წარმოების ძირითად საშუალებებზე სახელმწიფო (ე. წ. საერთო-სახალხო) საკუთრების გაბატონებული მდგომარეობა, კანონმდებლობა ძირითად იურიდიულ პირებად აღიარებდა: 1) საწარმოს, როგორც სამრეწველო, კომერციული ხასიათის ორგანიზაციას, რომლის დაფინანსება

ხდებოდა საკუთარი შემოსავლებით და 2) დაწესებულებას, როგორც არასამრეწველო, არაკომერციული ხასიათის ორგანიზაციას, რომლის დაფინანსება ხდებოდა ზემდგომი ორგანოს ან მესაკუთრის მიერ. ბუნებრივია, სახელმწიფო საკუთრების დომინირებული მდგომარეობის გამო საწარმოთა უდიდესი უმრავლესობა იქმნებოდა, ფუნქციონირებდა და ისპობოდა სახელმწიფოს ნების შესაბამისად.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გულისხმობს საკუთრების მრავალსახეობასა და მათ თანასწორუფლებიანობას, სამეწარმეო საქმიანობისა და ხელშეკრულების დადების თავისუფლებას, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ფარგლების მკაცრად განსაზღვრასა და სხვა პრინციპების დამკვიდრებას, რა თქმა უნდა, იურიდიული პირების ის საკანონმდებლო რეგლამენტაცია, რომელიც მოცემულია მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობაში, არ შეესაბამება საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების ამ პრინციპებს და საჭიროებს არსებით ცვლილებებს. საკანონმდებლო წინადადებების შემუშავებისას, ჩვენი აზრით, გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საკანონმდებლო რეგულირების გამოცდილება, ისე ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებანი.

უწინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს იურიდიული პირის ინსტიტუტის ადგილი სამოქალაქო კანონმდებლობის სისტემაში. იურიდიული პირის ინსტიტუტი, როგორც წესი, სამოქალაქო სამართლის კოდიფიცირებულ აქტებშია მოცემული ფიზიკური პირების შემდეგ. იმ ქვეყნებში, სადაც კერძო სამართლებრივი ურთიერთობების დუალისტური რეგულირების სისტემა მოქმედებს, კომერციული იურიდიული პირების სამართლებრივი რეჟიმი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ხასიათის ურთიერთობები (სავაჭრო რეგისტრაცია, საბუღალტრო აღრიცხვა, ანგარიშგება და სხვ.) რეგულირდება აგრეთვე სავაჭრო კოდექსით. კოდიფიცირებულ აქტებთან ერთად კომერციული იურიდიული პირების ცალკეული სახეების თაობაზე მიღებულია სპეციალური კანონებიც (მაგალითად, სააქციო საზოგადოების შესახებ და სხვ.).

ჩვენ აზრით, იურიდიული პირის სამართლებრივი რეჟიმის განმსაზღვრელი ყველა ძირითადი დებულება მიზანშეწონილია დაფიქსირდეს სამოქალაქო სამართლის კოდექსში. მხედველობაში გვაქვს ნორმები იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის, წარმოშობის, დამფუძნებელი დოკუმენტების, სახელწოდების, ადგილსამყოფელის, ორგანოების, ფილიალებისა და წარმომადგენლობის, პასუხისმგებლობის, გაკოტრების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ და სხვ.

სამოქალაქო სამართლის კოდექსში უნდა მიეჩინოს ადგილი აგრეთვე როგორც კომერციული, ისე არაკომერციული იურიდიული პირების ცალკეული სახეობების მარეგულირებელ ნორმებსაც. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გამოვრიცხავენ სპეციალური საკანონმდებლო აქტების მიღებას მათ შესახებ. ზოგჯერ ეს აუცილებელიცაა. მაგალითად, პოლიტიკური პარტიების, რელიგიური ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ, როგორც წესი, სპეციალური კანონები უნდა მოქმედებდნენ.

სპეციალური კანონი უნდა იქნეს მიღებული ასევე იურიდიული პირების რეგისტრაციის, აღრიცხვისა და ანგარიშგების წესებისა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე. მაგრამ ყველა ამ საკანონმდებლო აქტებისათვის ამოსავალ, ფუძემდებლურ დებულებათა როლი უნდა შეასრულოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისმა ინსტიტუტებმა და ნორმებმა. სწორედ კოდექსმა უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობა ამ სფეროში და შე-

ასრულოს ერთგვარი გარანტიის ფუნქცია, რათა სპეციალურმა კანონებმა კანონქვემდებარე აქტებმა არ შეცვალონ იურიდიული პირების სამოქალაქო მართლებრივი რეგულირების ზოგადი საწყისები და აზრი.

როგორც ვხედავთ, ჩვენ გამოვიცხავთ კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირებაში დუალისტურ მიდგომას, ე. ი. სავაჭრო კოდექსის ან მისი მსგავსი კანონის მიღების საჭიროებას. ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი ანდა ჩვენი სამართალშემოქმედების ტრადიციით განპირობებული სავაჭრო კოდექსის არსებობამ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ჩვენი აზრით, უკვე შეასრულა თავისი როლი. იგი თავის დროზე კომერციის სფეროში იურიდიული პირების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების დაკონკრეტებასა და თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენდა. მაგრამ არც იმის დაუნახაობა იქნება, რომ აქ წარმოშობილ სპეციალურ ნორმათა დიდი ნაწილი სამოქალაქო კანონმდებლობამ უკვე შეითვისა და მათი მოქმედება გაავრცელა მსგავს ურთიერთობებზე, ე. ი. სპეციალური ნორმები ზოგად ნორმებად გადაიქცნენ. ამიტომაც იყო, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ უარი თქვა სავაჭრო კოდექსზე (მაგალითად, შვეიცარია, იტალია).

იურიდიული პირის ცნება სამოქალაქო კანონმდებლობაში იშვიათი განმარტების გარდა (შვეიცარია, რუსეთი, ლათინური ამერიკის ქვეყნები) განმარტებული არ არის. იქაც კი, სადაც კანონმდებელი ცდილობს იურიდიული პირის ცნების შინაარსის გახსნას, როგორც წესი, დეფინიცია გადმოცემულია უაღრესად ზოგადი და მოკლე ფორმულირებებით. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ძვეს როგორც იურიდიული პირის არსის შესახებ მოძღვრებათა მრავალგვარობაში, ისე საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ამ ცნების განსაზღვრის სირთულეში.

იურიდიული პირის ყველაზე უფრო მოცულობით განმარტებას რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობა იძლევა, რომლის თანახმად „იურიდიულ პირად მიიჩნევა ორგანიზაცია, რომელსაც აქვს საკუთრებაში, სრულ სამეურნეო გამგებლობაში ან ოპერატიულ მართვაში განცალკევებული ქონება, თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს ამ ქონებით და თავისი სახელით გამოდის სასამართლოში, არბიტრაჟში ან სამედიატორო სასამართლოში“. ამ დეფინიციის ნაკლი, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ იურიდიული პირი განმარტებულია „ორგანიზაციის“ ცნების მეოხებით, მაშინ, როცა იურიდიული პირი შეიძლება არ წარმოადგენდეს პირთა გაერთიანებას (ორგანიზაციას) და შედგებოდეს მხოლოდ ერთი მონაწილისაგან (ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან). მაგალითად, ვფრ-ში 70-იანი წლების დასაწყისში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა 22 პროცენტი ერთი პირის კომპანიები იყო. იგივე ვერმანიაში 80-იანი წლებიდან ლეგალიზებულია პრაქტიკა კომანდიტური ამხანაგობის განსაკუთრებული სახეობისა, რომელშიც სრულ მონაწილედ გამოდის ერთი პირის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო კომანდიტისტად — იგივე ფიზიკური პირი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სამოქალაქო სამართლის კოდექსში იურიდიული პირის ცნების განსაზღვრას კანონმდებელმა თავი უნდა აარიდოს. მთავარია, კოდექსის შესაბამისი ინსტიტუტის დებულებები ეყრდნობოდეს იურიდიული პირის ძირითად ნიშნებს. ეს ნიშნები კი შემდეგია: 1) იურიდიული პირი არსებობს მისი მონაწილეებისაგან დამოუკიდებლად; 2) მას აქვს დამოუკიდებელი ნება, რომელიც არ ემთხვევა იურიდიული პირის მონაწილეების ნებას; 3) იურიდიული პირი ფლობს ქონებას, რომელიც განცალკევებულია მისი მონაწილეების ქონებისაგან; 4) იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს მის

მფლობელობაში არსებული ქონებით; 5) იურიდიული პირი თავისი სახელით მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში; 6) იგი თავისი სახელით გამოდის მისარჩელედ და მოპასუხედ იურისდიქციულ ორგანოებში.


იურიდიული პირის საკანონმდებლო რეგულირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის კლასიფიკაციას. იურიდიული პირების კლასიფიკაცია კანონმდებლობაში უნდა განხორციელდეს იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომელთაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება იურიდიული პირების ცალკეული ჯგუფების გამოყოფა მათი სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებათა გათვალისწინებით. ამასთანავე, საკანონმდებლო კლასიფიკაციამ ამომწურავი წარმოდგენა უნდა მოგვცეს იურიდიული პირების ნაირსახეობებზე, რათა არ მოხდეს სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გაუმართლებელი აღრევა და კანონით გაუთვალისწინებელი სამართალსუბიექტობის პრეტენზიის მქონე პირების გაჩენა. როგორც ვხედავთ კლასიფიკაციის პრობლემის სწორი გადაწყვეტისაგან ბევრად არის დამოკიდებული სამეურნეო ცხოვრების ზუსტა ორგანიზაცია, სასაქონლო-ფულად ურთიერთობებსა და სამოქალაქო ბრუნვაში სიცხადისა და სტაბილურობის დამკვიდრება.

იურიდიული პირები, უწინარეს ყოვლისა, განსხვავდებიან მათ გამგებლობაში არსებული ქონებისადმი დამოკიდებულების მიხედვით. ამ თვალსაზრისით ისინი იყოფიან მათთვის მიჩენილი ქონების მესაკუთრეებად და არამესაკუთრეებად. პირველ შემთხვევაში იურიდიული პირი გვევლინება როგორც მის გამგებლობაში არსებული ქონების ერთიან მესაკუთრედ. ასეთია, მაგალითად, მოქალაქეთა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი გაერთიანებები, პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციები, საქველმოქმედო და სხვა ფონდები. ზოგიერთ შემთხვევაში ამ კატეგორიის იურიდიულ პირებში მათი დამფუძნებლები ინარჩუნებენ გარკვეულ ვალდებულებით უფლებებს იურიდიული პირის ქონებაზე, მაგალითად, უფლებას შემოსავლის გარკვეული ნაწილის მიღებაზე, აგრეთვე უფლებას იურიდიული პირის ლიკვიდაციის ან დამფუძნებლის გავლის შემთხვევაში ქონების გარკვეული ნაწილის დაბრუნებაზე. ასეთია, სამეურნეო ამხანაგობები და საზოგადოებები.

მეორე შემთხვევაში იურიდიული პირის ქონების მესაკუთრედ რჩება მისი დამფუძნებელი, რომელიც მთლიანად ინარჩუნებს მის სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლის უფლებას, მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულებები და სხვ.

საქმიანობის ხასიათის მიხედვით იურიდიული პირები იყოფიან კომერციულ და არაკომერციულ პირებად. კომერციული იურიდიული პირების საქმიანობის ძირითად მიზანს შეადგენს მოგების მიღება. შესაბამისად მისი დაფინანსება ხდება საკუთარი ხარჯებით. არაკომერციული იურიდიული პირების ძირითად მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება. მათი საქმიანობა მიმართულია არამატერიალური ინტერესების განხორციელებისაკენ და დაფინანსება ძირითადად ხდება სხვა წყაროებიდან.

შექმნის წესის მიხედვით იურიდიული პირები იყოფიან ნებაყოფლობით ან განკარგულების საფუძველზე შექმნილ პირებად. ამის შესაბამისად მათი სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება ან დამფუძნებლების ან მესაკუთრის (ანდა მმართველობის ორგანოს) მიერ. პირველ შემთხვევაში იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა განისაზღვრება დამფუძნებელთა შეთანხმებით — დამფუძნებელი ხელშეკრულებით, მეორე შემთხვევაში — მესაკუთრის (ან მმართველობის ორგანოს) ნებით, რომელიც სავალდებულოა მონაწილეებისათვის.



იურიდიულ პირთა კლასიფიკაცია ხდება აგრეთვე მარტივ და რთულ (იურიდიულ პირთა გაერთიანებები), ძირითად და დამოკიდებულ, ნაციონალურ და უცხოურ პირებად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იურიდიული პირების დაყოფას საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად. საჯარო სამართლის იურიდიული პირები წარმოიშობიან საჯარო სამართლებრივი აქტის (კანონის, ადმინისტრაციული აქტის) საფუძველზე და საჯარო მიზნებისათვის იქმნებიან. მათ ახასიათებთ აგრეთვე წევრობის თავისებური წესი, სახელისუფლო უფლებამოსილებები და ა. შ. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენს სახელმწიფო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, სახელმწიფო დაწესებულებები და სხვ. კერძო სამართლის იურიდიული პირები იქმნებიან კერძო-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ნებაყოფლობით საწყისებზე და კერძო ინტერესების განხორციელებას ისახავენ მიზნად.

მიუხედავად ამ დაყოფისა სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო სამართლის იურიდიული პირები კერძო სამართლის იურიდიული პირების თანასწორად მონაწილეობენ და ექვემდებარებიან ამ უკანასკნელთათვის დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეურნეო სუბიექტების, როგორც იურიდიული პირების, ძირითად სახეობებს წარმოადგენენ სამეურნეო ამხანაგობები და სამეურნეო საზოგადოებები.

სამეურნეო ამხანაგობად, როგორც წესი, მიიჩნევა პირთა გაერთიანება, რომელშიც დამფუძნებლები მონაწილეობენ როგორც ქონებრივი შენატანებით, ისე პირადად, გარკვეული კომერციული მიზნების მისაღწევად. პირადი მონაწილეობა აქ სავალდებულო მოთხოვნაა. სამეურნეო საზოგადოება კი უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს კომერციული მიზნებისათვის „კაპიტალის გაერთიანებას“, რომელშიც დამფუძნებლები მონაწილეობენ მხოლოდ თავიანთი ქონებრივი შენატანებით. პირადი მონაწილეობა აქ როგორც წესი, სავალდებულო არ არის.

სამეურნეო ამხანაგობის ნაირსახეობებს წარმოადგენს სრული სამეურნეო ამხანაგობა და კომანდიტური ამხანაგობა.

სამეურნეო საზოგადოების სახეობებს კი განეკუთვნება სააქციო საზოგადოება, შეზღუდული ან დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებები.

ფიზიკური პირი მეწარმეობას შეიძლება ეწეოდეს როგორც იურიდიული პირის შექმნით, ისე მის გარეშე, ოღონდ მეწარმეობის სახელმწიფო რეგისტრაციის აუცილებელი პირობით. ასეთ შემთხვევაში იურიდიული პირის შექმნისას საჭიროა მან მიიღოს კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და საფირმო სახელწოდება.

ამასთანავე, მიუხედავად მეწარმის იურიდიული სტატუსისა, კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს მეწარმის უფლება ჰქონდეს ბეჭედი, გახსნას ანგარიშსწორების და სხვა სახის ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში.

იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების საკანონმდებლო რეგულირებისას გადასაწყვეტია საკითხი სამოქალაქო ბრუნვაში ფიზიკურ პირთა ისეთი კავშირების მონაწილეობის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ, როგორცაა ოჯახი, კომლი და გლეხური მეურნეობა. ეს საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ჯერ — ერთი, საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება საკოლმეურნეო კომლისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ; მეორე, რუსეთის ფედერაციის მოქმედი კანონმდებლობით გლეხური მეურნეობა აღიარებულია

იურიდიულ პირად და მესამე, საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო წინადადება ოჯახის იურიდიულ ცნობის სასარგებლოდ.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული კოლექტიური წარმონაქმნების იურიდიულ პირად ცნობა არ იქნებოდა სწორი და მიზანშეწონილი. მათ გაერთიანებას, უწინარეს ყოვლისა, საფუძვლად უდევს ქორწინება და ნათესაური კავშირები. და თუ ამ ურთიერთობაში მყოფი პირები გადაწყვეტენ ერთობლივ სამეწარმეო საქმიანობას, მაშინ საამისოდ მხოლოდ საქორწინო და საოჯახო ურთიერთობების არსებობა არ არის საკმარისი. სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობისათვის გამიზნული ქონების გამოცალკევება და ქონებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა მოითხოვს სათანადო წესით დადგენილ ნებაყოფლობით საწყისებზე ახალი ურთიერთობების დამყარებას ფიზიკურ პირებს შორის, მიუხედავად მათ შორის საქორწინო-საოჯახო თუ ნათესაური ურთიერთობებისა. რა თქმა უნდა, ეს გარემოება სრულებითაც არ გამოირიცხავს სამოქალაქო კანონმდებლობაში სპეციალური ნორმების არსებობას, რომლებიც არეგულირებენ მეუღლეებს შორის ქონებრივ ურთიერთობებს მათ მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში. სახელდობრ, სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ თუ სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს ქორწინებაში მყოფი პირი, მაშინ ასეთი საქმიანობის შედეგების რისკი ვრცელდება მხოლოდ ამ მეუღლის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე. რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობისათვის მეუღლეთა საერთო ქონებას გამოყენებას, ამისათვის საჭირო უნდა იყოს ორივე მეუღლის თანხმობა. ამ ურთიერთობებში სიცხადის შეტანას, ვფიქრობთ, დამატებით ხელს შეუწყობს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის შემოღება.

რაც შეეხება საკოლმეურნეო კომლსა თუ გლეხურ მეურნეობას, აქ, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ფიზიკური პირების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან იურიდიული პირის შეუქმნელად. ამიტომ მათზე უნდა გავრცელდეს ასეთი კატეგორიის პირებისათვის კანონით გათვალისწინებული რეჟიმი. ხოლო უკეთუ ისინი გადაწყვეტენ იურიდიული პირის შექმნას, მაშინ მათ უნდა აირჩიონ კანონით დადგენილი ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და შესაბამისად დაუქვემდებარონ იურიდიული პირების რეგულირების სამართლებრივ რეჟიმს.

გადასაწყვეტია აგრეთვე კოოპერატივების, როგორც იურიდიული პირები საკანონმდებლო რეგულირების საკითხიც. კოოპერატივი მეურნეობის ორგანიზაციის შედარებით გავრცელებულ სახეს წარმოადგენს. კოოპერატივი წევრობის საფუძველზე მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა სამეურნეო თუ სხვა საქმიანობის ერთობლივი წარმოების მიზნით მის საკუთრებაში არსებულ ქონების მეოხებით. კოოპერატივების ორ სახეობას განარჩევენ: სამრეწველო და სამომხმარებლოს. სამრეწველო კოოპერატივები კომერციული საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს. იგი თავისი ბუნებით ძალზედ ახლოს დგას სამეურნეო ამხანაგობასთან. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ კოოპერატივში ყოველ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა მიუხედავად შენატანის რაოდენობისა, ამხანაგობაში კი ხმების რაოდენობა პირდაპირ პროპორციულად არის დამოკიდებული წილის რაოდენობისაგან. განსხვავებაა აგრეთვე შემოსავლის განაწილების წესში. კოოპერატივში იგი დამოკიდებულია შრომით წვლილზე, ხოლო ამხანაგობაში წილინ რაოდენობაზე. რაც შეეხება სამომხმარებლო კოოპერატივს იგი იქმნება თავისი წევრების განსაზღ-


ვრული მოთხოვნები უშუალო დაკმაყოფილებისათვის (მაგალითად, საბინაო კოოპერატივი).

ჩვენი აზრით, სამრეწველო კოოპერატივების, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დამოუკიდებელი სახეობის შექმნის აუცილებლობა არ გამომდინარეობს სამეურნეო პრაქტიკის მოთხოვნებიდან. სამეურნეო ამხანაგობების ის სახეობები, რომლებზედაც ზემოთ ვეჭონდა საუბარი, ვფიქრობთ, სავსებით გამოდგება კოოპერატივების მსგავსი გაერთიანებისათვის სათანადო სამართლებრივი ფორმის მისაცემად. რაც შეეხება სამომხმარებლო კოოპერატივებს, როგორც არაკომერციული, არასამრეწველო ხასიათის იურიდიულ პირებს, მათი სამართლებრივი რეგულირება სპეციალური კანონით უნდა განხორციელდეს.

სამოქალაქო კანონმდებლობამ უარი უნდა თქვას იურიდიული პირის სპეციალურ უფლებაუნარიანობაზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საეგემო-ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში. იურიდიულ პირს უფლება უნდა ჰქონდეს განაზოროციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული კანონით ან არ ეწინააღმდეგება მის საწესდებო მიზნებს. მაშასადამე, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის ფარგლები უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ კანონით და თვით იურიდიული პირის წესდებით. ამასთანავე, უფლებაუნარიანობის ფარგლების კანონით განსაზღვრაში იგულისხმება, როგორც ამა თუ იმ სახის საქმიანობის საერთოდ აკრძალვა, ასევე ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირისათვის ამა თუ იმ სახეობის საქმიანობის განხორციელების უფლების აკრძალვა.

კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს იურიდიული პირების სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაცია. რეგისტრაციას უნდა დაექვემდებაროს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული იურიდიული პირები. საჯარო სამართლის ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირთათვის ამ წესიდან გამონაკლისი დადგენილი უნდა იქნეს კანონით. რეგისტრაციის პირობებისა და წარმოების წესის შესახებ, ჩვენი აზრით, მიღებული უნდა იქნეს სპეციალური კანონი. იურიდიული პირი შექმნილად ან ლიკვიდირებულად ჩაითვლება იურიდიული პირების სახელმწიფო რეესტრში სათანადო აღნიშვნის შემდეგ.

ამასთანავე, კომერციული ურთიერთობების ინტერესებიდან გამომდინარე გათვალისწინებული უნდა იყოს საჯაროობა სახელმწიფო რეესტრის მიმართ. კერძოდ, კანონის საფუძველზე ნებისმიერ პირს უფლება უნდა მიეცეს დადგენილი ანაზღაურების გადახდის შემდეგ მიიღოს სათანადოდ დამოწმებული ამონაწერები რეესტრიდან. კომერციული იურიდიული პირების რეესტრის წარმოება მიზანშეწონილია დაეკისროს სასამართლოს, ხოლო არაკომერციული იურიდიული პირებისა — იუსტიციის სამინისტროს.



ლადო ქანტუზია


აბსტრაქციის პრინციპი გერმანულ სამართალში

საკითხი, თუ რომელი წინაპირობების არსებობისას გადადის გაყიდული ნივთის საკუთრება მყიდველზე, მსოფლიოს სხვადასხვა მართლწესრიგების მიერ სრულიად განსხვავებულად წყდება. რომანულ ქვეყნებში, ასევე საერთო სამართლის ქვეყნებში საკუთრება პრინციპულად გადადის იმ მომენტში, როცა დაიდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. სხვა ქვეყნები ამით არ კმაყოფილდებიან. ისინი დამატებით მოითხოვენ, რომ გაყიდული ნივთი გადავიდეს მესაკუთრეზე. მხოლოდ ამის შემდეგ წარმოეშობა მყიდველს საკუთრება. ამ მხრივ გერმანია კიდევ უფრო წინ წავიდა. გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით გადაცემისთვის დამატებით საჭიროა „მხარეთა განსაკუთრებული სახელშეკრულებო თანხმობა“, რომ გაყიდულ ნივთზე საკუთრება ამიერიდან შემძენზე გადავიდეს. ამგვარ თანხმობას გერმანულ სამართალში „სანივთო ხელშეკრულებას“ ანდა „სანივთო შეთანხმებას“ უწოდებენ. იგი განსხვავდება ყველა იმ შეთანხმებისგან, რასაც მხარეები ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში აღწევენ: ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გამყიდველი უწინარეს ყოვლისა, ვალდებულია გადასცეს ნივთი, მაშინ, როცა სანივთო ხელშეკრულებაში იგი აღასრულებს ამ ვალდებულებას. ამ ხელშეკრულებაში იგი მყიდველთან შეთანხმდა, რომ ამიერიდან მყიდველი იქნება მესაკუთრე. საკუთრების გადასვლის ამ მეთოდს „აბსტრაქციის პრინციპი“ ეწოდება, ხოლო სანივთო ხელშეკრულებას – „აბსტრაქტული სანივთო ხელშეკრულება“¹.

აბსტრაქტული სანივთო ხელშეკრულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი დამოუკიდებელია ვალდებულებითი ხელშეკრულების ნამდვილობისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს „რომ მყიდველი, რომელიც „ნივთობრივად“ შეთანხმდა გამყიდველთან და მისგან მიიღო გაყიდული ნივთი, პრინციპულად ამ ნივთზე საკუთრებას შეიძენს მაშინაც, როცა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება თავიდანვე ბათილი იყო ანდა შემდგომი შედავების გზით მოიშალა ან სხვა საფუძვლით გაბათილდა. სანივთო შეთანხმება აქ „აბსტრაქტულია“, რადგანაც იგი გადაცემასთან ერთად საკუთრების გადასვლას იწვევს მაშინაც კი, როცა ნამდვილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ძალაში არ შესულა ანდა მოგვიანებით დაკარგა ძალა“². ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში მყიდველს არა აქვს ნივთის შენარჩუნების უფლება. ე. ი. მან საკუთრება შეიძინა „სამართლებრივი საფუძვლების გარეშე“ და „უსაფუძვლო გამდიდრების“ ნორმების შესაბამისად უკანვე უნდა დაუბრუნოს იგი გამყიდველს. ე. ი. უკანდაბრუნების საფუძ-

¹ Baur. Sachenrecht, § 5 IV, S. 42; Brox, Allgemeiner Teil des BGB; Zweigert/Kütz. Einführung in die Rechtsvergleichung. 1971, S. 215; Westermann, Sachenrecht, 5. Aufl. S. 24-26 usw.

² ცეაიგერტ/კიუტცი. დასახ. შრ. გვ. 215.



ველს შეადგენს არა სანივთო-სამართლებრივი მოთხოვნა, არამედ ვალდებულებით სამართლებრივი.

გერმანულ სამართალში ეს წესები მოქმედებს არა მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის მიმართ, არამედ ჩუქების, გაცვლის და სხვა ანალოგიური გარიგებების მიმართ, სადაც საკუთრების გადასვლასთან გვაქვს საქმე. (ამიტომ შემდგომში, როცა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ ასევე მის ანალოგიურ გარიგებებსაც). ყველა ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან განსხვავდება „ძირითადი გარიგება“ ანუ „კაუზალური გარიგება“ და „აღსრულების გარიგება“ (კერძოდ, საკუთრების გადაცემა). ძირითადი გარიგების ბათილობის მიუხედავად, შეიძლება „აბსტრაქტული“ „აღსრულების გარიგება“ ნამდვილი იყოს და შესაბამისად ამისა, მყიდველმა საკუთრება შეიძინოს. შექმნილი საკუთრება ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემდეგ ავტომატურად არ უბრუნდება ძველ მესაკუთრეს (გამყიდველს). ასევე ავტომატურად არ შეიტანება ცვლილება საადგილმამულო წიგნში.

„აბსტრაქტული სანივთო ხელშეკრულების“ მოძღვრება პირველად მე-19 საუკუნეში განვითარდა. მანამდე *usus modernus pandectarum*-ში³ განმტკიცებული იყო შეხედულება, რომ ნივთის გადაცემისთვის საჭირო იყო ორი რამ: *titulus* და *modus*. ტიტულუსში იგულისხმებოდა ნამდვილი სამართლებრივი ურთიერთობა, როგორცაა, მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ანდა საკუთრების მოპოვების უფლებამოსილება, მოდუს ნიშნავდა ნივთის ფიზიკურ გადაცემას, ანდა მის მსგავს აღმასრულებელ აქტს. უზუს მოდერნუსისათვის უცხო იყო შეხედულება იმის თაობაზე, რომ ნივთის გადასვლას შეიძლებოდა საფუძვლად დაედებოდა რაიმე სანივთო ხელშეკრულება. თუ არ არსებობდა ნამდვილი ტიტულუსისა და მოდუსის ურთიერთობის მოძღვრება, მაშინ შეუძლებელი იყო ნივთის შემქენი, მიუხედავად ნივთის გადაცემისა, მესაკუთრე გამხდარიყო. ტიტულუსისა და მოდუსის ურთიერთობის ეს მოძღვრება განმტკიცებულ იყო, როგორც პრუსიულ სამართალში, ასევე ავსტრიის ზოგად სამოქალაქო სამართლის წიგნში.

აბსტრაქციის პრინციპი სავინის სახელთანაა დაკავშირებული და მას სავინის „ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე წარმატებულ დოგმატურ ქმნილებად“ აღიარებენ⁴. თავის ლექციებში სავინიმ განავითარა მოსაზრება, რომ ნივთის გადაცემა, რომელიც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესრულებას მოსდევს შედეგად, არ არის მხოლოდ ფაქტობრივი აღსრულების აქტი, არამედ მოიცავს სპეციალურ — საკუთრების გადატანაზე მიმართულ — „სანივთო“ ხელშეკრულებას. ეს მოსაზრება სავინიმ უფრო განავითარა და დააზუსტა თავის სახელგანთქმულ შრომაში „დღევანდელი რომის სამართლის სისტემა“. აქ მან გამოთქვა აზრი, რომ უნდა მომხდარიყო სანივთო ხელშეკრულების „აბსტრაქტიზაცია“ ძირითადი გარიგებისგან: მაშინაც კი როცა განსაზღვრული საგანი ერთი მხარიდან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების აღსასრულებლად გადადის, ხოლო მეორე მხარის მიერ მიიღება როგორც საჩუქარი. მხარეთა ეს ცდომილება არ შეეხება მათ მიერ დადებულ სანივთო ხელშეკრულებას და ამიტომ არ გამოირიცხავს საკუთრების გადაცემას. ცდომილების საფუძველზე შექმნილი საკუთრება ითვლება შემქენას საკუთრებად. გამსხვივებულს რომელმაც, ცდომილების გამო დაკარგა ნივთი, შეუძლია მესაკუთრისგან მისი უკან მოთხოვნა სხვა საფუძველით.

³ ნინვას პანდექტების თანამედროვე გამოყენებას, რომელიც მე-16-18 საუკუნეების გერმანულ სამართალში ჩამოყალიბდა: Köbler, Juristisches Wörterbuch, 5. Aufl. S. 368.

⁴ ცევიგერტი/კოეტცი, გვ. 216.

მე-19 საუკუნის გერმანული სამართლის მეცნიერებაში იმდენად განმტკიცდა აბსტრაქციის პრინციპი, რომ საუკუნის ბოლოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის ავტორებისთვის უკვე ეჭვს არ იწვევდა მისი საკანონმდებლო განმტკიცების აუცილებლობა არა მხოლოდ მიწის საკუთრების მიმართ, არამედ ასევე მოძრავ ნივთებზე. მიუხედავად ამისა, აბსტრაქციის პრინციპი მაინც მოექცა დიდი კრიტიკის ქვეშ. მთავარ არგუმენტად ის იქნა მოხმობილი, რომ ეს პრინციპი უცხო იყო რეალური ცხოვრებისთვის. გაუმართლებლად მიიჩნიეს ადამიანების მიერ ერთიან ურთიერთობად გაგებული ურთიერთობების დაქუცმაცება რამდენიმე ნაწილად. ეს მოსაზრება გამოთქვა ოტო გირკემ: სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ დაწერილ ნაშრომში აბსტრაქციის პრინციპის გამო იგი წერდა: „შინაარსობრივადაც ეს არის ცხოვრებისთვის გაძალიანება, როცა პროექტი სახელმძღვანელო წიგნების მსგავსი წინადადებებით გვაიძულებს, რომ მოძრავი ნივთის უმარტივესი გასხვისებაც კი სამართლებრივად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, სულ ცოტა, სამ იურიდიულ პროცედურად დაქსაქსოს, ვინც მაღაზიაში შედის და ხელთათმანს ყიდულობს, რომლისთვისაც იგი იქვე იხდის ფულს და რომელიც თან მიაქვს, მუდამ უნდა ფიქრობდეს, რომ სამგვარი რამ მოხდა: 1. დაიდო და აღსრულდა ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება; 2. დადებულია ამავე დროს ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულებისგან დამოუკიდებელი სანივთო ხელშეკრულება; 3. ამ ორი გარიგების გარდა, არის კიდევ მიღწეული გადაცემა, რომელიც მართალია, სამართლებრივი მოქმედებაა, მაგრამ არ არის სამართლებრივი გარიგება“⁵. ავტორის აზრით, ეს არის მხოლოდ ფიქტია, რომელსაც ურთიერთობათა გართულების გარდა, სხვა რამე სიკეთე არ მოაქვს.

გირკეს კრიტიკამ ვერ შეძლო უარყო აბსტრაქციის პრინციპი. იგი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მრავალ ნორმაშია განმტკიცებული. მაგალითად, §929-ის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადატანისთვის ნივთის გადაცემის გარდა აუცილებელია რომ მესაკუთრე და შემძენი „შეთანხმდნენ იმაზე, რომ საკუთრება უნდა გადავიდეს“; იგივე წესი მოქმედებს მიწის ნაკვეთის გადაცემისას იმ განსხვავებით, რომ სანივთო შეთანხმებას აქ „დათმობა“ ჰქვია და გადაცემის ადგილს იკავებს საადგილმამულო წიგნში რეგისტრაცია.

აბსტრაქციის პრინციპი, ე. ი. ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებების და სანივთო გარიგებების ერთმანეთისგან გაყოფის პრინციპი დღეს აღიარებულია როგორც მეცნიერებაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში.

ამრიგად, თანამედროვე გერმანული სამართლის მიხედვით საკუთრების შესაძენად არ არის საკმარისი მხოლოდ ხელშეკრულების (ე. ი. ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების) დადება, არამედ აუცილებელია სანივთო ხელშეკრულებაც, რაც გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას, რომ გადასცენ ნივთი. ძირითადი (კაჟხალური) ხელშეკრულების ბათილად აღიარების შემთხვევაში სანივთო ხელშეკრულების ძალით მესაკუთრედ რჩება ნივთის შემძენი. ყოფილი მესაკუთრე მოითხოვს ნივთის უკან დაბრუნებას არა ვინდიკაციის სანივთო უფლების საფუძველზე, არამედ უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული ქონების ვინდიკაციის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის საფუძველზე.

გერმანიის სამოქალაქო სამართალში განმტკიცებული „აბსტრაქციის პრინციპი“ არ არის საკუთრების შეძენის ერთადერთი შესაძლო ვარიანტი. პირიქით, სხვა ქვეყნების სამოქალაქო სამართალი არც იცნობს ამგვარ დაყოფას ვალდებ-

⁵ Gierke v. Otto. Der Entwurf eines bürgerlichen Gesetzbuchs und das deutsche Recht. 1889. S. 336.

ბულებით-სამართლებრივ და სანივთო გარიგებებს შორის. თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და ნივთის გადაცემა განიხილება როგორც ერთიანი აქტი („ერთიანობის პრინციპი“); მაშინ აბსტრაქციის პრინციპი სრულიად ზედმეტი ვახდლება.⁶

აბსტრაქციის პრინციპის გარდა არსებობს საკუთრებს გადაცემის ორი ფორმა: ჯერ ერთი, საკუთრება შეძლება გადავიდეს მხოლოდ ვალდებულებითი ხელშეკრულების შესრულების საფუძველზე („წმინდა სახელშეკრულებო პრინციპი“); მეორე, ამ ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ რეალურ აღსრულებასთან მჭიდრო კავშირში (ერთიანობის პრინციპისა და გადაცემის პრინციპის კავშირი). მეორე ფორმა ძველ გერმანულ სამართალში არსებობდა და იგი დღეს პრაქტიკულად არ გამოიყენება. პირველი ფორმა განმტკიცებულია საფრანგეთის სამოქალაქო სამართალში, ასევე რომანულ და სკანდინავიის ქვეყნების სამართლებში. ინგლისური სამართალიც იცნობს მას მოძრავი ნივთების მიმართ.

საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1583-ე მუხლის თანახმად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ძალაშია და საკუთრება მყიდველზე გადადის იმ წუთიდან, როცა მხარეები შეთანხმდნენ ნივთზე და მის ფასზე, მაშინაც, კი, როცა ნივთი ჯერ არ გადაცემულა და ფასი ჯერ არ გადახდილა. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უკვე იწვევს საკუთრების გადასვლას. ფრანგი ავტორების აზრით, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ფრანგული სამართლის მიხედვით არის ვალდებულებითი გარიგება.⁷ გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს საკუთრება და გადასცემს იგი მას იმავე ხელშეკრულებით (განსხვავებით გერმანულია სანივთო ხელშეკრულებისაგან).

ლარენცი ანალიზებს საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსში განმტკიცებულ წმინდა სახელშეკრულებო პრინციპს და მის სამართლებრივ შედეგებს. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების მაშინვე შეძენით მყიდველი იმავდროულად მესამე პირთა მიმართაც (მაგალითად გამყიდველის კრედიტორი) მოიპოვებს ნამდვილ სანივთო დაცვას. ეს დაცვა არ გამოიყენება, როცა გამყიდველი ნივთს კიდევ ერთხელ გაყიდის კეთილსინდისიერ შემძენზე და როცა მეორე მყიდველი პირველზე უწინ მიიღებს მფლობელობას. ამის შესაბამისად ფრანგულ სამართალში მყიდველი სარგებლობს სრული სანივთო დაცვით იმ მომენტიდან, როცა იგი მფლობელობას მოიპოვებს. მიწის ნაკვეთების დროს მფლობელობის ადვილს იკავენს რეგისტრაცია. ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ გამოცხადებულ პირობით საკუთრებას არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია.

წმინდა ხელშეკრულების ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი წარმოიშობა არა ნივთის გადაცემით, არამედ ხელშეკრულების დადების მომენტიდან. შემთხვევით დაღუპვის რისკს პრინციპულად ატარებს მესაკუთრე. მესაკუთრე კი ყიდვა-გაყიდვის დადების მომენტიდან არის მყიდველი, მან უნდა გადაიხადოს ნივთის ღირებულება მაშინაც, როცა იგი მას რეალურად არც მიუღია. თუ ხელშეკრულება ბათილია ანდა გამყიდველი მოითხოვს ფასის გადაუხდელობის გამო (რაც ფრანგული სამართლით შესაძლებელია) ამ ხელშეკრულების მოშლას, მაშინ საკუთრება რჩება გამყიდველთან ან დაუბრუნდება იგი მას და მას შეუძლია ამის შესაბამისად ნივთი მესამე პირისგან მოითხოვოს,

⁶ Larenz, Schuldrecht II, § 39 II.

⁷ Ferid, Französische Zivilrecht, 1971, Bd. I §§ 35, 36.

თუკი ამ უკანასკნელმა ეს ნივთი არ შეიძინა, როგორც კეთილსინდისიერმა შემქმნელმა.

საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, პრუსიის ზოგადი სამართალი საკუთრების გადასვლისთვის მოითხოვდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გარდა ასევე ნივთის გადაცემას. ე. ი. იგი უკავშირებდა „ერთიანობის პრინციპს“ (არავითარი დაყოფა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასა და სანივთო გარიგებას შორის) გადაცემის პრინციპთან. ვალდებულებით-სამართლებრივ შექმნის გარიგებას უწოდებდნენ სამართლებრივ „ტიტულუსს“, გადაცემას კი — „მოღუსს“. ტიტულუს და მოღუს მხოლოდ ერთობლიობაში იწვევენდნენ საკუთრების გადაცემას. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით ანდა სხვა მსგავსი „ტიტულით“ შექმნი ჯერ კიდევ არ მოიპოვებდა საკუთრებას, არამედ გარკვეულწილად მხოლოდ მიღების უფლებას. იგი, პრუსიული სამართლის მიხედვით დაკავშირებული იყო ე. წ. „*jus ad rem*“, რომლის თანახმად მყიდველს შეეძლო თავისი მოთხოვნა ასევე არაკეთილსინდისიერი მესამე პირისკენ მიემართა. პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ნივთი ჯერ კიდევ ეკუთვნოდა გამყიდველს. მხოლოდ ნივთის გადაცემის შემდეგ მოიპოვებდა მყიდველი საკუთრებას.

„აბსტრაქციის პრინციპის“ წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი იყო საკუთრებით ურთიერთობათა გარანტირებულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აკერძოდ როგორც მყიდველის, ასევე გამყიდველის დაცვა. მოულოდნელი და შემთხვევითი ფაქტებისაგან.

მიუხედავად ამისა, ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებისა და სანივთო გარიგების გაყოფის პრინციპი, აქედან გამომდინარე აბსტრაქციის პრინციპი მრავალგზის იყო კრიტიკის საგანი. ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად, როგორც, მაგალითად, გირკე, მიიჩნევენ ფსიქოლოგიურ მომენტს: რომ ერთიანი აქტის ამგვარი ორსაფეხუროვანი დაყოფა (ვალდებულებით-სამართლებრივ და სანივთო-სამართლებრივ გარიგებებად) უცხოაო ნორმალური ადამიანური ფსიქიკისათვის. ლარენცის აზრით, ეს არ უნდა იყოს მთავარი ამ საკითხის გადაწყვეტისას. მას მიაჩნია, რომ მთავარია ამ ინსტიტუტის სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება⁸.

ფრანგული სამართლის წმინდა სახელშეკრულებო პრინციპი გამოირჩევა თავისი თვალსაჩინო სიმარტივით. იგი გამყიდველს ხელსაყრელ პირობებს უქმნის იმით, რომ ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი უშუალოდ ხელშეკრულების დადების მომენტიდან გადადის მყიდველზე, მიუხედავად იმისა, გადავიდა თუ არა მასზე ნივთი. მანამ, სანამ მყიდველს მფლობელობა რეალურად არ მოუპოვებია, მას არ შეუძლია მისი გამოყენება, ვინაიდან ნივთი არ იმყოფება ჯერ კიდევ მის ხელში. რამდენად გამართლებულია, რომ იგი უკვე ატარებს შემთხვევითი დაღუპვის რისკს მაშინაც კი, როცა ნივთი გამყიდველის მფლობელობაში იმყოფება. დაბოლოს, წმინდა სახელშეკრულებო პრინციპი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მფლობელობის ბუნებრივ როლს, როგორც საკუთრების გარეგნულ ნაშანს. ეს განსაკუთრებით საგრძნობია თანამედროვე სამართლებრივ ურთიერთობებში, როცა მფლობელობის შეცვლა სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს იწვევს. ამ ფაქტს ფრანგული სამართალიც აქცევს ყურადღებას. როგორც უკვე ვთქვი, ორ მყიდველს შორის ფრანგული სამართალი უპირატესობას ანიჭებს იმას, ვინც პირველმა მიიღო მფლობელობა, თუკი ეს უკანასკნელი კეთილსინდა-

⁸ ლარენცი, იქვე.

სიერი შემძენია. ის, რომ მხოლოდ მფლობელობის მოპოვებით გადადის ნივთი
საბოლოოდ მყიდველის ქონებაში, ლარენცის აზრით არ უნდა იყოს უცხად
ზოგადო შეხედულებებისთვის. ნივთთა ბუნებაც ლაპარაკობს ამის სასარგებლოდ.
მფლობელობა, როგორც ფაქტობრივი ბატონობა ნივთზე, საკუთრებისთვის არა
მხოლოდ გარეგნული ანდა შემთხვევითია, არამედ ისეთი მომენტი, რომლის
მეშვეობითაც საკუთრება, როგორც სოციალური მოვლენა, დიდ მნიშვნელობას
იძენს. მფლობელობის გარეშე საკუთრება გარკვეულწილად არის რეალურობას
მოკლებული და არამყარი საკუთრება. ამის გამო ლარენცი ფრანგულ სამართალ-
ში განმტკიცებულ წმინდა ხელშეკრულების პრინციპს არ მიიჩნევს მართებულად⁹.

ამავე დროს არც აბსტრაქციის პრინციპია უნაკლო. პირველ რიგში აქ აღ-
სანიშნავია, რომ გამყიდველს არა აქვს სათანადო სანივთო დაცვა იმ შემთხვე-
ვისთვის, როცა ხელშეკრულება ბათილად იქნება მიჩნეული. ამ დროს იგი მი-
მართავს ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებებს; ე. ი. უსაფუძვლო გამ-
დიდრების ნორმების შესაბამისად.

⁹ ლარენცი, იქვე.



ბიორგი გოზიაშვილი

სახელმწიფოს ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის პრობლემა

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი უნივერსალურ ხასიათს ატარებს. იგი პრობლემატურია მრავალი ქვეყნისათვის და მასში გააზრებულია, სახელმწიფოს ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაცია, ესე იგი, იმის განსაზღვრა თუ რომელი ნაწილებისაგან შედგება სახელმწიფო, როგორია მათი სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილება, ურთიერთობა ცენტრსა და პერიფერიებს შორის.

ცალკეულ სახელმწიფოში გარკვეული ტერიტორიული მოწყობის ფორმის არსებობა დეტერმინირებულია მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალური, ისტორიული, ეროვნული, გეოგრაფიული და სხვა პირობებით. აგრეთვე, წმინდა ფსიქოლოგიური, ემოციური ხასიათის ფაქტორებით, ტრადიციებით და ა. შ. ასე რომ, შეიძლება ითქვას, სახელმწიფოებრივი წყობის ფორმას საზოგადოებრივ ცნობიერებაში აქვს უფრო ღრმა ფესვები, ვიდრე თვით სახელმწიფო-სამართლებრივ ინსტიტუტებში.

ა. ტოკვილი წერდა: „კანონმდებელი ზოგჯერ მრავალი მცდელობის შემდეგ იძენს ირიბ ზეგავლენას ერის ბედზე, — და ყველა ადიდებს მის გენიას, მაშინ როცა ხშირად, ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა, მისგან სავსებით დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი ყოფა, შექმნილი მისი დახმარების გარეშე, ზნეჩვეულებანი, რწმენები, რომელთა საფუძველიც მისთვის ცნობილი არ არის, აწარმოებენ საზოგადოებაში დაუძლეველ მისწრაფებებს, რომელთა წინააღმდეგაც იგი უშედეგოდ იბრძოდებდა და რომლებიც ხშირად იტაცებენ მასაც.“

კანონმდებელი ჰგავს იმ ადამიანს, რომელიც თავის გზაზე იკვლევს ზღვებს შუა, მას შეუძლია მართოს თავისი ზომადი, მაგრამ არ შეუძლია შეიცვალოს ამ ზომადლის მოწყობა, არ შეუძლია წარმოშვას ქარი, ან აუკრძალოს ოკეანეს მის ფეხქვეშ დღევა“¹.

ყოველივე ამის თქმა იმისთვის დაგვჭირდა, რომ სახელმწიფოში ტერიტორიული მოწყობის ამა თუ იმ ფორმის შემოღებას წინ უნდა უძლოდეს ხმ სახელმწიფოს სულისა და სხეულის მრავალმხრივი შესწავლა და გათვალისწინება.

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის თეორიაში არ არსებობს „წმინდა“ უნიტარული და „წმინდა“ ფედერაციული სახელმწიფოები. ხშირია შემთხვევები, როცა უნიტარულ სახელმწიფოს რამდენიმე ფედერალური ნიშანიც აქვს

¹ ა. ტოკვილი, დემოკრატია ამერიკაში, 1860, კიევი, გვ. 237.

და პირიქით. მაგრამ ასეთ უნიტარულ სახელმწიფოებში, როგორც არ უნდა შტრს მიდიოდეს დეცენტრალიზაცია, მისი ხარისხობრივი განსხვავება ფედერაციული სახელმწიფოსაგან იურისპრუდენციისათვის შენარჩუნებულია მთელი ძალით.

არასწორია უნიტარიზმისა და ცენტრალიზმის ერთმანეთთან გაიგივება. უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფოები ცენტრალური ხელისუფლები-საგან არათუ თვითმმართველობის, არამედ ფართო დეცენტრალიზაციის სივცე-საც სტოვებენ. ეს ორი სისტემა: 1. თვითმმართველობა; 2. ავტონომია არ ეწი-ნაალმდეგება სახელმწიფოს უნიტარულ ტიპს.

ყოველგვარი პოლიტიკური კავშირი შეიძლება აგებულ იქნას ან პოლიარ-ქიულ საწყისზე, ე. ი. დაუშვათ რამდენიმე სუვერენული ხელისუფლების თა-ნაარსებობა (ეს კონფედერაციაა) ან ერთიან ხელისუფლებაზე, ე. ი. დაუშვათ არსებობა ერთი სუვერენული ხელისუფლებისა, ეს არის უნიტარული სახელ-მწიფოები და ბოლოს დუალისტურ საწყისზე, ე. ი. დაუშვათ სუვერენული ხე-ლისუფლების განსაკუთრებული რთული წარმოშობა (ეს ფედერალური სა-ხელმწიფოებია)².

ფედერაციისაგან განსხვავებით კონფედერაცია არ წარმოშობს ერთ მთლი-ან ხალხს — პირთა ერთობლიობას, რომლებიც ექვემდებარებიან ერთი და იმა-ვე სამთავრობო ხელისუფლებას. ამასთანავე მას აქვს სულოფიკაციისა და სე-ცესიის უფლება. ამაში მდგომარეობს ძირითადი განსხვავება კონფედერაციასა და ფედერაციას შორის.


ფედერალურ გაერთიანებაში შესვლით, სახელმწიფო უარს ამბობს რიგ თავისუფლებაზე და უპირატესად კი თავის სუვერენულ უფლებაზე, მაგრამ ამის ნაცვლად ის იღებს უფლებას იყოს საერთო სუვერენიტეტის წარმოქმნის ორ-განული ნაწილი.

ცალკეული შტატების კომპეტენცია შეიძლება იყოს შეუზღუდავად ფარ-თო, მაგრამ თუ საერთო ფედერალური, სუვერენული ხელისუფლება (ე. ი. ის, რომელსაც შეუძლია შეამციროს ან გაანადგუროს შტატის ეს კომპეტენცია) ხორციელდება მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ, რომლის წარმოქმნაზეც შტატები ზეგავლენას თუ ახდენენ მხოლოდ როგორც ერთიანი კავშირის წარმომადგენლები და არა როგორც განსაკუთრებული პო-ლიტიკური ორგანიზაციები, მაშინ არავითარი ფედერალური საწყისი ასეთ სა-ხელმწიფოებრივ მოწყობაში არ არის, ეს იქნება მხოლოდ ძლიერად დეცენტ-რალიზებული სახელმწიფო. ფედერალიზმისათვის საჭიროა ვიცოდეთ არა ის, თუ როგორი კომპეტენცია აქვს ცალკეულ შტატს, არამედ ის, ხელისუფლების როგორი მოცულობა ეკუთვნის იმ ფედერალურ ორგანოს, რომელშიც შტა-ტები წარმოდგენილნი არიან მათ თავისთავადობაში³.

ფედერაციული მოწყობის მიზანი შეიძლება მდგომარეობდეს ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის ორგანიზაციისა და შენარჩუნებაში, რომელიც აკავ-შირებს მრავალფეროვნებასა და ერთიანობას (ესა კლასიკური ფედერალიზმი), პირიქით, ფედერაციული წყობა შეიძლება ემსახურებოდეს ერთიანი პოლიტი-კური ორგანიზმის დანაწევრებას, რომელიც ფედერაციული წყობით დაცული უნდა იქნას მთლიანი საბოლოო დეზინტეგრაციისაგან (ამ პრინციპს ბევრი სკვპტიკურად უყურებს: ბრაზილიის ამგვარ პრეცედენტს ბოლო პერიოდში ბელგიაც შეემატა, სადაც 1861 წლის უნიტარული კონსტიტუცია ფედერაცი-ულმა შეცვალა. ამით სახელმწიფო ცდილობს დააკმაყოფილოს და ლეგალურ ჩარჩოებში მოაქციოს ცენტრიდანული ტენდენციები და ბოლოს, კ. ჰესსეს

² ა. იაშენკო, ფედერალიზმის თეორია, იურივეი, 1912, გვ. 300.

³ იქვე, გვ. 332.



სწორი დაკვირვებით ფედერალიზმის ამოცანები და ფუნქციები შეიძლება დაუკავშირდეს დემოკრატიული და სახელმწიფოებრივი მართლწესრიგის ორგანიზაციის მიზანშეწონილობის მოთხოვნებს, მის დახმარების აღმრჩენას და მხარდაჭერას. გერმანიაში მიწების ინდივიდუალურობა გამკარალია უკვალოდ. აქ ფედერაციული მოწყობა შესაძლებელს ხდის უფრო სამართლიან ურთიერთობებს უმრავლესობასა და უმცირესობებს შორის, რომლებიც იცვლებიან რეგიონების მიხედვით. ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა დემოკრატიულ წყობაში ოპოზიციის ჩართვისათვის და ალტერნატიული პოლიტიკური პრინციპის რეალიზაციისათვის, რადგანაც პარტიებს, რომლებიც ფედერაციის მასშტაბებში ოპოზიციაში იმყოფებიან, შეუძლიათ იმ მიწებში, სადაც ისინი ფლობენ ჯმრავლესობას, გახდნენ მმართველები და თავის თავზე აიღონ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა. ამითვე მათთვის იხსნება შესაძლებლობა, მიადწიონ დამოუკიდებელ წარმატებებს, თუ ისინი არ შემოიფარგლებიან მხოლოდ კრიტიკით და შეინარჩუნებენ შესაძლებლობას მოამზადონ თავიანთი ლიდერები სახელმწიფოებრივი საქმეების წარმართვისათვის, რომ თუ ისინი როდისმე მიიღებენ უმრავლესობას ფედერაციის მასშტაბებში, ფლობდნენ საკმაოდ განსწავლულ პოლიტიკურ მოღვაწეებს და შეეძლოთ უმტკივნეულოდ მოახდინონ შეცვლა⁴.

გათვალისწინებულ უნდა იქნას მსოფლიო პოლიტიკური აზრის გამოცდილება საქართველოს მომავალი ტერიტორიული მოწყობის მოდელის შემუშავებისას, სპეციალურ ანალიზს მოითხოვს საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ისტორიული პროცესი, ჩვენი ტრადიციები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიულ წყობას გარე პოლიტიკური პირობები განსაზღვრავდა, რაც არღვევდა მის შინაგან ბუნებრივ ევოლუციას. საქართველოს შემადგენლობაში ამჟამად ორი ავტონომიური რესპუბლიკა შედის; აჭარისა და აფხაზეთის. საქართველო მოიხსენიება ავტონომიების მქონე უნიტარულ სახელმწიფოდ. არსებობს საწინააღმდეგო თვალსაზრისიც, რომელიც საქართველოს ფედერაციულ სახელმწიფოდ მიიჩნევს.

ფედერალური სახელმწიფოს არსსათვის სავალდებულოა სუბიექტების მონაწილეობა საერთო სახელმწიფოს მართვაში, ამ მოთხოვნის სასარგებლოდ ავტონომიურ რესპუბლიკებს 3 სუსტი მექანიზმი გააჩნდა: 1. მათ მინიჭებული ჰქონდათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს უზენაეს საბჭოში; 2. ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით შედიოდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში; 3. ავტონომიურ რესპუბლიკებს ჰქონდათ საქართველოს უზენაეს საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევის ინიციატივის უფლება.

მაგრამ ყველაზე მთავარი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ფედერაციული სახელმწიფო-ორბალატიანი პარლამენტი, რომლის ზედა პალატაშიც მკაცრად განსაზღვრული თანაბარი რაოდენობით წარმოდგენილი იქნებოდნენ ავტონომიური რესპუბლიკები, ასეთი სახის ინსტიტუტი საქართველოს არ გააჩნია. სოციალისტური კონსტიტუციის 105-ე მუხლი ადგენდა: „საქართველოს უზენაესი საბჭო შედგება 300 დეპუტატისაგან, რომლებსაც ირჩევენ საარჩევნო ოლქის მიხედვით, სადაც ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობაა“. ამგვარად, რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შექმნის წესი უნიტარულ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანოს შექმნის წესის ანალოგიური იყო. უზენაესი საბჭო კი მაშინდელ სისტემაში იყო უმაღლესი ხელისუფ-

4 კ. ჰესსე, გფრ. კონსტიტუციური სამართლის საფუძვლები, მოსკოვი, 1985, გვ. 94.

ლების ორგანო, რომელსაც შეეძლო განეხილა და გადაეწყვიტა სახელმწიფოს გამგებლობის ნებისმიერი საკითხი. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი კი (სადაც ავტონომიური რესპუბლიკები წარმოდგენილნი იყვნენ) იყო უზენაესი საბჭოსადმი ანგარიშვალდებული ორგანო. ამჟამინდელი პარლამენტის საქმიანობის მარეგულირებელმა პოზიტიურმა კანონმდებლობამ გააუქმა პრეზიდიუმის ინსტიტუტი და ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეები უშუალოდ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეებად დანიშნა. ამ სიახლემ მნიშვნელოვნად გააძლიერა ფედერალური მომენტი.

არის მეორე მნიშვნელოვანი საკითხი — ავტონომიურ რესპუბლიკებს სსრკ-ში მინიჭებული ჰქონდათ უფლება სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა პალატაში გაეგზავნათ 4 დელეგატი, 11-ს აგზავნიდა მოკავშირე რესპუბლიკა, 2 — ავტონომიური ოლქი, 1 — ავტონომიური ოკრუგი. ამავ პრინციპით ფორმირდებოდა სსრკ ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაც. ასე რომ, საბჭოთა ეროვნული ფედერალიზმის ჯაჭვში ავტონომიური რესპუბლიკა ჩართული იყო ისევე როგორც მოკავშირე რესპუბლიკა; ავტონომიური ოლქი და ავტონომიური ოკრუგი. მართალია, მოკავშირე რესპუბლიკების გარდა, ფედერალიზმის ჯაჭვში სხვა სუბიექტების ჩაბმას არ ითვალისწინებდა სსრკ 1922 წლის ხელშეკრულება და დეკლარაცია, მაგრამ ამგვარი მდგომარეობა დააკანონა 1924 წლის კონსტიტუციამ. ის კი არა, ამ კონსტიტუციით, ეროვნებათა საბჭოში მოკავშირე რესპუბლიკა და ავტონომიური რესპუბლიკა თანაბარი რიცხვით იყვნენ წარმოდგენილნი.

ცნობილია, რომ ამგვარი სოციალისტური ფედერალიზმი ადმინისტრაციული ფედერალიზმის საპირისპიროდ ეროვნულ ნიშანზე იყო აგებული. ეროვნებათა საბჭო, მისი ავტორების აზრით, იყო ერთა და არა სახელმწიფოთა ფედერაცია. ეროვნება არის მხოლოდ ერთ-ერთი საზოგადოებრივი დაჯგუფება, ამიტომ არ შეიძლება სახელმწიფოს პოლიტიკური ძალა მიეცეს მხოლოდ ერთი ინტერესის მომსახურებას.

საქართველოს მომავალ კონსტიტუციაში შენარჩუნებულ უნდა იქნას არსებული ავტონომიების სტატუს-ქვო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი შეიძლება ერთმანეთის ანალოგიური არ იყოს. აფხაზური პრობლემის გადაწყვეტისათვის ამ მხარეს შეუნარჩუნდება სახელმწიფოებრივი ხასიათის ნიშნები და ამით შემოტანილი იქნება რამდენიმე ფედერალური ნიშანიც. ე. წ. ოსური პრობლემის გადაჭრისათვის განიხილება ფუნქციონალური ავტონომია, ე. ი. ისეთი ავტონომია, რომელიც ტერიტორიას არ უკავშირდება და აერთიანებს საქართველოში მცხოვრებ ყველა ოსს კულტურული ნიშნით. ამასთანავე, ადგილობრივ საქმეებში მას მიეცემა გარკვეული ადმინისტრაციული უფლებები.

აქ მოკლედ შევჩერდებით თანამედროვე საერთაშორისო სამართალში უმცირესობების პრობლემაზე. ვინ არიან უმცირესობაში?

იოლი არ არის გაერთიანდეს ერთ ყველასათვის დამაკმაყოფილებელ განსაზღვრებაში მსოფლიოს ყველა უმცირესობების ნიშნები. ამის გამო რაიმე აღიარებული დეფინიცია ყველას მიერ ან თუნდაც სახელმწიფოთა ნაწილის მიერ არ არსებობს. კლასიკურად ითვლება ფრანჩისკო კაპოტორტის განმარტება „უმცირესობა არის სახელმწიფოს მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით რაოდენობრივად მცირე ჯგუფი, რომელსაც არ უკავია გაბატონებული მდგომარეობა, რომლის წევრებიც არიან ამ სახელმწიფოს მოქალაქეები, ფლობენ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი თვალსაზრისით მახასიათებლებს, რომლებიც განსხვავდება მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის მახასიათებლებისა-


გან და იჩენენ თუნდაც ირიბად სოლიდარობის გრძნობას თავისი კულტურის, თავისი ტრადიციების, რელიგიის ან ენის შენარჩუნების მიზნით“. ეროვნულ უმცირესობად მიკუთვნება არის თავისუფალი ყველა მიეკუთვნება, რომლის კულტურაც აქვს გათავისებული. აღიარებულია, რომ თუ სახელმწიფო სრული ზომით უზრუნველყოფს უმცირესობების ყველა უფლებებს და მათი იდენტურობის დაცვას, ამ უმცირესობას არ შეუძლია კანონისმიერი გზით ითხოვდეს გამოყოფას. ამ შემთხვევაში ასევე დაუშვებელია, აიძულო სახელმწიფო გადასცეს ეროვნულ უმცირესობებს თავისი ტერიტორიის ნაწილი, ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის. არცერთ საერთაშორისო დოკუმენტში უშუალოდ უმცირესობის უფლება თვითგამორკვევაზე არ არის აღიარებული.

აფხაზები ამჟამად ითხოვენ კონფედერაციას. რატომაა მათი მოთხოვნა მიუღებელი? კონფედერაცია არ არის ერთი სახელმწიფო. ესაა თანასწორი, სუვერენულ სახელმწიფოთა საერთაშორისო-სამართლებრივი ალიანსი. ამგვარად, კონფედერაცია უპირისპირდება სახელმწიფოს ერთიანობას. ერთი სახელმწიფოს კონფედერაციად გადაქცევისათვის ამ სახელმწიფოს სუვერენულმა ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს თვითლიკვიდაცია. აქვს ამგვარი უფლება მთელი სახელმწიფოს მოსახლეობის ერთ ძესამიცედს?

დეცენტრალიზაცია უპირისპირდება ცენტრალიზმს, ეს პრობლემა უნიტარულ ფორმას არ სცილდება, მისი შინაგანი პროცესია.

ფედერალიზმი უპირისპირდება არა ცენტრალიზმს, არამედ უნიტარიზმს, როგორც მთელი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმას. კონფედერაცია უპირისპირდება არა ტერიტორიული მოწყობის ფორმას, არამედ სახელმწიფოებრიობას. ერთი მხარის მოთხოვნა, გატარდეს დეცენტრალიზაცია მის ტერიტორიაზე, გაფართოვდეს მისი კომპეტენცია, არ არღვევს და არ ცვლის მთელი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმას, იგი არ ეხება სახელმწიფოს სხვა ნაწილების სამართლებრივ მდგომარეობას, ამიტომ ეს არ არის სახელმწიფოს ყველა მხარის გადასაწყვეტი საკითხი. ამას განიხილავს ცენტრალური ხელისუფლება დეცენტრალიზაციას მსურველი მხარის წინადადებით. ფედერალიზმი კი არის არა ერთი მხარის კომპეტენციის გაზრდის მოთხოვნის საკითხი, იგი ცვლის მთელი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ერთ ფორმას მეორეთი, ეხება სხვა მხარეების სამართლებრივ სტატუსს, ცენტრალური ხელისუფლების შექმნის ბუნებასა და სტრუქტურას. ეს პრობლემა მთელი სახელმწიფოს ყველა ნაწილს ეხება და ამიტომ იგი მთელი სახელმწიფოს გადასაწყვეტი საკითხია.

რატომ არ შეიძლება აფხაზეთის ავტონომიის გაუქმება? ეს საკითხი წინა პლანზე წამოსწევს თვითგამორკვევის პრინციპებს. ცნობილია, თვითგამორკვევის უფლება აქვს ხალხს და არა ეროვნულ უმცირესობას. აფხაზები საქართველოში, მართალია, მცირერიცხოვანი ხალხია, მაგრამ ავტონომიის ფარგლებში უკავიათ დომინირებული მდგომარეობა და სხვაგან საკუთარი სახელმწიფო არ გააჩნიათ. თუ სუვერენული სახელმწიფო არღვევს მასში მცხოვრები ხალხის უფლებებს და უარს ამბობს მათ დაცვაზე, მაშინ ასეთ მდგომარეობაში მეოფ ხალხს ეძლევა როგორც შინაგანი, ასევე საგარეო თვითგამორკვევის და გამოყოფის უფლება, სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფო კი ჯერ უზრუნველყოფს მასში მცხოვრები ხალხის უფლებების დაცვას, ხალხს აქვს მხოლოდ საშინაო თვითგამორკვევის უფლება ამ სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით. ამიტომ საქართველომ მომავალში უნდა უზრუნველყოს აფხაზების უფლებების დაცვა და გარანტია, მათი ავტონომია, რათა არ მისცეს მათ საგარეო თვითგამორკვევის უფლება. აფხაზეთისათვის შეიძლება შეთავაზებულ იქნას



პარლამენტის მიერ თავისი ზოგიერთი უფლებამოსილების გადაცემა, მისდამდე დაქვემდებარებული აფხაზეთის ლევისლატურისათვის, რომელსაც უფლებამოსილება გადაწყვიტოს ყველა საშინაო საკითხი, პარლამენტს რჩება მხოლოდ ეროვნული და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები. ეს იქნება ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიის ერთ ნაწილზე ვრცელდება და ფლობს საკანონმდებლო და სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში განხორციელდებოდა ცენტრალური მთავრობის მიერ. საქართველოს პარლამენტს შეუნარჩუნდება საბოლოო გადაწყვეტის უფლება და სუვერენიტეტი, გამონაკლისის გარეშე, ყველა საკითხში. ეს იდეა მიზნად ისახავს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების უფლებათა დელეგაციას, ადგილებზე შექმნილი არჩევითი ორგანოებისათვის, საქართველოს სუვერენიტეტისა და სახელმწიფოს უნიტარული ფორმის შენარჩუნებით, ამ შემთხვევაში ჩამოყალიბდება „გადაცემულ საქმეთა“ კატეგორია; ხოლო იქნება მოჩვენებითი—კვაზი — ფედერაცია. ცენტრალურ ხელისუფლებასა და ავტონომიებს შორის კომპეტენციის გამიჯვნის საკითხი, გარკვეულწილად პოლიტიკისა და კომპრომისების სფერო გახდება; მაგრამ დეცენტრალიზაციას არ დაექვემდებარება კლასიკური საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხები — საგარეო ურთიერთობები, საზღვრების კონტროლი, ფულადი მიმოქცევა, სამხედრო საქმე, სახელმწიფო უშიშროება, საერთო კანონმდებლობა, რომელსაც მოწონება ავტონომიების მხრივ არ ესაჭიროება, ამ საკითხებს ავტონომიებთან მიმართებაში ექნება იმუნიტეტი.

ადგილობრივ საკითხებში ავტონომიას ექნება განსაკუთრებული უფლებამოსილება. ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ მიეკუთვნება არც ცენტრალური ხელისუფლების და არც ავტონომიების კომპეტენციას, ცენტრალურ ხელისუფლებას ექნება კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების დადგენის უფლება, ავტონომიებს კი თავის ტერიტორიაზე მათი დამაკონკრეტებელი კანონების დაწესება, და აღმასრულებელი საქმიანობის უფლება, ხოლო ავტონომიის უფლებამოსილება გადანაწილდება ვერტიკალურად. ავტონომიის ყოველი ნაწილი უნდა მიეკუთვნებოდეს ამა თუ იმ თვითმმართველობის ორგანოს. თვითმმართველობის ორგანოთა ორგანიზაციისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ცენტრალიზმის, დეკონცენტრაციის, დეცენტრალიზაციის ან რეგიონალიზმის პრინციპები.

მიიჩნევენ, რომ თვითმმართველობის არსი მდგომარეობს იმაში, თუ იგი სახელმწიფო ადმინისტრაციას არ ექვემდებარება. განასხვავებენ სისტემებს, სადაც არსებობს ზემდგომ და ქვემდგომ მუნიციპალურ ორგანიზმს შორის დაქვემდებარება (გერმანია, საფრანგეთი, იაპონია) და სისტემები, სადაც ასეთი დაქვემდებარება იურიდიულად არ არსებობს, ან ატარებს შეზღუდულ ხასიათს (აშშ, დიდი ბრიტანეთი). ამ ორი სისტემის არჩევა და არსი დამოკიდებულია იმაზე, თუ დადგინდება ადგილობრივ ორგანოთა უფლებამოსილების ფარგლები მათი უფლებების, ვალდებულებების, და გამგებლობას მიკუთვნებული საგნების დეტალური ჩამოთვლით, ასეთ ვითარებაში მუნიციპალურ ორგანოებს შორის დაქვემდებარება არ უნდა არსებობდეს.

ადგილობრივი მმართველობის არჩევით ორგანოთა დათხოვნის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მიეცეს მინისტრთა კაბინეტს. ამ წესის ალტერნატიული პრინციპი შეიძლება იყოს ის, რომ ცენტრალურ მთავრობას მიეცეს უფლება დათხოვნის მაგიერ ამოიღოს მუნიციპალური ორგანოების გამგებლობიდან ის საკითხები, რომლებსაც მუნიციპალიტეტი, ზემდგომი ხელისუფლების აზრით, თავს ვერ ართმევს და დაიქვემდებაროს. პრაქტიკა, გვიჩვენებს, რომ ეროვნულ ინტერესებს არ პასუხობს ადგილობრივი არჩევითი ორ-

განოების სუფთა დეკორატიულ ორგანოებად გადაქცევა, რომლებიც მოკლებულნი იქნებიან რეალურ უფლებამოსილებას. არსებობს მეორე უკიდურესობაც, მათთვის ზედმეტად ფართო უფლებამოსილების მინიჭებამ შეიძლება გამოიწვიოს მათი გადაჭარბებული პოლიტიზაცია. ადგილობრივ ორგანოებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ განახორციელონ და მიიღონ პოლიტიკური ხასიათის აქტები, მათ უნდა შეინარჩუნონ საქმიანობის წმინდა ადმინისტრაციული ხასიათი. სწორად შენიშნავდა ნ. ბერდიაევი — უკიდურესი ცენტრალისტური ბიუროკრატიზმი და უკიდურესი პროვინციალიზმი — შესაბამისია და ორმხრივად განაპირობებენ ერთმანეთს, დეცენტრალიზაცია არ აღნიშნავს პროვინციალიზმის ზეიმს, არამედ იგი ნიშნავს პროვინციალიზმისა და ბიუროკრატიული ცენტრალიზმის დაძლევისად, მთელი ერისა და ყველა პიროვნების სულიერ აღმასვლას.

უკანასკნელ ხანს საქართველოში მკვიდრდება სახელმწიფოს მეთაურის მიერ ადგილებზე თავისი რწმუნებულების და სახელმწიფო მინისტრების (ცხინვალის რაიონში და დასავლეთ საქართველოში) დანიშვნის პრაქტიკა. ამ ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნების შესახებ, უნდა ითქვას, რომ ფედერაციულ სახელმწიფოში პრეზიდენტის მიერ თავისი რწმუნებულების დანიშვნა ადგილებზე ყოველთვის განიხილება, როგორც ცენტრალიზმის გაძლიერება. საწინააღმდეგო ხასიათს იქნეს ეს ინსტიტუტი უნიტარულ სახელმწიფოში. აქ პრეზიდენტის მიერ უნიტარული სახელმწიფოს სხეულიდან ერთი ნაწილის გამოყოფა, ამ რეგიონისადმი განსხვავებული მიდგომა წარმოადგენს რეგიონალიზაციისაკენ სწრაფვას.

საქართველოს მომავალ კონსტიტუციაში უნდა აისახოს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის შესაბამისი ფორმა, ამის ცდა რამდენჯერმე იყო. აღსანიშნავია გ. მერჩულეს მიერ მოცემული საქართველოს განმარტება:

„ქართლად ფრიალი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი აღესრულები“. სოციალისტური კონსტიტუცია საქართველოს განიხილავდა როგორც სახელმწიფოს, რომლის შემადგენლობაშიც ავტონომიები შედიოდნენ. ფედერაციული სახელმწიფოს განმარტებისას ჩამოთვლიან სუბიექტებს (შტატებს), რომლებიც კი არ შედიან ამ სახელმწიფოში, არამედ მათგან შესდგება სახელმწიფო. ამ შემადგენელი ნაწილების გამოკლებით, სახელმწიფოს არცერთი ნაწილი აღარ რჩება.

და ბოლოს, ამოსავალი ის არის, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმა, ხელს უწყობდეს სახელმწიფოს თავისი ფუნქციების — განხორციელებაში. ამის მთავარი პირობა ის არის, რომ მან კი არ უნდა დაასუსტოს, არამედ უნდა გააძლიეროს სახელმწიფოებრივი მთლიანობა, კი არ უნდა გააცალკევოს ადამიანები, არამედ უნდა გააერთიანოს, დაახლოვოს ისინი საერთო სახელმწიფოებრივ მიზნებში.

ფინია ფალავანდიშვილი

სსულის განვრახ მიმე დაზიანება უცხოურ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

თანამედროვე პირობებში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს სისხლის სამართლებლივი აზროვნების განვითარებას. ამ მიზნით მიზანშეწოლილია და აუცილებელიც საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი. გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთობისათვის საჭიროა საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებლივი სისტემებისა და მათი ძირითადი პრინციპების ცოდნა.

საფრანგეთისა და გერმანიის კანონმდებლობა წარმოდგენას იძლევა სისხლის სამართლის კონტინენტური სისტემის სხვადასხვა მიმართულების შესახებ. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი ნიშნულად გამოიყენებოდა არამარტო ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსის მომზადებისათვის, არამედ მთელი რიგი განვითარებადი სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით საფრანგეთის ყოფილი კოლონიების მიერ.

დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა წარმოადგენს სამართლის ანგლოსაქსონურ სისტემას, რომელიც გავრცელებულია კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, აფრიკის, აზიისა და ოკეანის განვითარებად სახელმწიფოებში. თავისებურებებით გამოირჩევა იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც გერმანიის სამართლის გავლენა განიცადა.

ლათინური ამერიკის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების მომზადების დროს გამოყენებულია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

ინგლისის სისხლის სამართლის განსაკუთრებულობა მდგომარეობს ერთიანი სისხლის სამართლის კოდექსის არ არსებობაში, რაც გამომდინარეობს ამ ქვეყნის სისხლის სამართლის ისტორიული განვითარებიდან. ინგლისის სასამართლო პრაქტიკა მისი სამართლის უძველესი წყაროა. სახელმწიფოში სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემა თეორიულად არ არის შემუშავებული. ინგლისური სისხლის სამართალი ითვალისწინებს ქმედობებს ჯანმრთელობისათვის გარკვეული ზიანის მიყენების შესახებ. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა, რომლებსაც სიკვდილი არ მოჰყოლია ძირითადი სახე არის „უბრალო თავდასხმა“, ხშირად კი იგი ცემასთან ერთ დანაშაულადაა გაერთიანებული. სისხლის სამართლებლივი პასუხისმგებლობა დასახელებულ ქმედობათა ჩადენისათვის დადგენილია 1861 წელს მიღებული კანონით პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა შესახებ. ეს კანონი ითვალისწინებს ისეთ დანაშაულს, როგორცაა ჭრილობა ან სხეულის ნებისმიერი ზიანის მიყენება რაიმე იარაღით ან მის გარეშე. ამავე კანონში დამოუკიდებელი ქმედობის სახით გამოყოფილია ნებისმიერი პირის დახრჩობის ან ჩამოხრჩობის მცდელობა, აგრეთვე ნარკოტიკების ან შხამის მიცემა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, სხეულის დაზიანების მიყენება აფეთქებით ან სხვა საშიში მოქმედებებით.

ინგლისის 1861 წლის კანონი პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა შესახებ პასუხისმგებლობას ადგენს სიკვდილის ან სხეულის მძიმე დაზიანების მი-

ყენების მიზნით სხვადასხვა ფეთქებადი მოწყობილობისა და ზაფანგის გამართვისათვის, გარდა დამნაშავეთა ბრბოს გამანადგურებელი მოწყობილობებისათვის.

აღსანიშნავია, რომ განხილულ დანაშაულთა პასუხისმგებლობისათვის ინგლისური სამართალი არ ითხოვს განზრახვის დადგენას. იგი საკმარისად მიიჩნევს „ბოროტად განჭვრეტის“ არსებობას, ე. ი. დამნაშავეს შეგნებას, რომ მისი მოქმედებით დაზარალებულს შეიძლება მიაღვეს რაიმე ზიანი. ასეთ შემთხვევებში სასჯელის ზომა განისაზღვრება ფაქტობრივად დამდგარი შედეგის მიხედვით.

დაზრახობის ან ჩამოხრჩობის ჩადენისათვის, შხამის მიცემისათვის და ასე შემდეგ, გათვალისწინებულია სამუდამო პატიმრობა.

ინგლისური სამართალი პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედობისათვის დაზარალებულს უფლებას აძლევს, მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია მიყენებული ზარალისათვის, რომლის ოდენობაც კანონით არ იზღუდება. ამასთანავე დაზარალებულს აქვს არჩევის საშუალება, აღძრას თუ არა სისხლის სამართლის საქმე, ან სასამართლოს მიმართოს სამოქალაქო წესით ფულადი ზღვევინების მოთხოვნით.

1776 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დამოუკიდებლობის გამოცხადებამ არ უარყო იქ მოქმედი ინგლისის სამართალი. უფრო მეტიც, კონგრესმა მისი მოქმედება გააგრძელა სხვა ტერიტორიებზეც. ვასული და მიმდინარე საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის განვითარება მოწმობს, რომ იქ სხვადასხვა მიზეზით ჩამოყალიბდა ინგლისური სამართლებრივი სისტემის ამერიკული ვარიანტი.

აშშ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა წარმოადგენს აქტების კონგლომერატს, გამოცემული ფედერალური ორგანოების ან 50 შტატიდან ერთ-ერთის მიერ. ამასთანავე მხოლოდ ზოგიერთ შტატშია გამოცემული სისხლის სამართლის კოდექსი ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილით. უმეტეს შტატებში მოქმედებენ აქტები, ქრონოლოგიური ან ანბანური წესით შეკრებილი სამართლებრივი ინსტიტუტების სახელწოდებით. პიროვნების ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედობების სახეები ძირითადად ემთხვევა ინგლისურ სამართალში განხილულ ანალოგიურ ქმედობებს.

ზოგიერთი შტატის სისხლის სამართლის კანონმდებლობა გამოირჩევა დასახელებულ დანაშაულთა შემადგენლობების თავისებურებებით. მაგალითად, კონეკტიკუტის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს ნორმას, რომელიც მძიმე სახიჩრობაში დამნაშავედ აცხადებს მას, ვინც ამოაგდებს თვალს, მოაგლეჯს ცხვირს, ტუჩს, ან თავის, სახის ან კისრის სხვა ნაწილს, ან მოკვეთს ან სცემს განზრახვით ან დაამახინჯებს სხვას. კანონმდებელი ამ ქმედობისათვის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთას 25 წლის ვადით.

აშშ სისხლის სამართალშიც ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ძირითადი სახეა თავდასხმა. დასახელებული სისხლის სამართლის კოდექსის 211-ე მუხლით უბრალო თავდასხმას სჩადის ის, ვინც ცდილობს ან სხეულის დაზიანებას აყენებს სხვას, აგრეთვე ის, ვინც ცდილობს ფიზიკური მოქმედების მექარით სხვა პირს შთააგონოს შიში, რომ მას მიაღება სხეულის მძიმე დაზიანება. ამევე მუხლით, მძიმე დაზიანებას აყენებს, აგრეთვე ის, ვინც თავდასხმის დროს მომავლინებელ იარაღს გამოიყენებს. ამდენად, დასახელებული სისხლის სამართლის კოდექსი ერთმანეთისაგან არ ანსხვავებს თავდასხმასა და ცემას, მცდელობასა და დამთავრებულ დანაშაულს.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ განზრახ დანაშაულთა საკმაოდ რთულ სისტემას შეიცავს. მოქმედი ფრანგული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ ზიანის ხარისხს, რომელიც დაზარალებულის ჯანმრთელობას მიაღება. შედეგის სიმძიმის მიხედვით განისაზღვრება სასჯელის სიმკაცრეც. მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 309-ე მუხლით, თუ სხეულის დაზიანებაში გამოიწვია სახიზრობა, რომელიმე ნაწილის ამპუტაცია ან მისი შესაძლებლობის მოსპობა, სიბრძავე, თვალის დაკარგვა, ან სხვა მუდმივი სენი, დამნაშავე ისჯება პატიმრობით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

თუ განზრახ მიყენებულმა ჭრილობებმა ან დარტყმებმა გამოიწვიეს დაზარალებულის სიკვდილი, სასჯელი მკაცრდება ათიდან ოც წლამდე.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთაგან განსაკუთრებულ სახედ გამოყოფენ კასტრაციას (დაკოდვას), რომელიც სამუდამო პატიმრობით ისჯება. დასახელებული კოდექსის 316-ე მუხლით, თუ კასტრაციიდან 40 დღის გასვლამდე დადგა დაზარალებულის სიკვდილი, დამნაშავე სიკვდილით ისჯება.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს გაძლიერებულ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევებში, როდესაც ჭრილობები და დარტყმები მიყენებულია წინასწარ განზრახულად, ან საფარიდან, აგრეთვე იმ საგნების გამოყენებისათვის, რომლებიც ზიანს აყენებენ ჯანმრთელობას, მაგრამ არ იწვევენ დაზარალებულის სიკვდილს.

განსაკუთრებულ შემაღევენობად გამოიყოფა ჭრილობებისა და დარტყმების მიყენება კანონიერი და უკანონო მშობლებისათვის, მშვილებლებისათვის, აგრეთვე სხვა ნათესავებისათვის პირდაპირი აღმავალი ხაზით.

იმავე კოდექსის 312-ე მუხლით, თუ მშობლები, ან ბავშვის სხვა აღმზრდელი პირები, მას სხეულის დაზიანებას მიაყენებენ, მაშინ, შედეგის სიმძიმის მიხედვით, ისინი დაისჯებიან უფრო მკაცრი სასჯელით, კიდრე ანალოგიური მოქმედების ჩამდენი უცხო პირები. ამასთანავე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ძლიერდება თუ დაზარალებულის ასაკი თხუთმეტი წლის ჩათვლით განისაზღვრება.

საფრანგეთის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს სხეულზე განზრახ დაზიანების ან დარტყმების მიყენებას შემამსუბუქებელ გარემოებებში. ამასთანავე, ეს კანონმდებლობა ასახელებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებსაც კანონიერი ბრძანების შესრულებისა და კანონიერი (აუცილებელი) თავდაცვის მდგომარეობის სახით.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე მუხლით, პირი კანონიერი თავდაცვის მდგომარეობაშია და მას არ ეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სიცოცხლის მოსპობისათვის, აგრეთვე ჭრილობებისა და დარტყმების მიყენებისათვის, თუ ქმედობა ჩადენილია ღამით დასახელებულ სადგომში შეღწევის მცდელობის მოვერიების დროს ან მათგან თავდაცვის დროს, ვინც სჩადის ქურდობას ძალადობით ან გაძარცვას. იმავე კოდექსის 322-ე მუხლით, იგივე ქმედობის დღისით ჩადენა საპატიებელია, მისატყვევებელია.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 321-ე მუხლით, განზრახ მკვლელობის, ჭრილობებისა და დარტყმების მიყენება შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილად ჩაითვლება, თუ იგი გამოწვეული იყო დაზარალებულის პროვოკაციით, ე. ი. პიროვნებისათვის მძიმე დარტყმების, ან მძიმე ძალადობის მიყენებით (განვიხილოთ 1992 წლამდე მოქმედი კანონმდებლობა საფრანგეთში).

გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ძალაში შევიდა 1975 წლის 1 იანვარს განახლებული ზოგადი და შეცვლილი განსაკუთრებული ნაწი-

ლებით. ოფიციალურად კი ეწოდება „1871 წლის 15 მაისის სისხლის სამართლის კოდექსი 1975 წლის 1 იანვრის რედაქციით“. მისი განსაკუთრებული ნაწილის კლასიფიკაცია საკმაოდ დანაწევრებულია. მაგალითად, სხეულის დაზიანებები გათვალისწინებულია მე-17 ნაწილში. აღსანიშნავია, რომ კოდექსში ქონებრივი დანაშაულები შეტანილია პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემდეგ ნაწილებში.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე პარაგრაფით სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება არის. იმ შემთხვევაში, როდესაც სხეულის დაზიანების მიყენებით დაზარალებულმა აბსოლუტურად ან არსებითად დაკარგა სხეულის მნიშვნელოვანი ნაწილი, მხედველობა ერთი ან ორივე თვალიდან, სმენა, მეტყველება, ან გვარის გაგრძელების უნარი, აგრეთვე, თუ სხეულის დაზიანების შედეგად, დაზარალებული დაავადდა ქრონიკული ან სულეერი ავადმყოფობით, ან მას დაემართა დამბლა (1992 წლამდე მოქმედი კანონმდებლობა).

დასახელებული კოდექსის 225-ე და 226-ე პარაგრაფები ითვალისწინებენ სხეულის დაზიანების განსაკუთრებით მძიმე სახეს. 225-ე პარაგრაფში ნათქვამია სხეულის მძიმე დაზიანების წინასწარი განზრახვით ჩადენის შესახებ, ხოლო 226-ე პარაგრაფი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ხეულის მძიმე დაზიანებისათვის, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა. პირველ შემთხვევაში სასჯელი განისაზღვრება ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, მეორე შემთხვევაში კი თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სხეულის განზრახ დაზიანებათა მთელ რიგ სპეციალურ შემადგენლობებს. ესენია სხეულის დაზიანების მიყენება დაზარალებულის თანხმობით (§ 226 „ა“), ცემა-ტყეპა (§ 227), მოწამვლა (§229) და სხვ.

ინდოეთის სისხლის სამართლის კოდექსის 320-ე მუხლით, სხეულის მძიმე დაზიანებად მიჩნეულია კასტრაცია, მხედველობის დაკარგვა ერთი თვალიდან, ან სმენისა ნებისმიერი ყურიდან, რომელიმე ნაწილის ან შემადგენლობის დაკარგვა, ან მათი ფუნქციონირების მუდმივად დარღვევა, თავის ან სახის სამუდამო დამახინჯება, ძვლების მოტეხილობა ან ღრძობა, ან კბილის დაკარგვა, ან სიცოცხლისათვის საშიში სხეულის დაზიანების მიყენება, ან სხეულის ისეთი დაზიანება, რომელიც დაზარალებულს ოცი დღის განმავლობაში აყენებს ტანჯვას ძლიერი ფიზიკური ტკივილების სახით, ან უსპობს ჩვეულებრივი საქმიანობის უნარს.

აღსანიშნავია, რომ იგლისის, აზიისა და აფრიკის ყოფილი კოლონიების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სხეულის უბრალო და მძიმე დაზიანების ცნებებში გამოყენებულია ინგლისური სამართლის ტრადიციული ინსტიტუტები „თავდასხმა და ცემა“, აგრეთვე „მძიმე თავდასხმა“.

ჩინეთის რესპუბლიკის 1979 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 134 მუხლით, ადამიანის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე, თუ მან გამოიწვია ადამიანის სიკვდილი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდი და მეტი წლით, ან სამუდამო თავისუფლების აღკვეთით.

ამავე კოდექსის 135-ე მუხლი კი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სხეულის გაუფრთხილებლობით მძიმე დაზიანების მიყენებისათვის. ნათქვამიდან გამომდინარე, ჩინეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ქმედობები მოცემულია ბრალის ფორმებისა და მათი საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით. ლათინური ამერიკის სახელმწიფოების სისხლის სამართლის კოდექსებში

გათვლისწინებულია სხეულის დაზიანებათა რამდენიმე სახე მძიმე შედეგებს ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

ურუგვაის სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლი სხეულის მძიმე დაზიანებად მიიჩნევს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სხეულის დაზიანებას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის მოშლა — დაზარალებულის სიცოცხლისათვის საშიში, ან შრომისუნარიანობის დაკარგვა ოც დღეზე მეტი ვადით, ერთ-ერთა ორგანოს მუდმივად დასუსტება, აგრეთვე ქალებისათვის ნაადრევი მშობიარობა.

იმავე სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს სხეულის განსაკუთრებით მძიმე დაზიანების მიყენებისათვის, ე. ი. როდესაც დანაშაულს შედეგად მოჰყვება განუკურნებელი ავადმყოფობა, ერთ-ერთი ორგანოს დაკარგვა, კიდურების ან გვარის ვაგრძელების უნარის დაკარგვა, სახის წარუშლელი დამახინჯება, აგრეთვე ორსული ქალისათვის მუცლის მოწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ ლათინური ამერიკის სისხლის სამართლის კოდექსებამკაცრ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებენ ვენერიული დაავადების შეყრისათვის. მაგალითად, მექსიკის სისხლის სამართლის კოდექსის 199-ე მუხლით, ის, ვინც იცის, რომ დაავადებულია ათაშანჯრით, ან სხვა ვენერიული დაავადების გადამდები სტადიით, ქმნის სხვა პირის დასნებოვნების საფრთხეს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების გზით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე და ჯარიმით. მაშასადამე, ეს სასჯელი დადგენილია მხოლოდ დასნებოვნების საფრთხის შექმნისათვის. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ნამდვილად დაავადდა ვენერიული სენით, მექსიკის სისხლის სამართლის კოდექსით დამნაშავე ისჯება ერთობლივად, ზემოთ დასახელებული 199-ე მუხლითა და სხეულის დაზიანების მიყენებისათვის.

მექსიკის სისხლის სამართლის კოდექსის 294-ე მუხლი მასწავლებლებს მოაფუების ცემას უკრძალავს, ხოლო ქმრებს — ცოლებს. ამავე მუხლით დასჯას არ ექვემდებარება მშობლის ან მეურვის მიერ ბავშვისათვის სხეულის უმნიშვნელო დაზიანების მიყენება, როგორც გამასწორებელი საშუალება თავიანთი უფლებების განსორციელების დროს.

ესტონეთის რესპუბლიკის 1992 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე მუხლი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სხეულის განზრახ განსაკუთრებით მძიმე დაზიანების მიყენებისათვის, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ან რომელსაც მოჰყვა რომელიმე ორგანოს, ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ხოლო ამავე კოდექსის 108-ე მუხლით ისჯება სხეულს განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის.

ამ სტატიის მიზანია, მკითხველს გავაცნოთ თუ როგორ არის ასახული სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება უცხოურ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რაც მათ დაეხმარებათ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება) შედარებაში.

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

სამართლის, კანონისა და მართლწესრიგის ურთიერთმიმართების პრობლემა უმთავრესი უნდა გახდეს სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პოსტულატთა პრაქტიკული რეალიზაციის გზაზე. სამართლის, როგორც ნების ან ძალმომრეობის საბჭოური გაგების უკუსაგდებად არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ღრმად გამჯდარი აზრის აღმოფხვრას იმის თაობაზე, რომ თითქოს, სასამართლო არის რეპრესიული ორგანო და არა დამოუკიდებელ სახელისუფლო შტო, რომელიც თავისი არსით მოწოდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლება სახელმწიფო შესაძლო ძალმომრეობისაგან. ასეთი შეხედულება არ არის მხრლოდ ობიექტელის კუთვნილება. იგი, სამწუხაროდ, ღრმად არის გამჯდარი თვით ზოგიერთი მოსამართლის ცნობიერებაშიც. ამგვარი ცნობიერების შედეგია ცივილიზებული საზოგადოებისათვის მიუღებელი ისეთი მოვლენა, როგორიცაა გამამართლებელ განაჩენთა ფაქტობრივად არარსებობა. წარსულშიც და ახლაც გამამართლებელი განაჩენი პანიკურ შიშს იწვევს როგორც ხელისუფლების წრეებში, ისე მოსამართლეთა კორპუსში. ეს კი ნიშნავს, რომ არც ჩვენს საზოგადოებას და არც თვით მოსამართლეთა კორპუსის ნაწილს არ აქვს გაცნობიერებული სასამართლოს ჭეშმარიტი დანიშნულება, რამაც შესაძლოა აუნახაურობელი მორალური ზიანი მიაყენოს როგორც პიროვნებას, ისე საზოგადოებას.

შევეცდებით კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით გიჩვენოთ, რომ სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევის შეუძლია განუზომელი ღირებულების პოზიტიური შედეგის მოტანა და ამ ბარიერის დაუძლეველობის შესაძლო შედეგებზეც დაგაფიქროთ.

1992 წლის 11 ოქტომბერს დააპატიმრეს 23 წლის თბილისელი ფელიქს მარტიოიანი თბილისის სამხედრო პროკურატურის მიერ დამტკიცებული საბრძოლველ დასკვნით. მას ბრალი ედებოდა საბრძოლო მასალათა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გასაღებაში, ე. ი. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის მესამე დ მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რომლის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 10 წლამდე. მისი დაპატიმრების საფუძველი გახდა ის, რომ ქ. თბილისის გლდანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების პოლიციელს ბ. მ. თავის ბინაში ჩხრეკისას აღმოაჩინდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. საბრძოლო ვაზნებით. მან განაცხადა, რომ იარაღი და საბრძოლო ვაზნები მას გადასცა ფელიქს მარტიოიანმა მისი ძმის ბინაში. საქმის მასალებით სავსებით დადასტურებული იქნა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების გადაცემის ფაქტი, რაც გახდა მისი დაპატიმრებისა და მისთვის ზემოაღნიშნული დანაშაულის ბრალად შერაცხვის საფუძველი, მაგრამ მის დაპატიმრებისა და ბრალის შერაცხვის დროს გამოძიებამ მხედველობაში არ მიიღო ისეთი გარემოებები, რომელნიც, სულ მცირე, საეჭვოს ხდიდა და-

პატიმრების ბრალდებებს, კერძოდ: საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ავტომატური იარაღი და საბრძოლო მასალები აფხაზეთიდან ალაფად ჩამოიტანა აფხაზეთის ომის მონაწილემ ფელიქს მარტოიანს ძმამ 1992 წლის სექტემბერში და შეინახა ქ. თბილისში ლაზოს ქ. № 23-ში მდებარე ბინაში, რის შესახებაც აცნობა თავის მეზობელს პოლიციის მუშაკს და იგი კვლავ გაემგზავრა აფხაზეთში, პოლიციის მუშაკმა ხსენებულ ბინაში მიაკითხა სტუმრად მყოფ ფელიქს მარტოიანს და მოსთხოვა მას ძმის მიერ დატოვებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა თითქოსდა პოლიციის საჭიროებისათვის, თან მიუთითა კიდეც, რომ ისინი შენახულა იყო სასტუმრო ოთახში ტახტის ქვეშ. ფელიქსმა პირველად გაიგო იარაღისა და საბრძოლო მასალის არსებობის შესახებ. სასტუმრო ოთახში ტახტის ქვეშ მართლაც აღმოჩნდა იარაღი, რაც გადასცა კიდეც მილიციის მუშაკს. წინასწარმა გამოძიებამ ფელიქს მარტოიანს წაუყენა ბრალდება და ძირითად არგუმენტად მოიშველია ის, რომ ამ უკანასკნელმა არ ვაარკვია, თუ რა გზით ჰქონდა შეძენილი მის ძმას ტყვიამფრქვევი და ვაზნები, თვითნებურად გადაწყვიტა მათი გასაღება, გამოიტანა და უკანონოდ გადასცა პოლიციის მუშაკს.

ბრალდების საქმე არსებითად განიხილა ქ. თბილისის გლდანის რაიონის სასამართლომ 1993 წლის 2 ივნისს ნუგზარ ბირკიას თავმჯდომარეობით. საქმის განხილვაში მონაწილე პროკურორმა ზემოთ მითითებულ არგუმენტზე დაყრდნობით მოითხოვა წარდგენილ ბრალდებაში ფელიქს მარტოიანის დამნაშავედ ცნობა და სასჯელად მისთვის ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა. საქმის განმხილველმა სასამართლომ სამართალში მიცემული წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო, იგი გაამართლა და სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა. სასამართლომ თავის გამამართლებელ განაჩენში მართებულად აღნიშნა, რომ საბრალდებო დასკვნის ზემოთ მითითებული არგუმენტები არ ემყარებოდა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის შინაარსს და მის შენიშვნას, კერძოდ: საქმის მასალებით უდაოდ იყო დადგენილი, რომ ფელიქს მარტოიანმა არ იცოდა ავტომატური იარაღისა და საბრძოლო ვაზნების არსებობა და ამის შესახებ მხოლოდ პოლიციის მუშაკისაგან შეიტყო. ხელისუფლების წარმომადგენელს (პოლიციელს) მოუძებნა და უყიფმანოდ გადასცა იარაღი და საბრძოლო მასალები. სასამართლომ სრულიად მართებულად აღნიშნა, რომ კანონი მოქალაქეს არ ავალებს იარაღის წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხის ვარკვევას და კანონი მას პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს სათანადო ორგანოს ან მისი წარმომადგენლისათვის იარაღის და საბრძოლო მასალის ნებაცემლობით ჩაბარების შემთხვევაში.

საქმის განმხილველმა სასამართლომ გამოიჩინა არა მარტო სამართლის აზრში წვდომის უნარი, არამედ სასამართლოსათვის აუცილებელი გაბედულება, უზრუნველყო დაპატიმრებული პიროვნების უფლებათა დაცვა, რითაც განაზოციელა მართლმსაჯულება.

გელა ბერკენიშვილი.



**იურისტთა კავშირის გაფორმების
გაფართოებული სხდომა**

ამას წინათ, საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა კავშირის გამგეობამ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გამართა გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს ადამიანის ღირსების, პატივის და უფლებათა დაცვის აქტუალური სამართლებრივი პრობლემები. სხდომაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, სამართალდამცავი ორგანოების, პრესისა და ინფორმაციის სხვა დაწესებულებათა თანამშრომლებმა, ადამიანთა უფლებების დაცვისა და ერთაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა იურისტთა კავშირის თავმჯდომარე **ზურაბ რატიანმა**. მან მოკლედ მიმოიხილა რესპუბლიკაში შექმნილ მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის პირობებში ადამიანის ღირსების, პატივის და უფლებათა დაცვის სფეროში არსებული უამრავი სამართლებრივი პრობლემა.

აღნიშნულ საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილების უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ოთარ გამყრელიძე**.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **რომან შენგელიამ** მიმოიხილა მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა პატივისა და ღირსების დარღვევის და მათზე სამოქალაქო სამართლებრივი რეკვირების საკითხები.

მოქალაქეთა ძირითადი უფლებების დაცვის საქმეში პროკურატურის ორგანოების როლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, ადმინისტრაციული კანონმდებლობის რეფორმის სახელმწიფო კომისიის წევრი **იური გაბისონია**.

აღნიშნულ საკითხებზე და ადამიანის ღირსების, პატივის და უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესრულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა **რუსუდან ბერიძემ**, სახელმწიფო მეთაურის აპარატის პრესისა და ინფორმაციის ლიურის ხელმძღვანელმა, პარლამენტის წევრმა **რაძაზ საყვარელიძემ**, პარლამენტარმა **დავით კუპრეიშვილმა**, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ **რევაზ წიფიანმა**, საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტმა **სულხან პოლაშვილმა**, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **გიორგი ტყეშელაიძემ**, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ **მინდია უგრეხელიძემ**.

საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა კავშირის თავმჯდომარემ **ზურაბ რატიანმა**.

ლექსები

ალბერტ აბესაძე

გადაშენება არ გვიშვრია

დღეს თუმც ომია ჩვენს აფხაზეთში,
მამულის ყორნებს მაინც გაუტევთ,
გადირეცხება ურდოს თარეში —
და ყველა გმირებს სანთლებს დაუნთბოთ.

ავანთებთ სანთელს გაგრის მიწაზე,
გაბრწყინდებიან ჩვენი სატები,
თუ საქართველო კვლავ არ ვიწამეთ,
სვალ საფლავებად დავისატებით.

დუშმანთა დასტას ჩვენს წარსახოცად
ბევრჯერ სჭერია შხამის ისრები,
იქ ვაუკაცები თუ დაიხოცნენ,
მტრებისთვის მუდამ ბევრნი ვიქნებით.

რა გამოგვიღვეს ფიქრებს დაფლეთილს,
დღეს ჩვენი ხალხი განსჯის ერია...
და სანამ ერთიც ივლის ქართველი,
გადაშენება არ გვიწერია.

1988

ელეგიის მავიერ

ოთახში ბნელა, ოთახში ცივა,
მაგიდისაკენ მივალ ციციებით,
ჩამქრალ სიგარეტს ნაღველი სცვივა,
სუნთქვალა მათობს ძველი ლექსების...

ყველა თამაშობს ვისაც კი ვენდე,
მათმა სიბნელემ დახრა თვალები,
ო, როგორ მინდა ვიყო პრომეთე,
ციცხლი მოვტაცო ღმერთებს წვალებით.

1994

* * *

ამქვეყნიურ სიამებს
შევეჩვიეთ ყველანი,
და იუდას ამბორივით
გვეფერება ვერანი.

მოშურნე და მგებლებელი
ცუდი საქმის ამყოლი,
ქვეყნად ისე მოვამრავლეთ
დროცა არ გვრჩება საყოფი.

ზნეობრივი დაცემისას
დროზე სწრაფად ვებრდებით,
სასიკვდილოთ გავიმეტეთ
საოთარი ღმერთები.

სანამ ქართულ სამანებში
ფიქრი გვახიზებს ზმანებად,
სულს ვუშველოთ, თორემ სორცი —
ისეც გაიპარება.

1998

გამოჩნდება საქართველოვ!

სად დაჯვარდეთ ჩვენ ზნეობა,
კაცის სინდის-ნამუხისი,
სად ვიპოვოთ საქართველოვ
შენი ნოსტრადამუსი.

წინ ჯერ ბევრი უფსკრულია
და ხიდეები დამწვარი
თუ გზას ავციდით — გველოდება
სასაფლაოს საყდარი.

გზის ძებნაში დიდ ნახტომებს
ვერ აკეთებს ვერავინ,
სად მიგაფრენს ასე უღვთოდ
შენი ბედის მერანი.

მაგრამ არა — ჩვენ ილიას
გვიღვეს გზა და ნამუხი,
გამოჩნდება საქართველოვ
შენი ნოსტრადამუსი!

1999



1626 წლის გვიან შემოდგომაზე ბაზალეთთან მეფე თეიმურაზის და გიორგი სააკაძის სისხლიანმა შეტაკებამ შეარყია შპა-ახსისაგან ივარქმნილი საქართველო.

საქართველოს სევდა —
 ომი ბაზალეთის
 არავინ დალილა —
 მათი გაწავებით.
 შურიტ მოქნეული
 ხმალი ძმაზე — ავი,
 იქით მეფის ქარს,
 აქით მოურავი.
 დახსებილი ქართველთა

სისხლიანი გული,
 მეფის გამარჯვება,
 შაჰის სიზარული.
 საქართველოს დამლა
 ომი ბაზალეთის...
 არავინ დალილა,
 ძმათა გაწავებით...

1998

მე ბაგყურებდი

უქარშის ხევში, ბებერ ციხეზე,
 ვახტანგის ჯარის მესმის ხმაური,
 აქ — ქარავენები ხაშმის რიყეზე,
 აქ მტერს უგებდნენ გულდაგულ მახეს
 და არც ქვეყანა ჩანდა მცირედით...
 მე გავეყურებდი გონიერ კახეთს —
 და საქართველოს მქონდა იმედი.

1998

დროა

ვილაცამ გვიშტრო თუ
 შურს მიგვცა ბნელიანს,
 ხარკი სურთ დააღონ ფიქრებს,
 რა სენი შეგვეყრა,
 რა ხვედრი ვერგებია,
 ღმერთი გაგვირისხდა იქნებ.
 ამ ერთ გოჭ მიწაზე
 უკვე ყველა მთავრობს,
 და იხსნის სირცხვილის რიღებს,
 ყველა თავის ციხეს —

თავის ეკლესიას —
 თავის სასაფლაოს იგებს,
 დროა გამოვფხიზლდეთ,
 ვიქმაროთ შური და
 მტერსაც მოსაკითხი მივცეთ,
 — თუ დავიგვიანეთ
 მამული კი არა,
 შეგვრჩება ველური სივრცე.

1998

გპ 93/1

